# საქართველოს სახელმწიფო ბალეტი

## STATE BALLET OF GEORGIA

2004-2014



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

ZAKARIA PALIASHVILI TBILISI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE

# საქართველოს სახელმწიფო ბალეტი

# STATE BALLET OF GEORGIA

2004-2014



# Pas de deux
# პა დე დე

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“

ქართული ბალეტის
პარტნიორი

Georgian Industrial Group

ეს წიგნი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ის ნინო ანანიაშვილთან ერთად ბალეტის სამყაროში მოგზაურობის 10 წლისთავს ეძღვნება.

ნინო, პრიმა-ბალერინა, რომელმაც მთელ მსოფლიოში მაყურებლის უსაზღვრო სიყვარული დაიმსახურა, 2004 წელს სამშობლოში დაბრუნდა იმისთვის, რომ თავისი გამოცდილება და შრომისმოყვარეობა საქართველოს სახელმწიფო ბალეტის განვითარებისათვის გამოეყენებინა.

ამ წიგნში თქვენ ნახავთ საინტერესო მასალებს ნინოს, როგორც ლეგენდარული მოცეკვავის და სამხატვრო ხელმძღვანელის მოღვაწეობის შესახებ; ინფორმაციას უნიჭიერესი საბალეტო დასის შთამბეჭდავ რეპერტუარზე, რომელიც ათი წლის განმავლობაში 53 პრემიერას, სრულ კლასიკურ და თანამედროვე საბალეტო დადგმებს, აგრეთვე მოკლე მინიატურებს და სხვადასხვა ღონისძიებებზე გამართულ დივერტისმენტებს მოიცავს. დასი ამ პერიოდში 28-ჯერ იქნა მიწვეული გასტროლებზე საქართველოს ფარგლებს გარეთ და ასევე ქვეყნის შიგნით.

გთხოვთ, შემოგვიერთდეთ და ერთად ვუთხრათ მადლობა ნინო ანანიაშვილს და ვიზეიმოთ საქართველოს სახელმწიფო ბალეტის ხელმძღვანელად მისი მოღვაწეობის 10 წლის თავი. ჩვენ დიდი ენთუზიაზმით განვაგრძობთ თანამშრომლობას და ვუსურვებთ მას და ქართულ საბალეტო დასს ყოველივე საუკეთესოს და კიდევ ბევრ ახალ წარმოდგენას.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების კომიტეტის წევრები

This book is very important to us. It marks the 10th anniversary of a special journey in the world of ballet with Nina Ananiashvili.

Nina, who gained the admiration of audiences around the world as a Prima Ballerina, returned to her beloved home country in 2004 to develop a successful State Ballet of Georgia with her infinite creativity and hard work.

In this book, you will find a beautiful collection of memories – those of Nina, the legendary dancer and Artistic Director and the talented Ballet Company with an impressive repertoire of 53 premieres during this period, including full-length classical and modern ballets and short pieces, divertissements. The Company toured 28 times outside of Georgia and within the country.

Please join us in thanking Nina Ananiashvili and celebrating her ten years leading the State Ballet of Georgia. We are excited to continue our cooperation and wish her and the Georgian Ballet all the best and many more spectacular performances!

THE FRIENDS OF THE GEORGIAN BALLET COMMITTEE

ქრონოს კვარტეტი

# წამი გარდასასვამდე

KRONOS QUARTET

# SECOND BEFORE THE GROUND



თრეი მაკინტაერის ქორეოგრაფია
CHOREOGRAPHY BY TREY MCINTYRE

დადგმა – ალექსეი ფადეეჩევი
ასისტენტები – ტატიანა რასტორგუევა, ელინა პალშინა
კოსტიუმების მხატვრები – გ. ბაბაევა, ნ. ბაბენკოვა
განათების მხატვარი – ამირან ანანელი

Staging – ALEXEY FADEECHEV
Assistants – TATIANA RASTORGUEVA, ELENA PALSHINA
Costume Designers – G. BABAEVA, N. BABENKOVA
Lighting Designer – AMIRAN ANANELI

პრემიერა გაიმართა 2004 წლის 6 ნოემბერს
TBILISI PREMIERE ON NOVEMBER 6, 2004





The New York Times

ალისტერ მაკოლი
ALASTAIR MACAULAY

23.06.2007

## ბრწყინვალე მოძრაობები მაყურებლისათვის

საინტერესოა, რომ ჯეიკობს ფილოუს მაყურებელს მოეწონა თრეი მაკინტაერის „წამი გარდასახვამდე“, რომელიც ჰიუსტონის ბალეტისთვის 1996 წელს შეიქმნა (საქართველოში დაიდგა ალექსეი ფადეეჩევის მიერ).

აქაც ნათლად ჩანს, თუ როგორი ნიჭიერები არიან  მოცეკვავეები. მამაკაცები არაჩვეულებრივი, რითმული ნახტომებით გამოირჩევიან და ყოველთვის მზად არიან, რაც შეიძლება მაღლა ასწიონ თავიანთი პარტნიორი ქალები.

## BRILLIANT MOVEMENTS FOR THE AUDIENCE

The Jacob's Pillow audience seemed to prefer the centerpiece of the program, Trey McIntyre's *Second Before the Ground*, created in 1996 for the Houston Ballet (and staged for the Georgians by Alexey Fadeechev).

You see how skilled these dancers are: the sheer polish of the men is striking, with brilliant definition of beaten jumps and ready assurance in lifting women high overhead.

ანტონიო ვივალდი

# GREEN

ANTONIO VIVALDI



სტენტონ უელშის ქორეოგრაფია
CHOREOGRAPHY BY STANTON WELCH

დადგმა – ალექსეი ფადეეჩევი
ასისტენტი – ტატიანა რასტორგუევა
კოსტიუმების მხატვარი – სტენტონ უელში
განათების მხატვარი – ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი – ზაზა კალმახელიძე

Staging – ALEXEY FADEECHEV
Assistant – TATIANA RASTORGUEVA
Costume Designer – STANTON WELCH
Lighting Designer – AMIRAN ANANELI
Staging Conductor – ZAZA KALMAKHELIDZE

პრემიერა გაიმართა 2004 წლის 6 ნოემბერს
TBILISI PREMIERE ON NOVEMBER 6, 2004



ნინო ანანიაშვილი
დიმიტრი ბელოგოლოვცევი
(მოსკოვის დიდი თეატრი)
NINA ANANIASHVILI
DMITRY BELOGOLOVTSEV
(BOLSHOI BALLET)

ლაშა ხოზაშვილი
LASHA KHOZASHVILI

ალექსეი რატმანსკის ქორეოგრაფია
CHOREOGRAPHY BY ALEXEI RATMANSKY

დადგმა – ალექსეი ფადეეჩევი
ასისტენტი – ტატიანა რასტორგუევა
დამდგმელი მხატვარი – მიხეილ მახარაძე
განათების მხატვარი – ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი – თამაზ ჯაფარიძე

Staging – ALEXEY FADEECHEV
Assistant – TATIANA RASTORGUEVA
Staging Designer – MIKHEIL MAKHARADZE
Lighting Designer – AMIRAN ANANELI
Staging Conductor – TAMAZ JAPARIDZE

პრემიერა გაიმართა 2004 წლის 6 ნოემბერს
TBILISI PREMIERE ON NOVEMBER 6, 2004

ლ. ეტო, ნ. იამაგუჩი, ა. ტოშა

# სიზმრები იაპონიაზე

L. ETO, N. IAMAGUCHI, A. TOSHA

# DREAMS ABOUT JAPAN



უილიამ პრატი, ნინო ანანიაშვილი, ლალი კანდელაკი, ვასილ ახმეტელი, დავით ანანელი, ცისია ჩოლოყაშვილი
WILLIAM PRATT, NINA ANANIASHVILI, LALI KANDELAKI, VASIL AKHMETELI, DAVID ANANELI, TSISIA CHOLOKASHVILI

▷ ნინო მახაშვილი, დავით ანანელი, ნინო ანანიაშვილი, უილიამ პრატი, ანა ალბუთაშვილი, ვასილ ახმეტელი, ფილიპე სოლანო
NINO MAKHASHVILI, DAVID ANANELI, NINA ANANIASHVILI, WILLIAM PRATT, ANA ALBUTASHVILI, VASIL AKHMETELI, PHILIPPE SOLANO

▷ ლაშა ხოზაშვილი, ედუარდ ბაბლიძე, დავით ხოზაშვილი, ანა მურადელი, ნინო ოჩიაური, ირაკლი ბახტაძე, ცისია ჩოლოყაშვილი
LASHA KHOZASHVILI, EDUARD BABLIDZE, DAVID KHOZASHVILI, ANA MURADELI, NINO OCHIAURI, IRAKLI BAKHTADZE, TSISIA CHOLOKASHVILI

The Washington Post

სარა კაუფმანი
SARAH KAUFMAN

07.11.2011

## საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა ლისნერის სახელობის აუდიტორია მოაჯადოვა

1998 წელს დადგმული „სიზმრები“ ისე გამოიყურება, როგორც კაბუკის თემაზე კლასიკური მოცეკვავეების ფანტაზიები ოპიუმის ნისლში. დასარტყამი ინსტრუმენტებით ცოცხლად შესრულებულმა მუსიკამ და შეძახილებმა ცეკვის ენერგიულობაში თავისი წვლილი შეიტანა. თუმცა თვით ცეკვაც საოცრად გიჟური ფეთქებადობით ხასიათდება. დახეული კიმონოებით ამ ენერგიულ ცეკვაში თითქოს ნიჟინსკის „კურთხეული გაზაფხულის“ გავლენაც ჩანს (ბოლოს მსხვერპლშეწირვის ობიექტიც ჩნდება).

## STATE BALLET OF GEORGIA ENCHANTS AT LISNER AUDITORIUM

*Dreams*, from 1998, is what classical ballet dancers fantasizing about Kabuki — through an opium haze, perhaps — would look like. Live drummers and chanting contributed a driving energy, but the dancing itself has a wonderfully crazed, barely contained combustibility. It's a romp, a slumber party in tattered kimonos, with a bit of Nijinsky's *Rite of Spring* mixed in (there's a sacrificial victim near the end).







DANCE MAGAZINE

უენდი პერონი
BY WENDY PERRON

## ნინო ანანიაშვილი და საქართველოს სახელმწიფო ბალეტი

ლ. ეტოს, ნ. იამაგუჩისა და ა. ტოშას თავშეკავებული, დრამატული მუსიკა, რომელიც სცენაზე ჯანლუკა მარჩანოს დირიჟორობით სრულდება, შესაბამის ფონს ქმნის. დამაინტრიგებელი პირველი სოლო–„ქალწული წერო“, რომელსაც ფილიპე სოლანო თეთრ კოსტიუმში ცეკვავს, ერთი მხრივ, ფორმისა და რითმის სიმახვილით ხასიათდება, მეორე მხრივ კი, დელიკატური და სათუთია. მართლაც დაუვიწყარი იყო დავით ანანელის „ლომის ცეკვა“ – მისი ბუნებრივი მამაკაცურობა, შერწყმული მისი ხელების ნატიფ მოძრაობებთან, თითქმის ველურ სახეს ქმნიდა.

ფინალურ ნაწილში, დანარჩენ მოცეკვავეებს შორის, ანანიაშვილი ისე ცეკვავს, თითქოს ყველა ამ ხასიათს აერთიანებდეს – ეს გასაგებიცაა, რადგან ეს ბალეტი მისი ჩანაფიქრის შედეგად განხორციელდა. უკანასკნელი გიჟური 10 წამის განმავლობაში ის მათ უერთდება და ისე მოძრაობს, თითქოს ყოველი ნაბიჯი მისი საკუთრებაა და სხვისი არავისი. ამის ხილვა ერთი სიამოვნებაა!

◂ დავით ხოზაშვილი
DAVID KHOZASHVILI

▾ უილიამ პრატი, ნინო ანანიაშვილი, ცისია ჩოლოყაშვილი, ვასილ ახმეტელი
WILLIAM PRATT, NINA ANANIASHVILI, TSISIA CHOLOKASHVILI, VASIL AKHMETELI

05.11.2011



## NINA ANANIASHVILI AND THE STATE BALLET OF GEORGIA

The spare, dramatic score, composed by L. Eto, N. Yamaguchi, and A. Tosha and conducted onstage by Gianluca Marciano, sets the tone. The intriguing first solo, *The Heron Maiden*, danced by Philippe Solano in a white tunic, is sharp in design and rhythm, yet delicate and vulnerable. But it was David Ananeli, in the *Lion Dance*, who was unforgettable. His grounded virility combined with soft pawing-the-air to create an almost savage figure.

At the end, amidst all the other dancers, Ananiashvili is drumming on the floor as though she has conjured all these characters — which makes sense because apparently this ballet was her idea. Then she gets up and joins them, going wild for the last 10 seconds, like the steps are hers to own or throw away. What a thrill! »

პეტრე ჩაიკოვსკი

# გედების ტბა

PYOTR TCHAIKOVSKY

# SWAN LAKE

ბალეტი ორ მოქმედებად
BALLET IN TWO ACTS



**მარიუს პეტიპას და ლევ ივანოვის ქორეოგრაფია**
**ალექსეი ფადეეჩევის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა**

დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტები – ტატიანა რასტორგუევა, დიმიტრი კორნეევი
დამდგმელი მხატვრები – ვიაჩესლავ ოკუნევი, გიგა ლაპიაშვილი
განათების მხატვარი – პოლ ვიდარ საევარანგი
განათების მხატვრის ასისტენტი – ამირან ანანელი
დირიჟორი – თამაზ ჯაფარიძე

**პრემიერაში მონაწილეობდნენ: ლალი კანდელაკი, ირაკლი ბახტაძე**

პრემიერა გაიმართა 2005 წლის 11 მარტს



CHOREOGRAPHY BY MARIUS PETIPA AND LEV IVANOV
CHOREOGRAPHIC REDACTION AND STAGING BY ALEXEY FADEECHEV

Assistants to the Staging Choreographer – TATIANA RASTORGUEVA, DMITRI KORNEEV
Staging Designers – VYACHESLAV OKUNEV, GIGA LAPIASHVILI
Lighting Designer – PAUL VIDAR SAEVARANG
Assistant to the Lighting Designer – AMIRAN ANANELI
Conductor – TAMAZ JAPARIDZE

**Principal roles in the premiere performance danced by LALI KANDELAKI, IRAKLI BAXTADZE**

TBILISI PREMIERE ON MARCH 11, 2005





დავით მახათელი
DAVID MAKHATELI

« აქ სტუმრის როლში ჩამოვდივარ, ამიტომ ჩემთვის ადვილია ადრინდელსა და ახლანდელ მდგომარეობას შორის განსხვავების შემჩნევა.

I come here as visitor, so it is easy to spot the difference between what used to be and what is now. »

▲ ნადეჟდა გრაჩევა, ანდრეი უვაროვი (მოსკოვის დიდი თეატრი)
NADEZHDA GRACHEVA, ANDREI UVAROV (BOLSHOI THEATRE)

▲ ალინა სომოვა (მარიას თეატრი), დავით მახათელი (კოვენტ გარდენი)
ALINA SOMOVA (MARIINSKY THEATRE), DAVID MAKHATELI (THE ROYAL BALLET)

▶ ნინო სამადაშვილი, მიხეილ ტიმაევი (თათრეთის ოპერის თეატრი))
NINO SAMADASHVILI, MIKHAIL TIMAEV (TATAR STATE OPERA THEATRE)

ალექსეი ფადეეჩევი უკვე ათი წელია თანამშრომლობს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასთან. 2004 წლიდან დღემდე ა. ფადეეჩევმა თეატრის სცენაზე დადგა რამდენიმე კლასიკური ბალეტი. მას ეკუთვნის ალექსეი რატმანსკის, თრეი მაკინტაერის და სტენტონ უელშის თანამედროვე ერთმოქმედებიანი ბალეტების დადგმის განხორციელება თბილისში. ალექსეი ფადეეჩევი ხშირად ატარებს მასტერკლასებს საბალეტო დასის მოცეკვავეებისათვის.

Alexey Fadeechev has been collaborating with the Tbilisi Opera and Ballet State Theatre Ballet Company for a decade now. Fadeechev staged a number of classical ballets at the theatre since 2004 and worked as staging ballet master for contemporary one-act pieces by Alexei Ratmansky, Trey McIntyre and Stanton Welch in Tbilisi. Fadeechev holds frequent master classes for company dancers.



ალექსეი ფადეეჩევი
ALEXEY FADEECHEV







The Post and Courier
08.06.2007

## არაჩვეულებრივი „გედების ტბა“

„გედების ტბის“ არაჩვეულებრივი რედაქცია, რომელიც სამშაბათს იქნა წარმოდგენილი პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილისა და საქართველოს სახლმწიფო ბალეტის მიერ, ბალეტომანებს უბიძგებს აღარ ნახონ ეს სპექტაკლი სხვა რედაქციით.

„გალიარდის“ დარბაზში ძლივს დატეულმა აუდიტორიამ პრიმა-ბალერინა ფეხზე ამდგარი  ოვაციით დააჯილდოვა. თუმცა ეს მთელმა დასმა დაიმსახურა თავისი პროფესიონალიზმით. განსაკუთრებით გედებმა, რომლებსაც უნაკლოდ ეჭირათ არაბესკის პოზიცია.

## A REMARKABLE *SWAN LAKE*

A smashing production of *Swan Lake* performed Thursday by the prima ballerina Nina Ananiashvili and the State Ballet of Georgia should cause any balletomane never to view the famous ballet in the same way again.

The near-capacity crowd at Gaillard Auditorium gave Ananiashvili a standing ovation, but truly all the corps de ballet deserved one for their impeccable performance, especially the swans who held a perfect arabesque position for an interminable time without a wobble.

ნინო ანანიაშვილი, დენის მატვიენკო (ამერიკის ბალეტის თეატრი)
NINA ANANIASHVILI, DENIS MATVIENKO (AMERICAN BALLET THEATRE)


ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო თეატრის შენობაში
In Alexander Griboedov Russian State Theatre
თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
ZAKARIA PALIASHVILI
TBILISI STATE OPERA AND BALLET THEATRE
KSB
30 მარტი 19:00
31 March 15:00
გედების ტბა
პ. ჩაიკოვსკი
P. Tchaikovsky
Swan Lake


ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის
რუსული სახელმწიფო თეატრის შენობაში
In Alexander Griboedov Russian State Theatre
საბალეტო დასი
State Ballet of Georgia
KSB
გედების ტბა
Swan Lake
ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი
Nina Ananiashvili, Vasil Akhmeteli
22 ოქტომბერი October 19:00



მარიუს პეტიპას, ალექსანდრე გორსკის და ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფია
ალექსეი ფადეეჩევის და ნინო ანანიაშვილის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა

დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტები —
ტატიანა რასტორგუევა, იულიანა მალხასიანცი
დამდგმელი მხატვარი — ვიაჩესლავ ოკუნევი
განათების მხატვარი — ამირან ანანელი
დირიჟორი — ზაზა კალმახელიძე

პრემიერაში მონაწილეობდნენ:
ლალი კანდელაკი, დავით ხოზაშვილი

პრემიერა გაიმართა 2005 წლის 6 მაისს



სეზონი 153 SEASON

ლუდვიგ მინკუსი

# დონ კიხოტი

LUDWIG MINKUS

# DON QUIXOTE

ბალეტი სამ მოქმედებად

BALLET IN THREE ACTS

CHOREOGRAPHY BY MARIUS PETIPA, ALEXANDER GORSKY AND VAKHTANG CHABUKIANI

CHOREOGRAPHIC REDACTION AND STAGING BY ALEXEY FADEECHEV AND NINA ANANIASHVILI

Assistants to the Staging Choreographers – TATIANA RASTORGUEVA, IULIANA MALKHASIANTS
Staging Designer – VYACHESLAV OKUNEV
Lighting Designer – AMIRAN ANANELI
Conductor – ZAZA KALMAKHELIDZE

**Principal roles in the premiere performance danced by LALI KANDELAKI and DAVID KHOZASHVILI**

TBILISI PREMIERE ON MAY 6, 2005

CHICAGO SUN-TIMES

ჰედი ვეისი
BY HEDY WEISS

## „დონ კიხოტი“ – გამოხატვის საუკეთესო საშუალება საყვარელი ბალერინასათვის

„დონ კიხოტი“, თავისი ესპანური სტილით, ქართველების იდეალური ნამუშევარია. საბჭოთა პერიოდში სამხრეთ კავკასიის ეს რესპუბლიკა ცნობილი იყო, როგორც განსაკუთრებით თბილი და ემოციური ადგილი, ვენახებითა და ხეხილის ბაღებით. ამ ბალეტშიც, ისევე როგორც ქართულ გარემოში, დიდი ადგილი უჭირავს თეატრალობას. სამმოქმედებიანი კლასიკა, რომელიც ალექსეი ფადეეჩევის მიერ იქნა განახლებული, შეუჩერებელი ცეკვის ზეიმადაც წარმოგვიდგება.

## *DON QUIXOTE* A PERFECT VEHICLE FOR BELOVED BALLERINA

*Don Quixote*, with its flamboyant Spanish backdrops and operetta-like storytelling and comedy, proves to be the ideal work by which to introduce the Georgians. During Soviet times, the southern Caucusus republic was known as the warmer, wilder place with fine vineyards and highly prized fruit orchards, and that "southern" exuberance and buoyant theatricality are key in this Spanish-themed ballet. The three-act classic (updated here by Alexey Fadeechev) also happens to be a veritable feast of nonstop dancing.

ლალი კანდელაკი
LALI KANDELAKI



07.03.2008

## ანანიაშვილი ხელახლა დაბადებულ ქართულ სახელმწიფო ბალეტს უძღვება

ანანიაშვილმა კიტრის ურთულესი როლი დაუჯერებელი სიმსუბუქით შეასრულა – ის იმდენად ძლიერია, შეიძლება ხშირად იფიქროთ, რომ პარტნიორიც არ სჭირდება, მაგრამ ვასილ ახმეტელი – მუქთმიანი, სიმპათიური და გამხდარი – მშვენივრად შეესაბამებოდა მას ბაზილის როლში.

მშვენიერი საცეკვაო წარმოდგენა შემოგვთავაზეს ნინო მახაშვილმა და ლანა მღებრიშვილმა, კიტრის მეგობრების როლში;
ვერა კიკაბიძემ მერსედესის პარტიაში და ნინო ოჩიაურმა და ლაშა ხოზაშვილმა ტორეადორისა და მისი გოგონას პარტიების შესრულებისას. მარიამ ალექსიძე ყველაზე დელიკატური ამური იყო.

## ANANIASHVILI LEADS RECHARGED STATE BALLET OF GEORGIA IN FLAMBOYANT CLASSIC

Ananiashvili flew through the hugely demanding role of Kitri, the innkeeper's daughter, as if it were a lark. She is so strong you often get the feeling she hardly needs a partner. But Vasil Akhmeteli – darkly handsome and slender – was a fine, airborne match as Basil.

More beautiful dancing came by way of Nino Makhashvili and Lana Mgebrishvili as Kitri's friends; Vera Kikabidze as Mercedes, the backbending flamenco dancer, and Nino Ochiauri and Lasha Khozashvili as a matador and his girlfriend. Mariam Aleksidze was a most delicate little Cupid.

ანა მურადელი, ვასილ ახმეტელი
ANA MURADELI, VASIL AKHMETELI




ლუდვიგ მინკუსი
დონ კიხოტი
ბალეტი სამ მოქმედებად
BALLET IN THREE ACTS
Don Quixote
LUDVIG MINKUS
ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი
154-ე თეატრალური სეზონის გენერალური სპონსორია ბანკი რესპუბლიკა


ნინო ანანიაშვილის ფონდი
NINA ANANIASHVILI FOUNDATION
DON QUIXOTE
დონ კიხოტი
ნინო ანანიაშვილი
NINA ANANIASHVILI
27 ივნისი JUNE 19.00



## ანხელ კორელა
## ANGEL CORELLA

*ბარსელონა ბალეტის დამფუძნებელი,*
*ამერიკის ბალეტის თეატრის პრემიერი 1995-2012 წ.წ.*
*Founder, Barcelona Ballet; Principal Dancer, American Ballet Theatre 1995-2012*

« ქართულ ბალეტთან თანამშრომლობაზე მეტად კარგი მოგონებები მაქვს შვიდი წლის წინ, იაპონიაში გამართული სპექტაკლიდან, როდესაც „დონ კიხოტში“ ლალი კანდელაკს გავუწიე პარტნიორობა. ასევე მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში ვცეკვავდი ნინო ანანიაშვილთან ამერიკის საბალეტო თეატრში. ქართველებსა და ესპანელებს მრავალი მსგავსება გააჩნიათ ხასიათში – მათთვის ემოციურობა და ენერგიულობაა დამახასიათებელი, ამიტომ აქ ჩამოსვლისას თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში. თბილისში ყოველთვის თბილად მხვდებიან, ლალი კი ახლა დასავითაა ჩემთვის. ნინო ანანიაშვილი ერთ-ერთია იმ მოცეკვავეებიდან, რომლებიც სცენაზე ყოფნისას ყველაფერს გადასცემენ მაყურებელს. ჩემთვის დიდი პატივია, რომ მისი პარტნიორობა მიწევდა და რომ მას პირადად ვიცნობ. აქ ყველა მეტად თბილია ჩემ მიმართ და ყოველი ჩამოსვლისას კომფორტულად მაგრძნობინებს თავს.

I have great memories of dancing with State Ballet of Georgia seven years ago in Japan, doing *Don Quixote* with Lali Kandelaki, and I have danced with Nina all my career in the American Ballet Theatre. The Georgians and the Spanish have very similar personality with lots of emotions and energy, so performing here is like being home for me. Every time I come here they give me hugs and Lali is like my sister now. I have always felt very welcome here, and Nina is one of those dancers who give everything they have when they are on stage. It is an honor to have danced with her and to know her in person. And the audience here is very enthusiastic and energetic. Everyone is really sweet and makes me feel very welcome every time I come here. The energy and even look of the people here is very similar to the Spanish so I feel very comfortable. I feel at home here. »

ლალი კანდელაკი, ანხელ კორელა (ამერიკის ბალეტის თეატრი). ტოკიო 2008
LALI KANDELAKI, ANGEL CORELLA (AMERICAN BALLET THEATRE) IN TOKYO, 2008









# ჯორჯ ბალანჩინის ბალეტები
# GEORGE BALANCHINE BALLETS

პეტრე ჩაიკოვსკი

## სერენადა

PYOTR TCHAIKOVSKY

## SERENADE

ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია

დადგმა – ბარტ კუკი, მარია კალეგარი
დამდგმელი დირიჟორი – ზაზა კალმახელიძე

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ლალი კანდელაკი, ლაშა ხოზაშვილი, ნინო გოგუა, დავით ხოზაშვილი, თამარ ჯიბუტი**

საბალეტო დასი მადლობას უხდის მერილინ ბურბენკს, “Mirella Dancewear”-ის პრეზიდენტს, „სერენადას“ კოსტიუმების გადმოცემისათვის

პრემიერა გაიმართა 2005 წლის 20 მაისს

CHOREOGRAPHY BY GEORGE BALANCHINE

Staging – BART COOK, MARIA CALEGARI
Staging Conductor – ZAZA KALMAKHELIDZE

**Principal roles in the premiere performance danced by**
**LALI KANDELAKI, LASHA KHOZASHVILI, NINO GOGUA, DAVID KHOZASHVILI, TAMAR JIBUTI**

The Company would like to express gratitude to Marilyn Burbank, President of Mirella Dancewear, for providing costumes for *Serenade*

TBILISI PREMIERE ON MAY 20, 2005



Balletto.net 2011

ლენიანო, იტალია
LEGNANO, ITALY

30.04.2011

## სალიერის თეატრის სეზონი ბალანჩინის გაბრწყინებით დაიხურა

ჯორჯ ბალანჩინის დახვეწილი ხელოვნება საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა უნაკლო ტექნიკით წარმოგვიდგინა. ეს გახლდათ წარმატებული და ამაღელვებელი თანხვედრა, შედეგი იმ დამოკიდებულებისა, რომელსაც ქართული სახელმწიფო ბალეტი და მისი სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი (რომელიც საბალეტო სამყაროს ვარსკვლავია) მისტერ ბის (როგორც მას მისი მოწაფეები მოიხსენებდნენ) შემოქმედების მიმართ იჩენენ.

## SEASON ENDS WITH A SPARK OF BALANCHINE AT THE SALIERI THEATRE

The exquisite art by George Balanchine was presented with impeccable technique by the State Ballet of Georgia. This was a successful and moving combination, a result of the attitude by the company and its artistic director (and the international star) Nina Ananiashvili towards Mr. B's (as referred to by his pupils) work.

ლალი კანდელაკი
LALI KANDELAKI

„თბილისში დაბრუნებისთანავე დავიწყე ბალანჩინის ბალეტების ლიცენზიების შეძენა, იმიტომ რომ მისი ქორეოგრაფია მოცეკვავეებს მართლაც უკეთესს ხდის. ბალანჩინის ნაწარმოებები მოცეკვავისთვის იგივეა, რაც თანამედროვე არქიტექტორისთვის კლასიკური ბერძნული არქიტექტურა – შეგიძლია მას ეკამათო, შეგიძლია დაეთანხმო, მაგრამ მისი არცოდნა შენივე ნამუშევარს არააქტუალურად აქცევს. ჩვენ რეპერტუარში შემავალ ბალანჩინის 10 შედევრს – „სერენადა“, „აპოლონ მუსაგეტი“, „სიმფონიური ვესტერნი“, „მოცარტიანა“, „ჩაკონა“, „დონიცეტი ვარიაციები“, „ტარანტელა“, „ბუგაკუ“, „ჩაიკოვსკი პა დე დე“ და „Duo Concertant“ – 2014 წელს, ბალანჩინის საიუბილეოდ „Concerto Barocco“ დაემატა. ეს შეერთებული შტატების საელჩოს განსაკუთრებული მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი, რისთვისაც მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ელჩს, მის აღმატებულებას ბ-ნ რიჩარდ ბ. ნორლანდს.

ნინო ანანიაშვილი

Upon my return to Tbilisi I immediately set out to receive licenses for Balanchine ballets because their choreography truly improves dancers. His works are for them what the classical Greek architecture is for modern architects – you can argue against or agree with it, but ignorance about it will make your work irrelevant. The ten Balanchine masterpieces of our repertory – *Serenade, Apollo, Western Symphony, Mozartiana, Chaconne, Donizetti Variations, Tarantella, Bugaku, Tchaikovsky pas de deux* and *Duo Concertant* – were joined by *Concerto Barocco* for the 2014 anniversary of Balanchine's birth. This has been made possible thanks to the special support by the United States Embassy to Georgia, for which I would like to express my gratitude to His Excellency the Ambassador Richard B. Norland.

NINA ANANIASHVILI





ბარტ კუკი
BART COOK



მარია კალეგარი
MARIA CALEGARI



იგორ სტრავინსკი

# აპოლონ მუსაგეტი

# APOLLON MUSAGETE

IGOR STRAVINSKY

### ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია

დადგმა – ბარტ კუკი, მარია კალეგარი
დამდგმელი დირიჟორი – ზაზა კალმახელიძე

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ლაშა ხოზაშვილი, ნინო გოგუა,**
**ნინო ოჩიაური, ცისია ჩოლოყაშვილი**

საბალეტო დასი მადლობას უხდის მერილინ ბურბენკს, “Mirella Dancewear”-ის პრეზიდენტს, „აპოლონ მუსაგეტის“ კოსტიუმების გადმოცემისათვის

პრემიერა გაიმართა 2005 წლის 20 მაისს

### CHOREOGRAPHY BY GEORGE BALANCHINE

Staging – BART COOK, MARIA CALEGARI
Staging Conductor – ZAZA KALMAKHELIDZE

**Principal roles in the premiere performance danced by**
**LASHA KHOZASHVILI, NINO GOGUA,**
**NINO OCHIAURI, TSISIA CHOLOKASHVILI**

The Company would like to express gratitude to Marilyn Burbank, President of Mirella Dancewear, for providing costumes for *Apollon Musagete*

TBILISI PREMIERE ON MAY 20, 2005

ლაშა ხოზაშვილი
LASHA KHOZASHVILI

▸ მაია დოლიძე, ანა მურადელი, ლალი კანდელაკი, იგორ ზელენსკი
MAYA DOLIDZE, ANA MURADELI, LALI KANDELAKI, IGOR ZELENSKY

▸ ნინო გოგუა, ლაშა ხოზაშვილი
NINO GOGUA, LASHA KHOZASHVILI





იგორ ზელენსკი, მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავი, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მოსკოვის მუსიკალური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელმაც თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი დაამთავრა და ვახტანგ ჭაბუკიანის ერთ-ერთი ბოლო მოსწავლე იყო, თბილისში ხშირად ჩამოდის გასტროლზე. 2007 წელს იგორ ზელენსკიმ, ბალანჩინის „აპოლონ მუსაგეტის“ ერთ-ერთმა საუკეთესო შემსრულებელმა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე აპოლონის პარტია იცეკვა.

Igor Zelensky – a world ballet star and Artistic Director at the Stanislavsky and Nemirovich-Danchenko Moscow Musical Theatre Ballet Company who graduated from the Tbilisi Choreographic School and was one of the last students of Vakhtang Chabukiani – frequently tours Tbilisi. Zelensky, one of the greatest performers of the principal role in *Apollo* by Balanchine, danced the role on the Tbilisi Opera and Ballet Theatre stage in 2007.



ჰერში კეი

# სიმფონიური ვესტერნი

HERSHY KAY

# WESTERN SYMPHONY

ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია

დადგმა – ბარტ კუკი, მარია კალეგარი
დამდგმელი მხატვარი – დავით მონავარდისაშვილი
კოსტუმების მხატვარი – ნათია სირბილაძე
დამდგმელი დირიჟორი – ზაზა კალმახელიძე

**პრემიერაში მონაწილეობდნენ: ნინო ოჩიაური, დავით ხოზაშვილი, ნინო გოგუა, ედუარდ ბაბლიძე, ანა ყიფშიძე, ლაშა ხოზაშვილი, თამარ ჯიბუტი**

პრემიერა გაიმართა 2005 წლის 20 მაისს

CHOREOGRAPHY BY GEORGE BALANCHINE

Staging – BART COOK, MARIA CALEGARI
Staging Designer – DAVID MONAVARDISASHVILI
Costume Designer – NATIA SIRBILADZE
Staging Conductor – ZAZA KALMAKHELIDZE

**Principal roles in the premiere performance danced by NINO OCHIAURI, DAVID KHOZASHVILI, NINO GOGUA, EDUARD BABLIDZE, ANA KIPSHIDZE, LASHA KHOZASHVILI, TAMAR JIBUTI**

TBILISI PREMIERE ON MAY 20, 2005



ეკა შავლიაშვილი, ეკა ჩუბინიძე, გიორგი საგინაშვილი, ნატა რიგვავა, გვანცა რეხვიაშვილი
EKA SHAVLIASHVILI, EKA CHUBINIDZE, GIORGI SAGINASHVILI, NATA RIGVAVA, GVANTSA REKHVIASHVILI

ლაშა ხოზაშვილი
LASHA KHOZASHVILI








გიორგი მშვენიერაძე
GIORGI MSHVENIERADZE



ფერდინანდ ჰეროლდი

# ამაო სიფრთხილე

# LA FILLE MAL GARDÉE

FERDINAND HÉROLD

ბალეტი ორ მოქმედებად
BALLET IN TWO ACTS

ფრედერიკ ეშტონის ქორეოგრაფია

ჯონ ლანჩბერის მუსიკალური რედაქცია და გაორკესტრება

დადგმა – ალექსანდერ გრანტი
ასისტენტი – ემილიო მარტინსი
დამდგმელი მხატვარი – ოსბერტ ლანკასტერი
მხატვარ-შემსრულებლები – გიორგი თანდაშვილი, დავით მონავარდისაშვილი
კოსტიუმების მხატვარი – ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი – ჯონ ბ. რიდი
განათების მხატვრის ასისტენტი – ამირან ანანელი
დირიჟორი – ზაზა კალმახელიძე

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ლაშა ხოზაშვილი, ევგენი გერასიმენკო, ანასტასია გარიაჩევა, გენადი იანინი**
**(მოსკოვის დიდი თეატრი)**

პრემიერა გაიმართა 2005 წლის 30 ივნისს

CHOREOGRAPHY BY FREDERICK ASHTON

MUSICAL ARRANGEMENT AND ORCHESTRATION BY JOHN LANCHBERY

Staging – ALEXANDER GRANT
Assistant – EMILIO MARTINS
Staging Designer – OSBERT LANCASTER
Designers – GIORGI TANDASHVILI, DAVID MONAVARDISASHVILI
Costume Designer – NATIA SIRBILADZE
Lighting Designer – JOHN B. READ
Assistant to the Lighting Designer – AMIRAN ANANELI
Conductor – ZAZA KALMAKHELIDZE

**Principal roles in the premiere performance danced by**
**LASHA KHOZASHVILI, EVGENY GERASIMENKO, ANASTASIA GORYACHEVA, GENNADY YANIN (Bolshoi Ballet)**

TBILISI PREMIERE ON JUNE 30, 2005

ლაშა ხოზაშვილი
LASHA KHOZASHVILI






The Tbilisi Times
#06, 07.2006

მარკ ლოვე
MARK LOWE

## მოხერხებული ქოშები, ყვითელი ტრიკო და მაცდური პარიკი

წადით და ნახეთ „ამაო სიფრთხილე“. ეს საუკეთესოდაა გაკეთებული. დადგმა ნათელია, პასტორალური თივის ზვინით, ლირიული და გამომხატველი ცეკვით. კოსტიუმები ბრწყინვალედ ფერადოვანია. ცეკვა ცოცხალი და სუფთაა. კორდებალეტის გოგონები მშვენიერნი არიან, მთავარი გმირი კი (ლაშა ხოზაშვილი) საოცრად მამაკაცური. წადით და ნახეთ ბალეტი, თუ თქვენ მოგწონთ ბრწყინვალედ შესრულებული მსუბუქი გასართობი სპექტაკლი. მაგრამ, აუცილებლად წადით იქ ბავშვებთან ერთად. ისინი კარგ ხასიათზე დაგაყენებენ.

## CLEVER CLOGS, CANARY TIGHTS AND WICKED WIGS

Go and see *La fille mal gardée*. The production is done in the best way possible. The staging is bright, with pastoral hays, lyrical and expressive dances. The costumes are brilliantly colorful. The dancing is lively and clean. The corps de ballet girls are beautiful, while the principal role performer (Lasha Khozashvili) is wonderfully masculine. Go and see the ballet if you like a remarkably done, light and entertaining spectacle. But definitely take your children with you. They will raise your spirits.

დამდგმელი ქორეოგრაფი – თრეი მაკინტაერი
დამდგმელი მხატვარი – დავით მონავარდისაშვილი
კოსტიუმების მხატვარი – ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი – ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი – სერგეი სტადლერი

**პრემიერაში მონაწილეობდნენ: ლალი კანდელაკი, ირაკლი ბახტაძე, ირაკლი შენგელია**

მსოფლიო პრემიერა გაიმართა 2005 წლის 8 ოქტომბერს

Staging Choreographer – TREY MCINTYRE
Staging Designer – DAVID MONAVARDISASHVILI
Costume Designer – NATIA SIRBILADZE
Lighting Designer – AMIRAN ANANELI
Staging Conductor – SERGEI STADLER

Principal roles in the premiere performance danced by
LALI KANDELAKI, IRAKLI BAKHTADZE, IRAKLI SHENGELIA

WORLD PREMIERE ON OCTOBER 8, 2005

ფელიქს მენდელსონი

# ზაფხულის ღამის სიზმარი

FELIX MENDELSSOHN

# MIDSUMMER NIGHT'S DREAM



ანა მურადელი, გიორგი ჩხაიძე
ANA MURADELI, GIORGI CHKHAIDZE

ლეონარდ ბერნსტაინი

# ლეა
# LEAH

LEONARD BERNSTEIN

ალექსეი რატმანსკის ქორეოგრაფია
CHOREOGRAPHY BY ALEXEI RATMANSKY

დადგმა – ალექსეი ფადეეჩევი
დამდგმელი მხატვარი – მიხეილ მახარაძე
განათების მხატვარი – ვიაჩესლავ კუტეევი
დამდგმელი დირიჟორი – ზაზა კალმახელიძე
**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ნინო ოჩიაური, სერგეი ფილინი (მოსკოვის დიდი თეატრი)**

Staging – ALEXEY FADEECHEV
Staging Designer – MIKHEIL MAKHARADZE
Lighting Designer – VIACHESLAV KUTEEV
Staging Conductor – ZAZA KALMAKHELIDZE
**Principal roles in the premiere performance danced by**
**NINO OCHIAURI, SERGEI FILIN (Bolshoi Ballet)**

პრემიერა გაიმართა 2005 წლის 8 ოქტომბერს
TBILISI PREMIERE ON OCTOBER 8, 2005



ნინო ოჩიაური
NINO OCHIAURI





◀ ნინო ოჩიაური, სერგეი ფილინი
NINO OCHIAURI, SERGEI FILIN

▲ ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი
NINA ANANIASHVILI, VASIL AKHMETELI

▶ ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი
NINA ANANIASHVILI, VASIL AKHMETELI




ლეა
LEAH
ლეონარდ ბერნსტაინი
Leonard Bernstein
ბალეტი ერთ მოქმედებად
BALLET IN ONE ACT
154-ე თეატრალური სეზონის გენერალური სპონსორია ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC IS THE GENERAL SPONSOR OF 154 th SEASON

ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია
CHOREOGRAPHY BY GEORGE BALANCHINE

დადგმა – ბარტ კუკი, მარია კალეგარი
დამდგმელი მხატვარი – რუბენ ტერ-არუთინიანი
კოსტიუმების მხატვარი – ნათია სირბილაძე
დამდგმელი დირიჟორი – ზაზა კალმახელიძე

**პრემიერაში მონაწილეობდნენ: ნინო გოგუა, ლაშა ხოზაშვილი**

პრემიერა გაიმართა 2005 წლის 26 ნოემბერს

Staging – BART COOK, MARIA CALEGARI
Staging Designer – ROUBEN TER-ARUTUNIAN
Costume Designer – NATIA SIRBILADZE
Conductor – ZAZA KALMAKHELIDZE

Principal roles in the premiere performance danced by
NINO GOGUA, LASHA KHOZASHVILI

TBILISI PREMIERE ON NOVEMBER 26, 2005

პეტრე ჩაიკოვსკი

# მოცარტიანა

PYOTR TCHAIKOVSKY

# MOZARTIANA



ნინო ანანიაშვილი
NINA ANANIASHVILI



ნინო გოგუა, ლაშა ხოზაშვილი
NINO GOGUA, LASHA KHOZASHVILI

The New York Times 23.06.2007

ალისტერ მაკოლი
ALASTAIR MACAULAY

«ყველაზე ფაქიზი ბალანჩინის „მოცარტიანაა“. ბალეტის თემა და ფინალური ვარიაცია არაჩვეულებრივია და უფრო მძაფრად არის გადმოცემული ქალი და მამაკაცი სოლისტების მიერ. ნინო გოგუა და ლაშა ხოზაშვილი-მომხიბვლელად გამოიყურებიან, თუმცა ზედმეტად ფრთხილი და თავშეკავებულნი იყვნენ, რომ გამოემჟღავნებინათ ამ ბალეტის გასაოცარი სიბრძნე.

The fragile item is the opener, Balanchine's *Mozartiana*. Though anyone used to seeing this on a big opera-house stage will be fascinated to see how its choreography changes on a small one, the exposure that its exacting *Theme and Variations* finale places on its leading man and woman is intense. Nino Gogua and Lasha Khozashvili, both handsome, were far too guarded and dignified to reveal the choreography's astounding wit. »



ქრისტოფ
ვილიბალდ
გლიუკი

# ჩაკონა

CHRISTOPH
WILLIBALD
GLUCK

# CHACONNE

ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია

დადგმა – ბარტ კუკი, მარია კალეგარი
კოსტიუმების მხატვარი – ნათია სირბილაძე
დამდგმელი დირიჟორი – ზაზა კალმახელიძე

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ანა მურადელი, ირაკლი ბახტაძე**

პრემიერა გაიმართ 2005 წლის 26 ნოემბერს

CHOREOGRAPHY BY GEORGE BALANCHINE

Staging – BART COOK, MARIA CALEGARI
Costume Designer – NATIA SIRBILADZE
Conductor – ZAZA KALMAKHELIDZE

**Principal roles in the premiere performance danced by**
**ANA MURADELI, IRAKLI BAKHTADZE**

TBILISI PREMIERE ON NOVEMBER 26, 2005





ანა მურადელი, ვასილ ახმეტელი
ANA MURADELI, VASIL AKHMETELI




critical dance

**16.02.2008**

კეთრინ პოვლიკი
CATHERINE PAWLICK

ანა მურადელი ლამაზი, ქერა ბალერინაა ძლიერი, ნატიფი, გრძელი ფეხებითა და გრაციოზული ხელებით. პარტნიორ ვასილ ახმეტელთან ერთად მან შექმნა ლირიკული ფანტაზია, რომლის სერიოზულმა მანერამ დარბაისლური შტრიხი შეიტანა ცეკვაში. მურადელის ლამაზი ხაზები დამატყვევებელია. მისი არისტოკრატულობა და მოძრაობების ელეგანტურობა ხელს შეუწყობს მის წარმატებულ კარიერას.

Anna Muradeli, a beautiful blonde with strong, tapered legs, slender arms and high arches, created a lyrical fantasy with partner Vasil Akhmeteli, whose serious demeanor added a note of gravity to the dance. Muradeli's beauty of line is mesmerizing to behold. In one series of partnered turns, her spine was so erect so as to suggest a spinning top. Muradeli's regality and elegance of movement are sure to lead her to a long and fruitful career.

გაეტანო დონიცეტი

# დონიცეტი-ვარიაციები

GAETANO DONIZETTI

# DONIZETTI VARIATIONS

ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია
CHOREOGRAPHY BY GEORGE BALANCHINE

დადგმა – ბარტ კუკი, მარია კალეგარი
დამდგმელი დირიჟორი – ზაზა კალმახელიძე
**პრემიერაში მონაწილეობდნენ: მარიამ ალექსიძე, გაბრიელ გოგუა**

Staging – BART COOK, MARIA CALEGARI
Staging Conductor – ZAZA KALMAKHELIDZE
Principal roles in the premiere performance danced by
MARIAM ALEKSIDZE, GABRIEL GOGUA

პრემიერა გაიმართა 2005 წლის 26 ნოემბერს
TBILISI PREMIERE ON NOVEMBER 26, 2005









◄ ლანა კიკნაძე, რუსუდან კვიციანი, ნინო მახაშვილი, ცისია ჩოლოყაშვილი, თეონა ახობაძე, ლანა მღებრიშვილი, გაბრიელ გოგუა
LANA KIKNADZE, RUSUDAN KVITSIANI, NINO MAKHASHVILI, TSISIA CHOLOKASHVILI, TEONA AKHOBADZE, LANA MGHEBRISHVILI, GABRIEL GOGUA

▲ გვანცა გავაშელიშვილი, გიორგი ბერიძე, ეკატერინე ჩუბინიძე, ლანა მღებრიშვილი, არტურ ივანოვი, ლიკა ლაბაძე, თეონა ახობაძე, ირაკლი შენგელია, რუსუდან კვიციანი
GVANTSA GAVASHELISHVILI, GIORGI BERIDZE, EKATERINE CHUBINIDZE, LANA MGHEBRISHVILI, ARTUR IVANOV, LIKA LABADZE, TEONA AKHOBADZE, IRAKLI SHENGELIA, RUSUDAN KVITSIANI

► ლანა მღებრიშვილი
LANA MGHEBRISHVILI

► მარიამ ალექსიძე, ლაშა ხოზაშვილი
MARIAM ALEKSIDZE, LASHA KHOZASHVILI

იგორ სტრავინსკი

# DUO CONCERTANT

IGOR STRAVINSKY

ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია
CHOREOGRAPHY BY GEORGE BALANCHINE

დადგმა – ბარტ კუკი

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ნინო გოგუა, ლაშა ხოზაშვილი**

Staging – BART COOK

**Principal roles in the premiere performance danced by**
NINO GOGUA, LASHA KHOZASHVILI

**პრემიერა გაიმართა 2006 წლის 4 მარტს**
**TBILISI PREMIERE ON MARCH 4, 2006**



critical dance

16.02.2008

კეთრინ პოვლიკი
CATHERINE PAWLICK

შავთმიანი ლამაზმანი ნინო გოგუა უნაკლო ფეხებით, თეთრი მოკლე კოსტიუმით ცეკვავდა, თავის პარტნიორთან ლაშა ხოზაშვილთან ერთად. შეიძლება ითქვას, ის არის ყველაზე გამოცდილი მამაკაცი შემსრულებელი ამ დასში. წყვილის სწრაფმა გადასვლებმა, ემოციურმა ურთიერთქმედებამ, დახვეწილმა ტექნიკამ საღამოს განსაკუთრებულობა შესძინა. მე საათობით შემეძლო მეყურებინა გოგუას ფეხებისათვის. მისი ფეხის მოძრაობების დროს კარგად ჩანდა ნაზი, ელასტიური მუხლები, ძლიერი, როგორც ლითონი. მისმა რამდენიმე მოძრაობამ აჩვენა მისი მოქნილი ზურგიც.

Nino Gogua, a dark-haired beauty with perfect legs set off by a white leotard dress, danced alongside partner Lasha Khozashvili, perhaps the most sophisticated male in the company. The couple's crisp delivery, emotional interaction, and polished technique took the evening up several notches. I could have stared at Gogua's legs for hours – soft, pliant ankles proved strong as steel throughout her footwork, and several poses displayed her flexible upper back.



ანა გორგიაშვილი, დავით ანანელი
ANA GORGIASHVILI, DAVID ANANELI

ნინო გოგუა, ლაშა ხოზაშვილი
NINO GOGUA, LASHA KHOZASHVILI



ლუი მორო გოტშოკი

# ტარანტელა

# TARANTELLA

LOUIS MOREAU GOTTSCHALK

ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია
CHOREOGRAPHY BY GEORGE BALANCHINE

მუსიკა – გრანდ ტარანტელა ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის (1866)
აღდგენილი და გაორკესტრებული ჰერში კეის მიერ
დადგმა – ბარტ კუკი

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ლალი კანდელაკი, დავით ხოზაშვილი**

Music – Grand Tarantelle for Piano and Orchestra, Op. 67 (ca. 1866)
reconstructed and orchestrated by HERSHY KAY
Staging – BART COOK

**Principal roles in the premiere performance danced by**
**LALI KANDELAKI, DAVID KHOZASHVILI**

პრემიერა გაიმართა 2006 წლის 4 მარტი
TBILISI PREMIERE ON MARCH 4, 2006

ნუცა ჩეკურაშვილი, რიო კატო
NUTSA CHEKURASHVILI, RYO KATO

პეტრე ჩაიკოვსკი

# პა დე დე
# PAS DE DEUX

PYOTR TCHAIKOVSKY



ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია
CHOREOGRAPHY BY GEORGE BALANCHINE

დადგმა – ბარტ კუკი

პრემიერაში მონაწილეობდნენ:
ლალი კანდელაკი, ირაკლი ბახტაძე

Staging – BART COOK

Principal roles in the premiere performance danced by LALI KANDELAKI, IRAKLI BAKHTADZE

პრემიერა შედგა 2006 წლის 3 ივნისს
TBILISI PREMIERE ON JUNE 3, 2006

ლალი კანდელაკი, ვასილ ახმეტელი
LALI KANDELAKI, VASIL AKHMETELI



ადოლფ-შარლ ადანი

# ჟიზელი
# GISELLE

ADOLPHE ADAM

ბალეტი ორ მოქმედებად
BALLET IN TWO ACTS

**ჟან კორალის, ჟიულ პეროს და მარიუს პეტიპას ქორეოგრაფია**
**ალექსეი ფადეეჩევის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა**

ლიბრეტოს ავტორები – თეოფილ გოტიე და ჟიულ ანრი სენ-ჟორჟი
დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტი – ტატიანა რასტორგუევა
დამდგმელი მხატვარი – ვიაჩესლავ ოკუნევი
განათების მხატვარი – პოლ ვიდარ საევარანგი
დამდგმელი დირიჟორი – რევაზ ტაკიძე

**პრემიერაში მონაწილეობდნენ: ნინო გოგუა, დავით ხოზაშვილი**

პრემიერა გაიმართა 2006 წლის 17 მარტს



CHOREOGRAPHY BY JEAN CORALLI, JULES PERROT, MARIUS PETIPA
CHOREOGRAPHIC REDACTION AND STAGING BY ALEXEY FADEECHEV

Libretto by THEOPHILE GAUTIER and JULES-HENRI SAINT-GEORGES
Assistant to the Staging Choreographer – TATIANA RASTORGUEVA
Staging Designer – VYACHESLAV OKUNEV
Lighting Designer – PAUL VIDAR SAEVARANG
Staging Conductor – REVAZ TAKIDZE

**Principal roles in the premiere performance danced by** NINO GOGUA, DAVID KHOZASHVILI

TBILISI PREMIERE ON MARCH 17, 2006





The New York Times 18.06.2007

ალისტერ მაკოლი
ALASTAIR MACAULAY

## „ჟიზელი“ – სავსე სპონტანურობით, უკანდახევის გარეშე

ქართველები ცეკვავენ მუსიკალური სიზუსტით, როგორც თვით ანანიაშვილი. სტილი სუფთაა და ქალთა კორდებალეტი სინქრონულად და ერთიანად ცეკვავს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული „ჟიზელის“ ისტორია სათავეს 1940 წლიდან იღებს, ნათელია, რომ დასისთვის ეს ახალია. ამ რედაქციის მომხიბვლელობა მისი სიმარტივეა, როგორც თავად „ჟიზელია“ და არ არის გაფუჭებული პრეტენზიული რეინტერპრეტაციით, ზედმეტი მანიერიზმით. ამ გასტროლის ფარგლებში ნაჩვენები იქნება ბალანჩინის ბალეტები (რომელიც წარმოშობით ქართველი იყო) და დასავლეთში დაბადებული ქორეოგრაფების ნაწარმოებები. მე მოუთმენლად ველი შემდეგ შეხვედრებს მათთან.

## VETERAN'S *GISELLE*, FULL OF SPONTANEITY, AND NO APOLOGIES

The Georgians dance with the same musical directness and springlike charm as Ms. Ananiashvili. The style is clean, the female corps de ballet uniformly engaged. Although *Giselle*'s history in Georgia goes back to the 1940s, it's evident that most of this cast is fairly new to it. The production's pleasure is simply that this is *Giselle* itself, neither spoiled by pretentious reinterpretation nor made stale by mannerism, and with just the right romantic overlay to the ballet's classicism. This company's repertory, as will be shown on the next legs of this tour, includes ballets by Balanchine (Georgian by blood) and Western-born choreographers alive and dead; I look forward to further acquaintance.

ნინო ანანიაშვილი
NINA ANANIASHVILI



ნინო გოგუა
NINO GOGUA



ელენე გლურჯიძე,
არიონელ ვარგასი
(ინგლისის
ნაციონალური ბალეტი)
ELENA GLURDJIDZE,
ARIONEL VARGAS (ENGLISH
NATIONAL BALLET)

**RUSSIAN BAZAAR** WEEKLY NEWSPAPER

**N26, 06.2007**

ნინა ალოვერტი
NINA ALOVERT

## ქართული საბალეტო დასის გასტროლი ამერიკაში

ნიუ-იორკელი კრიტიკოსები და მაყურებელი ნიუ-ჰევენში გავემგზავრეთ, რათა დავსწრებოდით „ჟიზელს“ ქართული დასის შესრულებით. დასმა მთლიანობაში ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. კორდებალეტი, მეორე მოქმედებაში, ვილისების სცენას საოცრად სუფთად ცეკვავდა. ამერიკის ბალეტის თეატრში ხშირად ასე არ ცეკვავენ.

## STATE BALLET OF GEORGIA'S TOUR OF THE USA

As critics and audience from New York, we travelled to New Haven to see a *Giselle* performance by the Georgian troupe, especially after the company had left a very positive general impression. The corps was amazingly clean in the Wilis scene of the Act Two. Even at the American Ballet Theatre they do not often dance like this.

## ელენე გლურჯიძე
## ELENA GLURDJIDZE

*პრიმა-ბალერინა, ინგლისის ნაციონალური ბალეტი*
*Lead principal dancer, English National Ballet*

შთაბეჭდილების ქვეშ ვარ ქართული საბალეტო დასის გამოსვლით. იმ რთული პერიოდის გათვალისწინებით, რომელიც საქართველომ გაიარა, მეტად სასიხარულოა მათგან ასეთი დონის შესრულების ხილვა.

I have been impressed by the level of the company and taking into account the difficult times Georgia has gone through, I am happy to see them doing so well now.

ლეონიდ ლავროვსკის ქორეოგრაფია

ლიბრეტოს ავტორები ლეონიდ ლავროვსკი,
სერგეი პროკოფიევი, სერგეი რადლოვი
დადგმა – მიხეილ ლავროვსკი
ასისტენტები – დიმიტრი კორნეევი, ირინა ივანოვა,
ალექსეი ფადეეჩევი
დამდგმელი მხატვარი – დავით მონავარდისაშვილი
კოსტიუმების მხატვარი – ვიაჩესლავ ოკუნევი
კოსტიუმების მხატვარ-შემსრულებელი – ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი – ჯონ ბ. რიდი
დამდგმელი დირიჟორი – რევაზ ტაკიძე

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ლალი კანდელაკი, ირაკლი ბახტაძე**

პრემიერა გაიმართა 2006 წლის 19 მაისს

CHOREOGRAPHY BY LEONID LAVROVSKY

Libretto by LEONID LAVROVSKY, SERGEI PROKOFIEV,
SERGEI RADLOV
Staging – MIKHAIL LAVROVSKY
Assistants – DMITRI KORNEYEV, IRINA IVANOVA,
ALEXEY FADEECHEV
Staging Designer – DAVID MONAVARDISASHVILI
Costume Designer – VYACHESLAV OKUNEV
Assistant to Costume Designer – NATIA SIRBILADZE
Lighting Designer – JOHN B. READ
Conductor – REVAZ TAKIDZE

**Principal roles in the premiere performance danced by**
**LALI KANDELAKI, IRAKLI BAKHTADZE**

TBILISI PREMIERE ON MAY 19, 2006



სერგეი პროკოფიევი

# რომეო და ჯულიეტა
# ROMEO AND JULIET

SERGEI PROKOFIEV

ბალეტი სამ მოქმედებად
BALLET IN THREE ACTS

ლალი კანდელაკი, ირაკლი ბახტაძე
LALI KANDELAKI, IRAKLI BAKHTADZE

ანა მურადელი, ვასილ ახმეტელი
ANA MURADELI, VASIL AKHMETELI

თეონა ჩარკვიანი
TEONA CHARKVIANI









ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი
NINA ANANIASHVILI, VASIL AKHMETELI







▲ ინა აზმაიფარაშვილი, გიორგი მშვენიერაძე, შორენა ხაინდრავა, ევგენი გერასიმენკო, მაია ილურიძე-პრატი
INA AZMAIPHARASHVILI, GIORGI MSHVENIERADZE, SHORENA KHAINDRAVA, EVGENY GERASIMENKO, MAYA ILURIDZE-PRATT

► პრემიერის შემდეგ:
თეონა ჩარკვიანი, დამდგმელი ბალეტმაისტერი მიხეილ ლავროვსკი, დირიჟორი რობერტ კოული, ლალი კანდელაკი, ირაკლი ბახტაძე
AFTER A PREMIERE:
TEONA CHARKVIANI, STAGING BALLET MASTER MIKHAIL LAVROVSKY, CONDUCTOR ROBERT COLE, LALI KANDELAKI, IRAKLI BAKHTADZE

ჰოლგერ სიმონ პაული

# კონსერვატორია

HOLGER SIMON PAULLI

# LE CONSERVATOIRE

ავგუსტ ბურნონვილის ქორეოგრაფია

დადგმა – ფრენკ ანდერსენი, ევა კლობორგი
კოსტიუმების მხატვარ-შემსრულებელი – ნათია სირბილაძე
დამდგმელი მხატვარი – დავით მონავარდისაშვილი

პრემიერაში მონაწილეობდნენ:
ანა მურადელი, ეკა ჩუბინიძე, დავით ხოზაშვილი

პრემიერა გაიმართა 2006 წლის 26 ოქტომბერს

AUGUST BOURNONVILLE CHOREOGRAPHY

Staging – FRANK ANDERSEN, EVA KLOBORG
Costume Designer – NATIA SIRBILADZE
Staging Designer – DAVID MONAVARDISASHVILI

Principal roles in the premiere performance danced by
ANA MURADELI, EKA CHUBINIDZE, DAVID KHOZASHVILI

TBILISI PREMIERE ON OCTOBER 26, 2006





ცისია ჩოლოყაშვილი, ლაშა ხოზაშვილი
TSISIA CHOLOKASHVILI, LASHA KHOZASHVILI

ედუარდ ჰელსტედი,
ჰოლგერ სიმონ პაული

# პა დე დე

EDVARD HELSTEO,
HOLGER SIMON PAULLI

# PAS DE DEUX

ბალეტიდან „ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში“
FROM THE BALLET *FLOWER FESTIVAL IN GENZANO*

დადგმა – ფრენკ ანდერსენი,
ევა კლობორგი
კოსტიუმების მხატვარ-შემსრულებელი –
ნათია სირბილაძე
დამდგმელი მხატვარი –
დავით მონავარდისაშვილი

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ლაშა ხოზაშვილი, ცისია ჩოლოყაშვილი**

Staging – FRANK ANDERSEN, EVA KLOBORG
Costume Designer – NATIA SIRBILADZE
Staging Designer –
DAVID MONAVARDISASHVILI

**Principal roles in the premiere performance danced by LASHA KHOZASHVILI, TSISIA CHOLOKASHVILI**

პრემიერა გაიმართა 2006 წლის 26 ოქტომბერს
TBILISI PREMIERE ON OCTOBER 26, 2006

ფრედერიკ ეშტონის ქორეოგრაფია
CHOREOGRAPHY BY FREDERICK ASHTON

დადგმა – მარგარეტ ბარბიერი, დენის ბონერი
დამდგმელი მხატვრები – ალექსანდრე ვასილიევი, დავით მონავარდისაშვილი
დამდგმელი დირიჟორი – ზაზა კალმახელიძე

**პრემიერაში მონაწილეობდნენ: ნინო გოგუა, ირაკლი ბახტაძე, ლალი კანდელაკი, დავით ხოზაშვილი**

Staging – MARGARET BARBIERI, DENIS BONNER
Staging Designers – ALEXANDRE VASSILIEV, DAVID MONAVARDISASHVILI
Staging Conductor – ZAZA KALMAKHELIDZE

Principal roles in the premiere performance danced by NINO GOGUA, IRAKLI BAKHTADZE, LALI KANDELAKI, DAVID KHOZASHVILI

**პრემიერა გაიმართა 2006 წლის 26 ოქტომბერს**
**TBILISI PREMIERE ON OCTOBER 26, 2006**

ანდრე მესაჟე

# ორი მტრედი

ANDRÉ MESSAGER

# THE TWO PIGEONS

ბალეტი ორ მოქმედებად
BALLET IN TWO ACTS







ნინო გოგუა, ირაკლი ბახტაძე
NINO GOGUA, IRAKLI BAKHTADZE

ანა მურადელი, ლაშა ხოზაშვილი
ANA MURADELI, LASHA KHOZASHVILI

ლალი კანდელაკი
LALI KANDELAKI



დენის ბონერი
DENIS BONNER



მარგარეტ ბარბიერი
MARGARET BARBIERI

ტოშირო მაიუზუმი

# ბუგაკუ

TOSHIRO MAYUZUMI

# BUGAKU

ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია

დამდგმა – ბარტ კუკი, მარია კალეგარი
დეკორაციების მხატვარი – დეივიდ ჰეისი
დეკორაციების მხატვარ-შემსრულებელი – დავით მონავარდისაშვილი
კოსტიუმების მხატვარი – ბარბარა კარინსკა
მხატვარ-შემსრულებელი – ნათია სირბილაძე
დამდგმელი დირიჟორი – ზაზა კალმახელიძე

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ნინო გოგუა, დავით ხოზაშვილი**

პრემიერა გაიმართა 2007 წლის 17 მარტს

CHOREOGRAPHY BY GEORGE BALANCHINE

Staging – BART COOK, MARIA CALEGARI
Set Designer – DAVID HAYS
Set Design executed by DAVID MONAVARDISASHVILI
Costume Designer – BARBARA KARINSKA
Costume design executed by NATIA SIRBILADZE
Staging Conductor – ZAZA KALMAKHELIDZE

Principal roles in the premiere performance danced by
NINO GOGUA, DAVID KHOZASHVILI

TBILISI PREMIERE ON MARCH 17, 2007










ნინო გოგუა, დავით ხოზაშვილი
NINO GOGUA, DAVID KHOZASHVILI

ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი
NINA ANANIASHVILI, VASIL AKHMETELI

ალექსანდრე კრეინი

# ლაურენსია

ბალეტი ორ მოქმედებად

ALEXANDER KREIN

# LAURENCIA

BALLET IN TWO ACTS

ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფია და ლიბრეტო
ნუკრი მაღალაშვილის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა

დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტი – მედეა მაღალაშვილი
დამდგმელი მხატვრები – ალექსანდრე ვასილიევი,
დავით მონავარდისაშვილი
კოსტიუმების მხატვარ-შემსრულებელი – ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი – ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი – რევაზ ტაკიძე

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ლალი კანდელაკი, დავით ხოზაშვილი**

პრემიერა გაიმართა 2007 წლის 18 აპრილს

CHOREOGRAPHY AND LIBRETTO BY VAKHTANG CHABUKIANI
CHOREOGRAPHIC REDACTION AND STAGING BY NUKRI MAGHALASHVILI

Assistant to the Staging Ballet Master – MEDEA MAGHALASHVILI
Staging Designers – ALEXANDRE VASSILIEV,
DAVID MONAVARDISASHVILI
Costume design executed by NATIA SIRBILADZE
Lighting Designer – AMIRAN ANANELI
Staged Conductor – REVAZ TAKIDZE

**Principal roles in the premiere performance danced by**
**LALI KANDELAKI, DAVID KHOZASHVILI**

TBILISI PREMIERE ON APRIL 18, 2007



Коммерсантъ® 22.10.2010

ტატიანა კუზნეცოვა, *ბალეტის კრიტიკოსი, გაზეთი „კომერსანტი“, რუსეთი*
TATIANA KUZNETSOVA, *Ballet critic, Kommersant newspaper, Russia*

## თბილისში „ლაურენსია“ დააფასეს
## ზეიმი ვახტანგ ჭაბუკიანის ასი წლის იუბილეს აღსანიშნად

ვახტანგ ჭაბუკიანის „ლაურენსია“, რომელიც თბილისში შემოინახეს, ნათლად აჩვენებს მისი, როგორც ბალეტმაისტერის ტალანტს კლასიკური და სახასიათო ცეკვების დადგმაში. ჩვენ გვაქვს ჭაბუკიანის ქორეოგრაფიის მშვენიერი მაგალითი „ბაიადერაშიც“ – საქორწინო სცენის გრან პა, რომელიც იმდენად სრულყოფილია, რომ ყველას დაავიწყდა, რომ ის ჭაბუკიანს ეკუთვნის და მის დადგმას მარიუს პეტიპას მიაწერენ. ვფიქრობ, რომ რაც მეტი მაგალითი შემოინახება ჭაბუკიანის ქორეოგრაფიისა, მით მეტ ძეგლს დაუდგამენ თაობები ამ ბრწყინვალე ქორეოგრაფს, მოცეკვავესა და პიროვნებას.

„ლაურენსიას“ ნახვის შემდეგ შემიძლია განვაცხადო, რომ დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ ლალი კანდელაკის შესრულებისაგან – მისი ტექნიკა და სიმკვეთრე საერთაშორისო დონეს წარმოადგენს.

## *LAURENCIA* HONORED IN TBILISI
## CELEBRATIONS OF VAKHTANG CHABUKIANI'S 100TH ANNIVERSARY

Vakhtang Chabukiani's *Laurencia* – preserved in Tbilisi – is his vivid legacy that demonstrates Chabukian's talents as ballet master, his ability at staging both classical and character dancing. We still have a wonderful piece of Chabukiani's choreography in *La Bayadere* – the grand pas of the wedding scene – so perfect that everybody has forgotten it was staged by Chabukiani and credit Marius Petipa with staging it. I think the more choreographic examples by Chabukiani are preserved and performed today, the more monuments will be erected by generations to this wonderful choreographer, dancer, and person.

I was impressed by Lali Kandelaki from the *Laurencia* performance by the State Ballet of Georgia. She represented an international level of dancing with her technique and sharpness.



ლალი კანდელაკი, ვასილ ახმეტელი
LALI KANDELAKI, VASIL AKHMETELI




ტატიანა ტერეხოვა
TATIANA TEREKHOVA



*ბალეტმაისტერი, სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრი*
*Ballet Master, Mariinsky Theatre of St Petersburg*



სასიამოვნოა, რომ თბილისში „ლაურენსია" აღადგინეს. სხვა თეატრებს – მარიას თეატრის ჩათვლით, სადაც ეს ბალეტი დაიბადა – ეს დადგმა რეპერტუარში არ გააჩნია. ნინო ანანიაშვილმა დიდი სამუშაო შეასრულა, რომ ეს ბალეტი მისი მშვენიერი ცეკვებით, მუსიკით, გმირებითა და ლალი კანდელაკის მიერ ნაჩვენები ტექნიკური შესრულების ტალანტით, თქვენი თეატრის რეპერტუარში დაებრუნებინა.

It is very pleasing that *Laurencia* has been reconstructed in Tbilisi. No other theatre – including the Mariinsky where this ballet was born – has the production in their repertory. Nina Ananiashvili has done such a remarkable job to return this ballet with wonderful dances, music, characters and the technical ability demonstrated by Lali Kandelaki to the repertory here.







ნუკრი მაღალაშვილი
NUKRI MAGHALASHVILI

Arabesque N3-4, 2007

**კევინ მაკკენზი**
*ამერიკის ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი*

**KEVIN MCKENZIE**
*American Ballet Theatre Artistic Director*

„ლაურენსიამ“ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. დასი საუკეთესო ფორმაშია, კარგად ჩანს მსახიობთა სურვილი, იცეკვონ გრძნობით, გამოხატონ საუკეთესოდ. აღფრთოვანებული ვარ წამყვანი სოლისტების შესრულების ფორმით, ტექნიკური შესაძლებლობებით. როგორც ამერიკაში იტყვიან, ქუდს ვიხდი მათ წინაშე.

*Laurencia* impressed me a lot. The company is in best shape and the wish of the dancers to perform with feeling and express their best is very noticeable. I am impressed with the shape and technical ability of the principals. As they would say in the United States, I take my hat off to them.

ლალი კანდელაკი
LALI KANDELAKI

ჟორჟ ბიზე

# ვარიაციები (პა დე სიზ)

GEORGES BIZET

# BIZET VARIATIONS (PAS DE SIX)

მსოფლიო პრემიერა

WORLD PREMIERE



დამდგმელი ქორეოგრაფი – ალექსეი რატმანსკი
კოსტიუმების მხატვარი – მიხეილ მახარაძე
განათების მხატვარი – ამირან ანანელი
ფორტეპიანო – თამარ მაჭავარიანი

**პრემიერში მონაწილეობდნენ: ნინო ანანიაშვილი, ნინო ოჩიაური, მაია დოლიძე, ვასილ ახმეტელი, დავით ხოზაშვილი, ირაკლი ბახტაძე**

მსოფლიო პრემიერა გაიმართა 2008 წლის 2 თებერვალს

Staging Choreographer – ALEXEI RATMANSKY
Costume Designer – MIKHEIL MAKHARADZE
Lighting Designer – AMIRAN ANANELI
Piano – TAMAR MATCHAVARIANI

**Principal roles in the premiere performance danced by NINA ANANIASHVILI, NINO OCHIAURI, MAIA DOLIDZE, VASIL AKHMETELI, DAVID KHOZASHVILI, IRAKLI BAKHTADZE**

WORLD PREMIERE ON FEBRUARY 2, 2008



ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეთელი, დავით ხოზაშვილი, მაია დოლიძე, ირაკლი ბახტაძე
NINA ANANIASHVILI, VASIL AKHMETELI, DAVID KHOZASHVILI, MAYA DOLIDZE, IRAKLI BAKHTADZE

ნინო ანანიაშვილი
NINA ANANIASHVILI

**THE SCOTSMAN** 13.08.2008

კელი ეფთერი
KELLY APTER

★★★★★

## ედინბურგის ფესტივალი: ქართული სახელმწიფო დასი – ერთმოქმედებიანი პროგრამა

„ბიზე ვარიაციები“ – დიდი თეატრის ხელმძღვანელის ალექსეი რატმანსკის ბალეტი, მაყურებელს ანანიაშვილს წარუდგენს და ამ სპექტაკლში იგი „ჟიზელის“ ადრინდელ წარმოდგენაზე უფრო კაშკაშა შესრულებას გვთავაზობს. სამი წყვილისათვის შექმნილი მხიარული ბალეტი, რომელიც პარტნიორთა ურთიერთქმედებაზე აკეთებს აქცენტს, სიყვარულის, სურვილისა და მონატრების სიმბოლოა.

## EDINBURGH FESTIVAL: STATE BALLET OF GEORGIA – MIXED BILL

*Bizet Variations*, by Bolshoi Ballet director Alexei Ratmansky, gave us our only glimpse of Ananiashvili herself, who shone even brighter than in *Giselle* last weekend. A playful work for three couples, with powerful leaps and sensual partner work, it was filled with love, lust and longing.



ალექსი რატმანსკი
ALEXEI RATMANSKY

# საგალობელი
# SAGALOBELI

ᲔᲠᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲚᲔᲢᲘ
BALLET IN ONE ACT

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ
WORLD PREMIERE

ქართულ ხალხურ მელოდიებზე, იოსებ კეჭაყმაძის, არჩილ კერესელიძის, რევაზ ლაღიძის, გიორგი ცაბაძის, მერაბ მერაბიშვილის მუსიკაზე

დამდგმელი ქორეოგრაფი – ᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲡᲝᲮᲝᲕᲘ
მხატვარი – ᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲢᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ
განათების მხატვარი – ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲐᲜᲐᲜᲔᲚᲘ
მუსიკოს-შემსრულებელთა ჯგუფი „ჩანგი“ (ხელმძღვანელი ᲣᲩᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲘᲫᲔ)

**პრემიერაში მონაწილეობდნენ: ᲚᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ, ᲐᲜᲐ ᲛᲣᲠᲐᲓᲔᲚᲘ, ᲜᲘᲜᲝ ᲒᲝᲒᲣᲐ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲮᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲚᲐᲨᲐ ᲮᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ 2008 ᲬᲚᲘᲡ 2 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ



Based on Georgian folk melodies and music by Ioseb Ketchakmadze, Revaz Laghidze, Giorgi Tsabadze and Merab Merabishvili

Staging Choreographer – YURI POSSOKHOV
Costume Designer – ANNA KALATOZISHVILI
Lighting Designer – AMIRAN ANANELI
Folk music instrumental band *Changi* (Musical director – UCHA PATARIDZE)

**Principal roles in the premiere performance danced by LALI KANDELAKI, ANA MURADELI, NINO GOGUA, VASIL AKHMETELI, DAVID KHOZASHVILI, LASHA KHOZASHVILI**

WORLD PREMIERE ON FEBRUARY 2, 2008





ᲝᲗᲐᲠ ᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲚᲐᲨᲐ ᲮᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲜᲐᲜᲔᲚᲘ, ᲛᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲡᲮᲘᲐ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ, ᲣᲘᲚᲘᲐᲛ ᲞᲠᲐᲢᲘ
OTAR KHELASHVILI, LASHA KHOZASHVILI, DAVID ANANELI, MORIS MESKHIA, VASIL AKHMETELI, GIORGI BERIDZE, WILLIAM PRATT

**theguardian** 13.08.2008

ᲐᲚᲘᲡ ᲑᲔᲘᲜᲘ
ALICE BAIN

★★★★

## ᲔᲓᲘᲜᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲐᲚᲔᲢᲘ

«პროგრამის დასკვნითი ნაწილია „საგალობელი“ – იური პოსოხოვის ბალეტი, რომელიც ქართულ ხალხურ მუსიკასა და ტრადიციებს გადმოსცემს. „სპარტაკის“ სტილის კოსტიუმებში გამოწყობილი მამაკაცები დაკუნთულნი და ამაყნი არიან, ქალები კი – გედების მსგავსნი და მგრძნობიარენი. სამწუხაროდ, ანსამბლმა „ჩანგი“ (რომლის სახელიც მუსიკალური ინსტრუმენტიდან მოდის) და “Duo Concertant”– ის მუსიკოსებმა საქართველოში წარმოქმნილი სიტუაციის გამო ედინბურგში ჩამოსვლა ვერ მოახერხეს, თუმცა დასმა ფესტივალზე სიმამაცით სავსე წარმოდგენა აჩვენა, იმ დროს, როდესაც ყოველდღიური გაზეთები მათ სამშობლოში მიმდინარე კონფლიქტზე წერდნენ.

## EDINBURGH FESTIVAL: STATE BALLET OF GEORGIA

The closing piece is *Sagalobeli*, another new ballet, this time by Yuri Possokhov, which celebrates Georgian folk music and tradition. In their Spartacus-style costumes, the men are muscular and proud. The women, at their united best, are swan-like and sensual. Sadly the Changi ensemble – named after the harp at the heart of the music – and the *Duo Concertant* musicians were unable to travel to Edinburgh because of the situation in Georgia. But this company has danced bravely at the festival despite the daily headlines describing conflict at home.»

Arabesque
BALLET MAGAZINE არაბესკი ჟურნალი ბალეტზე
N1, 2008

*ქორეოგრაფი*
*Choreographer*

„ბალეტის დადგმას ვიდრე დავიწყებდი, კარგად გავეცანი საქართველოს ისტორიას. შეიძლება ითქვას, მის სიღრმეებშიც წავედი. უამრავი ქართული ტაძარი მოვინახულე. ყველგან შესანიშნავად გალობენ, რაც შთაგონების წყაროდ იქცა ჩემთვის. ძველი ტაძრები ძალიან მხიბლავს. ახალ ნაგებობებს სკეპტიკურად ვუყურებ, მაგრამ სამების ტაძარმა გამაოცა მისი სიდიადით. მიყვარს სიონი, ქაშვეთი. ჩემთვის ქართული მუსიკა ძირითადი საფუძველი იყო და იგი სწორედ იმ გრძნობებიდან გამოვიდა, რომელიც მე, რუს ადამიანს გამიჩნდა. ასეთ გრძნობებსა და ემოციებზე დავდგი ეს ბალეტი.

მაყურებელი არ უნდა მოელოდეს, რომ „საგალობელში“ იქნება ქართული მოძრაობები. ვერც ერთ ასეთ მოძრაობას აქ ვერ ნახავთ. ეს არის თანამედროვე, კლასიკური ბალეტი. საინტერესოდ ვიმუშავეთ მსახიობებთან. მართალია, დაიღალნენ, მაგრამ მგონი კმაყოფილნი დარჩნენ. მეც კმაყოფილი ვარ მათთან მუშაობით. ჩემთვისაც ექსპერიმენტი იყო. ხალხურ, ნაციონალურ მუსიკაზე არასოდეს დამიდგამს. საერთოდაც, ნაკლებად იდგმება ასეთ მუსიკაზე. ესპანეთში რამდენიმე ქორეოგრაფს ჰქონდა ამის მცდელობა, მაგრამ იქ გოგონები პუანტებზე არ ცეკვავდნენ, რასაც ჩემს ბალეტში ნახავს მაყურებელი“.

“Before staging the ballet I studied the history of Georgia. You might even say I delved into its depths. I visited numerous churches. At each of them you can hear wonderful choir singing, which became my inspiration. I like old monasteries. While I am skeptical about new structures, the Holy Trinity Cathedral impressed with its grandeur. I love the Sioni and Kashveti monasteries. The Georgian music was the basis and it resulted from the feelings that I, a Russian, experienced. These were the feelings and emotions I staged the ballet on.

The audience should not expect Georgian folk dance movements in *Sagalobeli*. There will not be a single such movement. This is a contemporary, classical ballet. I had an interesting work with the artists. They were tired but I think they were happy. I was glad to work with them, too. It was an experiment for me as well. I had never staged on national music. And you do not see many productions on this music in general. There were attempts to do this in Spain, but the girls did not perform on pointe there, while you will see this in my ballet.


იური პოსოხოვი
YURI POSSOKHOV



THE SCOTSMAN
13.08.2008

კელი ეფთერი
BY KELLY APTER

★★★★★

## ედინბურგის ფესტივალი: ქართული სახელმწიფო დასი – ერთმოქმედებიანი ბალეტები

საღამო იური პოსოხოვის „საგალობელით“ დასრულდა, რომელიც ქართულ ფოლკლორულ მუსიკაზეა დადგმული. იმის მიუხედავად, რომ მუსიკალური ანსამბლი „ჩანგის“ (მათაც ვერ მოახერხეს თბილისიდან ჩამოფრენა) ცოცხალი შესრულება დაგვაკლდა, ნაშრომმა ქართული კულტურის არსი ნათლად გადმოსცა, კლასიკური ბალეტის ჩარჩოებში დარჩენასთან ერთად. ანანიაშვილისა და მისი დასის ფესტივალზე გამოსვლით მათ სამშობლოს შეუძლია იამაყოს.

## EDINBURGH FESTIVAL: STATE BALLET OF GEORGIA – MIXED BILL

The night closed with Yuri Possokhov's uplifting *Sagalobeli*, set to Georgian folk songs. And although we missed the presence of the musical group Changi (also unable to fly out), the piece perfectly captured the essence of Georgian culture, while staying within the framework of classical ballet. On their debut at the Festival, Ananiashvili and her company have more than done their country proud.



◄ ნინო გოგუა, ვასილ ახმეტელი
NINO GOGUA, VASIL AKHMETELI

► მორის მეხია, გიორგი ბერიძე
MORIS MESKHIA, GIORGI BERIDZE

▼ მაია დოლიძე, გვანცა გავაშელიშვილი, ანა მურადელი, ნათია ბუნტური, ლანა მღებრიშვილი
MAYA DOLIDZE, GVANTSA GAVASHELISHVILI, ANA MURADELI, NATIA BUNTURI, LANA MGHEBRISHVILI



**San Francisco Chronicle** 16.02.2008

რეიჩელ ჰოვარდი
RACHEL HOWARD

## ვარსკვლავმა ბალერინამ ააღორძინა ქართული სახელმწიფო დასი

პოსოხოვის „საგალობელი“, რომელიც ქართული ხალხური მუსიკის ჩანაწერზე შესრულდა, უფრო საინტერესოა ალბათ ერთიანი დრამატული ეფექტის მხრივ. ბალეტი ძალიან პლასტიკურია ქალი მსახიობების ფეხის ლამაზი, მოქნილი მოძრაობებით, მამაკაცების ენერგიული ნახტომებითა და ერთმანეთთან კარგად შერწყმული ქალისა და მამაკაცის პარტიებით. ეს ბალეტი კარგად წარმოაჩენს მოცეკვავეების მგრძნობელობას და ეჭვგარეშეა, რომ ისინი ამ პარტიებს უფრო დახვეწენ ამერიკული საგასტროლო  ტურნეს განმავლობაში.



## STAR BALLERINA REBUILDS STATE BALLET OF GEORGIA

Possokhov's *Sagalobeli*, to taped Georgian folk music, was more interesting in vocabulary if not in cumulative dramatic effect. There were snaking torsos and beautiful flexed-foot treads for the women, and muscle-pumping jumps and squats for the men, all married to fluid partnering. *Sagalobeli* taps these dancers' slinky sensuality and hardy strength beautifully. No doubt they will keep growing into it during this seven-city U.S. tour.

ფრედერიკ ეშტონის ქორეოგრაფიის საღამო

FREDERICK ASHTON CHOREOGRAPHY EVENING

# დღესასწაული

# BIRTHDAY OFFERING

ერთმოქმედებიანი ბალეტი

BALLET IN ONE ACT

მუსიკა ალექსანდრე გლაზუნოვისა
დადგმა – ქრისტოფერ კარი
კოსტიუმების მხატვარი – ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი – ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი – დავით მუქერია

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ლალი კანდელაკი, ლაშა ხოზაშვილი**

პრემიერა გაიმართა 2008 წლის 9 მაისს

Music – ALEXANDER GLAZUNOV
Staging– CHRISTOPHER CARR
Costume Designer – NATIA SIRBILADZE
Lighting Designer – AMIRAN ANANELI
Staging Conductor – DAVID MUKERIA

**Principal roles in the premiere performance danced by**
**LALI KANDELAKI, LASHA KHOZASHVILI**

TBILISI PREMIERE ON MAY 9, 2008



ლანა მღებრიშვილი, დავით ანანელი, ნინო ოჩიაური, გიორგი ბერიძე, ლალი კანდელაკი, ლაშა ხოზაშვილი, ნინო გოგუა, ირაკლი ბახტაძე, ანა მურადელი, დიმიტრი ბართოში
LANA MGHEBRISHVILI, DAVID ANANELI, NINO OCHIAURI, GIORGI BERIDZE, LALI KANDELAKI, LASHA KHOZASHVILI, NINO GOGUA, IRAKLI BAKHTADZE, ANA MURADELI, DIMITRI BARTOSH

ჟიულ მასნე

# ტაისი პა დე დე

JULES MASSENET

# THAIS PAS DE DEUX



დადგმა – გრანტ კოილი
კოსტიუმების მხატვარი – ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი – ამირან ანანელი
დამდგმელი დირიჟორი – დავით მუქერია

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ნინო გოგუა, ლაშა ხოზაშვილი**

Staging – GRANT COYLE
Costume Designer – NATIA SIRBILADZE
Lighting Designer – AMIRAN ANANELI
Staging Conductor – DAVID MUKERIA

**Principal roles in the premiere performance danced by NINO GOGUA, LASHA KHOZASHVILI**

პრემიერა გაიმართა 2008 წლის 9 მაისს
TBILISI PREMIERE ON MAY 9, 2008

ნინო გოგუა, დავით ანანელი
NINO GOGUA, DAVID ANANELI

იოჰან შტრაუსი II

# გაზაფხულის ხმები (პა დე დე)

JOHANN STRAUSS II

# VOICES OF SPRING (PAS DE DEUX)

დადგმა –
    გრანტ კოილი
კოსტიუმების მხატვარი –
    ნათია სირბილაძე
დამდგმელი დირიჟორი –
    დავით მუქერია

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
    **ცისია ჩოლოყაშვილი,**
    **დავით ხოზაშვილი**

Staging –
    GRANT COYLE
Costume Designer –
    NATIA SIRBILADZE
Staging Conductor –
    DAVID MUKERIA

**Principal roles in the premiere performance danced by**
    **TSISIA CHOLOKASHVILI,**
    **DAVID KHOZASHVILI**

პრემიერა გაიმართა 2008 წლის 9 მაისს
TBILISI PREMIERE ON MAY 9, 2008



ცისია ჩოლოყაშვილი, დავით ხოზაშვილი
TSISIA CHOLOKASHVILI, DAVID KHOZASHVILI



ლეო დელიბი LEO DELIBES

# სილვია (პა დე დე) SYLVIA (PAS DE DEUX)

დადგმა – გრანტ კოილი
კოსტიუმების მხატვარი – ნათია სირბილაძე
დამდგმელი დირიჟორი – დავით მუქერია

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ანა მურადელი, ირაკლი ბახტაძე**

Staging – GRANT COYLE
Costume Designer – NATIA SIRBILADZE
Staging Conductor – DAVID MUKERIA

Principal roles in the premiere performance danced by ANA MURADELI, IRAKLI BAKHTADZE

პრემიერა გაიმართა 2008 წლის 9 მაისს
TBILISI PREMIERE ON MAY 9, 2008

ანა მურადელი, ოთარ ხელაშვილი
ANA MURADELI, OTAR KHELASHVILI

# კატა
# LA CHATTE

მუსიკა – ჟ. ოფენბახი, "La chatte métamorphosée en femme", 1858

ფილიპ გამონის გაორკესტრება

დადგმა –
გრანტ კოილი
კოსტიუმების მხატვარი –
ნათია სირბილაძე
დამდგმელი დირიჟორი –
დავით მუქერია
**პრემიერაში მონაწილეობდა:**
**ნინო ოჩიაური**

Music – JACQUES OFFENBACH from *La chatte métamorphosée en femme*, 1858

Orchestration by PHILIP GAMMON

Staging –
GRANT COYLE
Costume Designer –
NATIA SIRBILADZE
Staging Conductor –
DAVID MUKERIA
**Principal roles in the premiere performance danced by NINO OCHIAURI**

პრემიერა გაიმართა 2008 წლის 9 მაისს
TBILISI PREMIERE ON MAY 9, 2008



ნინო ოჩიაური
NINO OCHIAURI

# მარგარიტა და არმანი ბალეტი ერთ მოქმედებად

# MARGUERITE AND ARMAND

BALLET IN ONE ACT

მუსიკა – ფერენც ლისტი, საფორტეპიანო სონატა სი მინორი, დადლი სიმპსონის გაორკესტრება
დადგმა – გრანტ კოილე
დეკორაციების მხატვარი – დავით მონავარდისაშვილი
კოსტიუმების მხატვარი – ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი – ამირან ანანელი
ფორტეპიანო – თინათინ კიკნაძე (პრემიერა), თამარ მაჭავარიანი
დირიჟორი – დავით მუქერია

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი

მსოფლიო პრემიერა გაიმართა 1963 წლის 12 მარტს ინგლისის სამეფო ოპერის თეატრში

პრემიერა თბილისში გაიმართა 2008 წლის 9 მაისს

Music – FRANZ LISZT, Sonata in h-Moll, orchestion by DUDLEY SIMPSON
Staging – GRANT COYLE
Staging Designer – DAVID MONAVARDISASHVILI
Costume Designer – NATIA SIRBILADZE
Lighting Designer – AMIRAN ANANELI
Piano – TINATIN KIKNADZE (premiere), TAMAR MATCHAVARIANI
Conductor – DAVID MUKERIA

Principal roles in the premiere performance danced by
NINA ANANIASHVILI, VASIL AKHMETELI

WORLD PREMIERE ON MARCH 12, 1963 AT THE ROYAL OPERA HOUSE

TBILISI PREMIERE ON MAY 9, 2008



ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი
NINA ANANIASHVILI, VASIL AKHMETELI



MAGAZINE DANCE

თავდაპირველად გამოქვეყნებულია Shinshokan-ში
First published in *Shinshokan*

N10, 2012

ჰიროში იოშიდა
HIROSHI YOSHIDA

## სიყვარული ბალეტის, საქართველოს და იაპონიის მიმართ

ნინო მარგარიტას როლის შესრულებისთვის დაბადებულს ჰგავდა. მან აჩვენა ის, რაც ამ როლის არც ერთი სხვა შემსრულებლისგან არ მინახავს – მოძრავი, ემოციური, ნამდვილი სიყვარულის დემონსტრაცია. მისი პარტნიორი ახმეტელი თანამონაწილეობას დელიკატური ქმედებით აჩვენებდა და მარგარიტას მიმართ აღტაცებას ისე გადმოსცემდა, თითქოს მოკრძალებას და ზრუნვას უმშვენიერესი, ახლად გაშლილი ყვავილის მიმართ გამოხატავდა. არმანის გულწრფელი სიყვარული მარგარიტას მიმართ კარგად ეწყობოდა ახმეტელის ფაქიზ სასცენო ხასიათს.

## LOVE FOR BALLET, GEORGIA, AND JAPAN

Nina seemed born to dance Marguerite. She gave the impression of surging, turbulent love – a manifestation of pure love, which I have never seen in any other performer in this role. Her partner, Akhmeteli, showed commitment in his delicate interaction and support and exuded his every admiration for Marguerite throughout the duet as if he were kneeling and venerating this gorgeous flower in full bloom, and then he gently caressed her. Armand's sincere love for Marguerite fit in with Akhmeteli's neat stage manner.



## ენტონი რასელ-რობერტსი
## ANTHONY RUSSELL-ROBERTS

Arabesque
BALLET MAGAZINE
N1, 2011

*ინგლისის სამეფო ბალეტის ადმინისტრაციული დირექტორი 1983-2009*
*Administrative Director, The Royal Ballet 1983-2009*

« ვფიქრობ, რომ საქართველოს საბალეტო დასი გამორჩეული და დიდი ენერგიის მქონე კოლექტივია. საქართველოს სამჯერ ვესტუმრე და მეტად შთამბეჭდავია იმ წინსვლის ხილვა, რომელსაც დასმა და მისმა მოცეკვავეებმა მიაღწიეს. დიდი დასის შენებას ყოველთვის დრო სჭირდება და ამ მხრივ ნინო ანანიაშვილმა ძალიან დიდი სამუშაო გასწია. ის ყველას უყვარს მსოფლიოს გარშემო, ამან კი საინტერესო რეპერტუარის მიღების საშუალება მისცა, რაც ყოველთვის მნიშვნელოვანია მოცეკვავეთა განვითარებისათვის. დასის მონდომება და შრომა სცენაზე ჩანს, ეს კი – ტალანტთან ერთად – ისაა, რაც ნებისმიერ მიზანს მიგაღწევინებთ.

I think State Ballet of Georgia is an extraordinary company with wonderful spirit. I have been here three times and to see the way the company is developing, and some of the younger artists become stars, is quite remarkable. It always takes time to build a big company and I cannot speak highly enough of what Nina Ananiashvili has achieved. She is so much loved around the world that she has been able to bring in good and interesting repertory, which always helps for developing dancers with new challenges and styles. And you already see on stage that this is a very happy company that works hard. And hard work – with talent – is what gets you everywhere. »




საბალეტო დასის მოცეკვავეები ჩინეთში „მარგარიტა და არმანის" შემდეგ. ცენტრში: სილვია გიილემი, რობერტო ბოლე. 20013
COMPANY DANCERS FOLLOWING A *MARGUERITE AND ARMAND* PERFORMANCE IN CHINA WITH SYLVIE GUILLEM AND ROBERTO BOLLE (CENTRE). 20013



ირჟი კილიანის ქორეოგრაფია
CHOREOGRAPHY BY JIRÍ KYLIÁN

მუსიკა – ჯონ კეიჯი, ანტონ ვებერნი
დადგმა – ნენსი ეუვერინკი,
კენ ოსოლა
დეკორაციებისა და განათების მხატვარი
– მაიკლ საიმონი
კოსტიუმების მხატვარი –
ჯოუკ ვისერი

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ლალი კანდელაკი,**
**ვასილ ახმეტელი, ანა მურადელი,**
**ირაკლი ბახტაძე, ნინო გოგუა,**
**ლაშა ხოზაშვილი,**
**ცისია ჩოლოყაშვილი,**
**დავით ხოზაშვილი**

Music – JOHN CAGE, ANTON WEBERN
Staging – NANCY EUVERINK,
KEN OSSOLA
Set and Lighting Designer –
MICHAEL SIMON
Costume Designer –
JOKE VISSER

Principal roles in the premiere performance danced by
LALI KANDELAKI, VASIL AKHMETELI, ANA MURADELI, IRAKLI BAKHTADZE, NINO GOGUA, LASHA KHOZASHVILI, TSISIA CHOLOKASHVILI, DAVID KHOZASHVILI

პრემიერა გაიმართა
2008 წლის 18 ოქტომბერს

TBILISI PREMIERE ON OCTOBER 18, 2008

# STEPPING STONES



დავით ხოზაშვილი, ლალი კანდელაკი, ვასილ ახმეტელი
DAVID KHOZASHVILI, LALI KANDELAKI, VASIL AKHMETELI





Arabesque
BALLET MAGAZINE არაბესკი ჟურნალი ბალეტზე
N3, 2008

## ძვირფასო ნინო, ნენსი, პატრიკ, ქეის და ყველა მონაწილევ,

ეს თქვენთვის მეტად განსაკუთრებული საღამოა. თქვენ ჩემს ორ ნაშრომს იცეკვებთ, რომლებსაც ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ და ვიცი, რომ მათ მაქსიმალური თავდაჯერებულობითა და თვითრწმენით შეასრულებთ. ერთადერთი, რასაც ვნანობ, არის ის, რომ ამ დროს თქვენთან ერთად ვერ ვიქნები. დიდი ხანია თქვენი ქვეყანა და კულტურა მიყვარს და ყოველთვის მსურდა ჩამოსვლა. თუმცა ახლა მხოლოდ ის შემიძლია, თქვენი შესრულება წარმოვიდგინო და გისურვოთ, რომ ჩემი ნაშრომების ცეკვით სიამოვნება მიიღოთ. ფიქრებში, სულიერად თქვენთან ვარ. ვიცი, რომ ეს თქვენთვის სასიამოვნო გამოცდილება იქნება.

**სიყვარულითა და საუკეთესო სურვილებით,**
**ირჟი კილიანი**

## DEAR NINA, NANCY, PATRICK, KEES AND ALL DANCERS,

Tonight will be a very special day for you. You will dance two works of mine, which are very special to me. And I know that you will dance it with all the belief and conviction possible. My only great regret is that I will not be able to be there. Since years I have loved your country and your culture. In fact it was always my wish to visit Georgia sometime in my life. But for now I can only think of you all, and wish you to have a wonderful time dancing my work. In my thoughts and in my soul I will be with you. I know that you will enjoy this experience.

Much love and all my best wishes
to you – all Yours, JIRÍ KYLIÁN

დავით ანანელი
DAVID ANANELI

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი

# SECHS TÄNZE

WOLFGANG AMADEUS MOZART

ირჟი კილიანის ქორეოგრაფია
CHOREOGRAPHY BY JIRÍ KYLIÁN

დადგმა – პატრიკ დელკრუა
სცენა და კოსტიუმები – ირჟი კილიანი
განათება – იოპ კაბოორტი
დირიჟორი – დავით მუქერია
სცენისა და განათების ადაპტაცია – ქეის თიებესი, ამირან ანანელი
კოსტიუმების მხატვარ-შემსრულებელი – ნათია სირბილაძე

Music – WOLFGANG AMADEUS MOZART, Sechs Deutsche Tänze, KV 571
Staging – PATRICK DELCROIX
Scenery and costumes – JIRÍ KYLIÁN
Lighting – JOOP CABOORT

პრემიერა გაიმართა 2008 წლის 18 ოქტომბერს
TBILISI PREMIERE ON OCTOBER 18, 2008






პრემიერა PREMIERE
სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK
ირჟი კილიანის
ბალეტები
Jiří Kylián's
BALLETS
STEPPING STONES
SECHS TÄNZE
18.10.2008 19.00
19.10.2008 15.00
21.10.2008 19.00



# ციმბირიდან მოსკოვამდე
# FROM SIBERIA TO MOSCOW

ავგუსტ ბურნონვილის ბალეტი ორ მოქმედებად
BALLET IN TWO ACTS BY AUGUST BOURNONVILLE

მ ს ო ფ ლ ი ო პ რ ე მ ი ე რ ა
W O R L D P R E M I E R E

იდეისა და ჩანაფიქრის ავტორი – ფრენკ ანდერსენი
მუსიკა – კარლ ქრისტიან მიოლერი, პ. ჩაიკოვსკი საზეიმო უვერტიურა (დანიის ეროვნულ ჰიმნზე) თხზ. 15, ლეკური ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“, ზურაბ ნადარეიშვილის გაორკესტრება
აღდგენილია ფრენკ ანდერსენის, დინა ბიორნის, ან მარი ვესელ შლიუტერის და ევა კლობორგის მიერ
დამდგმელი ქორეოგრაფების ასისტენტი – ეკა შავლიაშვილი
დამდგმელი მხატვარი – დავით მონავარდისაშვილი
კოსტიუმების მხატვარი – ალექსანდრე ვასილიევი
კოსტიუმების მხატვარ-შემსრულებელი – ნათია სირბილაძე
განათების მხატვარი – ჯონ ბ. რიდი
მუსიკალური კონსულტანტი – ოლე ნიორლინგი
დრამატურგიული დახმარება – ქრისტიან კრონმანი
დამდგმელი დირიჟორი – დავით მუქერია

**პრემიერაში მონაწილეობდნენ: ნინო გოგუა, ვასილ ახმეტელი, დავით ანანიაშვილი**

Idea by FRANK ANDERSEN
Music by Carl Christian Moeller, Pyotr Tchaikovsky Triumphal Overture (On the Danish National Anthem) Op.15, *Lekuri* by Zakaria Paliashvili from the opera *Daisi*, orchestrated by Zurab Nadareishvili
Reconstructed by ANNE MARIE VESSEL SCHLUETER, DINNA BJOERN and EVA KLOBORG
Assistant to the Staging Choreographers – EKA SHAVLIASHVILI
Staging Designer – DAVID MONAVARDISASHVILI
Costume Designer – ALEXANDRE VASSILIEV
Costume designs executed by NATIA SIRBILADZE
Lighting Designer – JOHN B. READ
Musical Consultant – OLE NOERLYNG
Dramaturgical assistance by CHRISTIAN KRONMAN
Staging Conductor – DAVID MUKERIA

**Principal roles in the premiere performance danced by NINO GOGUA, VASIL AKHMETELI, DAVID ANANIASHVILI**

ბალეტის პრემიერა შედგა დანიის სამეფო თეატრში, კოპენჰაგენში 1876 წლის 7 დეკემბერი
მსოფლიო პრემიერა გაიმართა თბილისში 2009 წლის 22 ოქტომბერს

PREMIERED AT THE ROYAL THEATRE OF DENMARK ON DECEMBER 7, 1876
TBILISI WORLD PREMIERE ON OCTOBER 22, 2009



ცენტრში – ნინო გოგუა, ვასილ ახმეტელი
CENTRE: NINO GOGUA, VASIL AKHMETELI

უენდი პერონი
WENDY PERRON

## „ციმბირიდან მოსკოვამდე“ – საქართველოს სახელმწიფო ბალეტი

შესაძლოა ზოგიერთს გაუჩნდეს კითხვა, რამდენად შეესაბამება გადასახლების ეს ისტორია ბურნონვილის ბალეტების ჩვეულ ჰარმონიულ ხასიათს, თუმცა ბალეტის სიუჟეტი სწრაფად ვითარდებოდა და ძალიან მიმზიდველი იყო. საბალეტო დასმა, რომელიც შემოქმედების სხვა ეტაპზე გადავიდა, მას შემდეგ რაც 2004 წელს მას სათავეში ჩაუდგა ნინო ანანიაშვილი, ლამაზად იცეკვა.

## *FROM SIBERIA TO MOSCOW* – STATE BALLET OF GEORGIA

One might question whether the trademark Bournonville harmony is right for a work about exile. But the ballet moved quickly, was attractive, and was danced beautifully by this newly invigorated company, under Ananiashvili's direction since 2004.



ოთარ ხელაშვილი
OTAR KHELASHVILI

# Ballet

N204, 2009

ერიკ აშენგრინი
ERIK ASCHENGREEN



ფრენკ ანდერსენი
FRANK ANDERSEN

## დანიიდან საქართველომდე, ახალი ძველი ბურნონვილი

ბურნონვილის დავიწყებული ბალეტის გაცოცხლება იმდენადვე დამაინტრიგებელია, რამდენადაც იშვიათი. ამჯერად ეს თბილისში, საქართველოში მოხდა, სადაც ფრენკ ანდერსენმა, დინა ბიორნმა, ევა კლობორგმა და ან მარი ვესელ შლიუტერმა (დანიის სამეფო საბალეტო დასიდან) ბურნონვილის უკანასკნელი ბალეტი „ციმბირიდან მოსკოვამდე“ დადგეს. ეს ძალიან სასიამოვნო შემთხვევაა.

წამყვანი წყვილის პარტიები მშვენივრად იცეკვეს ნინო გოგუამ და ვასილ ახმეტელმა, თუმცა ნამდვილი სიურპრიზი მესამე საპრემიერო სპექტაკლში შედგა, სადაც ძალიან ახალგაზრდა და მშვენიერმა ანა ალბუთაშვილმა მისი პირველი მნიშვნელოვანი დებიუტი მთავარ პარტიაში სებასტიან კლობორგთან, დანიის სამეფო საბალეტო დასის სოლისტთან ერთად იცეკვა. მათ ამ წყვილს ამაღელვებელი უმანკოება შესძინეს.




## FROM DANEMARK TO GEORGIA, A NEW OLD BOURNONVILLE

A revival of a forgotten Bournonville ballet is as exciting as it is rare. This time it happened in Tbilisi in Georgia, where Frank Andersen, Dinna Bjoern, Eva Kloborg and Anne Marie Vessel Schlueter (from The Royal Danish Ballet) staged Bournonville's last ballet *From Siberia to Moscow*. It was a very happy experience.

The main couple was beautifully danced by Nino Gogua and Vasil Akhmeteli / Irakli Bakhtadze, but the great surprise came at the third performance, where the lovely and very young Ana Albutasvhili danced her first great ballerina role with Sebastian Kloborg, who is a solist with The Royal Danish Ballet. They gave the main couple a touching innocence.

# FALLING ANGELS

ირჟი კილიანის ქორეოგრაფია

კომპოზიტორი – სტივ რიქი, Drumming/ ნაწილი I (1970/71)
დადგმა – ნენსი ეუვერინკი, ბრიჯიტ მარტინი
კოსტიუმების მხატვარი – ჯოუკ ვისერი
განათების მხატვარი – იოოპ კაბოორტი
განათების ადაპტაცია – კეეს თიებესი

პრემიერა 23 ნოემბერი 1989, ცეკვის თეატრი AT&T, დენ ჰააგი
პრემიერა თბილისში გაიმართა 2009 წლის 20 ნოემბერს

CHOREOGRAPHY BY JIRÍ KYLIÁN

Music by STEVE REICH, Drumming / part I (1970/71)
Staging – NANCY EUVERINK, BRIGITTE MARTIN
Costume Designer – JOKE VISSER
Lighting Designer – JOOP CABOORT
Lighting adaptation by KEES TJEBBES

PREMIERED ON NOVEMBER 23, 1989 AT AT&T DANSTHEATER, DEN HAAG
TBILISI PREMIERE ON NOVEMBER 20, 2009






ირჟი კილიანის
ბალეტები
Jiří Kylián's
BALLETS
STEPPING STONES
FALLING ANGELS
SECHS TÄNZE



ნ. რიმსკი-კორსაკოვი

# შეჰერაზადე

# SHEHERAZADE

NIKOLAI RIMSKY-KORSAKOV

ბალეტი ერთ მოქმედებად
BALLET IN ONE ACT

მიხეილ ფოკინის ქორეოგრაფია
CHOREOGRAPHY BY MICHEL FOKINE

ლეონ ბაქსტისა და მიხეილ ფოკინის სცენარი „არაბული ღამეების“ ზღაპრების მიხედვით
რეკონსტრუქცია – იზაბელ ფოკინი, ანდრის ლიეპა
დეკორაციები და კოსტიუმები – ანა ნეჟნაია, ანატოლი ნეჟნი, ლეონ ბაქსტის ჩანახატების მიხედვით

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ირმა ნიორაძე, ფარუხ რუზიმატოვი**

Scenario by LEON BAKST and MICHEL FOKINE after *Arabian Nights* fairytales
Reconstructed by ISABELLE FOKINE, ANDRIS LIEPA
Set and costume design by ANNA NEZHNAYA, ANATOLY NEZHNY after original sketches by LEON BAKST

**Principal roles in the premiere performance danced by**
**IRMA NIORADZE, FARUKH RUZIMATOV**

მსოფლიო პრემიერა შედგა 1910 წლის 4 ივნისს, პარიზის ოპერის თეატრში

თბილისში პრემიერა შედგა 2010 წლის 25 მაისს, რუსთაველის თეატრში, ფესტივალ „ქართული სულის“ ფარგლებში

WORLD PREMIERE – JUNE 4, 1910 AT THÉÂTRE DE L´OPÉRA, PARIS

PREMIERED IN TBILISI ON MAY 26 2010, AT RUSTAVELI THEATRE, IN THE FRAME OF THE INTERNATIONAL "GEORGIAN SPIRIT" FESTIVAL PROGRAM



ირმა ნიორაძე, ფარუხ რუზიმატოვი
IRMA NIORADZE, FARUKH RUZIMATOV

## ირმა ნიორაძე
## IRMA NIORADZE

*პრიმა-ბალერინა, სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრი*
*Prima ballerina, Mariinsky Theatre of St. Petersburg*

საქართველოს სახელმწიფო ბალეტში ნინო ანანიაშვილმა დიდი სამუშაო შეასრულა და ამისთვის მას ყველამ მადლობა უნდა გადავუხადოთ. ამ სამუშაოს შედეგები შეგვიძლია დღესდღეობით ვიხილოთ დასის შესრულებაში.

Nina Ananiashvili has done an amazing job at the State Ballet of Georgia, the one we should all thank her for. The results of her direction can be seen today at the company.

ნინო გოგუა, ვასილ ახმეტელი
NINO GOGUA, VASIL AKHMETELI





ირმა ნიორაძე
IRMA NIORADZE



პ. ჩაიკოვსკი

# მაკნატუნა

PYOTR TCHAIKOVSKY

# THE NUTCRACKER

დამდგმელი ქორეოგრაფი – ალექსეი ფადეეჩევი
თოჯინების ცეკვების დამდგმელი – გია მარღანია
დეკორაციებისა და კოსტიუმების მხატვარი – სოლიკო ვირსალაძე
მხატვარ-შემსრულებელი – იური გეგეშიძე
დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტი – ეკა შავლიაშვილი

**პრემიერაში მონაწილეობდნენ: ანა ალბუთაშვილი, გიორგი მშვენიერაძე, ლალი კანდელაკი, ვასილ ახმეტელი**

პრემიერა შედგა თბილისი არტ ჰოლში 2010 წლის 25 დეკემბერს

Staging Choreographer – ALEXEY FADEECHEV
The Doll Dance staging – GIA MARGHANIA
Designer – SOLIKO VIRSALADZE
Designer – YURI GEGESHIDZE
Assistant to the Staging Choreographer – EKA SHAVLIASHVILI

**Principal roles in the premiere performance danced by ANA ALBUTASHVILI, GIORGI MSHVENIERADZE, LALI KANDELAKI, VASIL AKHMETELI**

TBILISI PREMIERE ON DECEMBER 25, 2010 AT TBILISI ART HALL





◀ ნუცა ჩეკურაშვილი, გიორგი მშვენიერაძე
NUTSA CHEKURASHVILI, GIORGI MSHVENIERADZE

▲ რუსუდან კვიციანი, ფილიპე ფედულოვი, ნინო მახაშვილი, სერხიო ნავარო, ლანა მღებრიშვილი, უილიამ პრატი, ლანა კიკნაძე, კარინ ვაშიო
RUSUDAN KVITSIANI, PHILIP FEDULOV, NINO MAKHASHVILI, SERGIO NAVARRO, LANA MGHEBRISHVILI, WILLIAM PRATT, LANA KIKNADZE, KARIN WASHIO

▶ ეკა სურმავა, დავით ანანელი
EKA SURMAVA, DAVID ANANELI



რიჰარდ შტრაუსი

# მანიერიზმის მშვენიერებანი
# CHARMS OF MANNERISM

RICHARD STRAUSS

ბალეტი ერთ მოქმედებად
BALLET IN ONE ACT

ალექსეი რატმანსკის ქორეოგრაფია
CHOREOGRAPHY BY ALEXEI RATMANSKY

მუსიკა – ფ. კუპერინის პიესები კლავესინისათვის
(ვ. გრიშინის გაორკესტრება)
დადგმა – ალექსეი ფადეეჩევი
კოსტიუმების მხატვარი – მიხეილ მახარაძე

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ნინო ანანიაშვილი, ლალი კანდელაკი,**
**ვასილ ახმეტელი, უილიამ პრატი**

Music – FRANÇOIS COUPERIN, Pièces de Clavecin
(Orchestrated by V. GRISHIN)
Staging – ALEXEY FADEECHEV
Costume Designer – MIKHEIL MAKHARADZE

Principal roles in the premiere performance danced by
NINA ANANIASHVILI, LALI KANDELAKI, VASIL AKHMETELI,
WILLIAM PRATT

პრემიერა თბილისი არტ ჰოლში 2011 წლის 5 თებერვალს
TBILISI PREMIERE AT TBILISI ART HALL ON FEBRUARY 5, 2011





ნინო ანანიაშვილი, უილიამ პრატი,
ვასილ ახმეტელი, ლალი კანდელაკი
NINA ANANIASHVILI, WILLIAM PRATT, VASIL AKHMETELI,
LALI KANDELAKI



ლალი კანდელაკი, ნინო ანანიაშვილი
LALI KANDELAKI, NINA ANANIASHVILI

The Washington Post 07.11.2011

სარა კაუფმანი
SARAH KAUFMAN

## საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა ლისნერის სახელობის აუდიტორია მოაჯადოვა

„მანიერიზმის მშვენიერებანი“, რომელიც რატმანსკიმ 1997 წელს ანანიაშვილის რჩევით დადგა და მის ერთ-ერთ პირველ ბალეტს წარმოადგენს, იუმორისტულია, მეტწილად კლასიკური, ღია და მცირე მასშტაბის, ხალხური ცეკვის დეტალებით. ამ ბალეტმა „ამაო სიფრთხილის“ მსგავსი რომანტიკული ფრანგული ნაშრომების მოგონებები გააღვიძა. მასში არც ერთი არაფრისმთქმელი მომენტი არ ყოფილა: კუპერინის მუსიკის შესაბამისად, აქცენტი მოკეკლუცე მომხიბვლელობაზე იყო გაკეთებული. დაბნეული ახალგაზრდების ჯგუფი ცდილობს უფრო ჭკვიანური იერი მიიღოს, მაგრამ მათი კეთილი ზნე ყოველგვარ ბოროტებას გადაფარავს.

## STATE BALLET OF GEORGIA ENCHANTS AT LISNER AUDITORIUM

*Charms of Mannerisms*, which Ratmansky created in 1997 at Ananiashvili's urging and is one of his first ballets, is in a similarly jocular vein. More classical, in a clear, open and small-scale style, with touches of folk dance, it recalled romantic French works such as *La Fille Mal Gardée*. There was not a moment of empty showmanship in it: In keeping with the score by Couperin, the emphasis was on flirtatious charm, as a group of bumbling innocents tripped over their attempts at sophistication but their good natures smoothed over all ills.

ნინო ანანიაშვილი, უილიამ პრატი, ლალი კანდელაკი
NINA ANANIASHVILI, WILLIAM PRATT, LALI KANDELAKI

# შოპენიანა
# CHOPINIANA

ერთმოქმედებიანი ბალეტი
BALLET IN ONE ACT

ნინო ანანიაშვილის დადგმა
STAGING BY NINA ANANIASHVILI

მუსიკა – ფრედერიკ შოპენის ნაწარმოებები
ბალეტმაისტერის ასისტენტი – ეკა შავლიაშვილი

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ნინო ანანიაშვილი, ლალი კანდელაკი, ოთარ ხელაშვილი**

Music – Works by FRÉDÉRIC CHOPIN
Assitant to the Ballet Master – EKA SHAVLIASHVILI

**Principal roles in the premiere performance danced by**
**NINA ANANIASHVILI, LALI KANDELAKI, OTAR KHELASHVILI**

პრემიერა შედგა ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრში 2011 წლის 22 სექტემბერს
TBILISI PREMIERE ON SEPTEMBER 22, 2011 AT ALEXANDER GRIBOEDOV RUSSIAN STATE DRAMA THEATRE








# უფრთოდ ფრენა წყვდიადში

# A WINGLESS FLIGHT INTO THE DARKNESS

ერთმოქმედებიანი ბალეტი ოთარ ჭილაძის პოემის „სინათლის წელიწადის“ მოტივებზე
ONE ACT BALLET BASED ON THE POEM *A LIGHT YEAR* BY OTAR TCHILADZE

მსოფლიო პრემიერა
WORLD PREMIERE

დამდგმელი ქორეოგრაფი – ტეეტ კასკი
STAGING CHOREOGRAPHER – TEET KASK

დეკორაციებისა და კოსტიუმების მხატვარი – ტეეტ კასკი
განათების მხატვარი – მარკუს ვაიგური
ხმის მონტაჟი – გიორგი მშვენიერაძე

სპექტაკლში გამოყენებულია ღმრთისმშობლის ტროპარი და ესტონელი კომპოზიტორის ერკი-სვენ ტუურის ნაწარმოები „Dedication”.

Set and Costume Designer – TEET KASK
Lighting Designer – MARGUS VAIGUR
Sound montage by GIORGI MSHVENIERADZE

The work features Troparion of the Holy Virgin and *Dedication* by Estonian composer Erkki-Sven Tüür

მსოფლიო პრემიერა შედგა ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრში 2011 წლის 22 სექტემბერს

WORLD PREMIERE ON SEPTEMBER 22, 2011 AT ALEXANDER GRIBOEDOV RUSSIAN STATE DRAMA THEATRE



ტეეტ კასკი
TEET KASK

« ოთარ ჭილაძის პოემა ესტონურად წავიკითხე და ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. როგორც ქორეოგრაფმა, განვიცადე მოგზაურობა სივრცეში, რომელიც ოთარ ჭილაძემ პოეტური სტრიქონებით გადმოსცა. მის მიერ შექმნილ სამყაროში ყოველ ჩვენგანს, თავისებურად შეუძლია წარმოიდგინოს თავი და „იფრინოს ფრთების გარეშე წყვდიადში“... პოეტის რჩევები ცხოვრებაში სწორი მიმართულების არჩევაში გეხმარება. მწერლის სამყაროში შესაძლებელია შეხვდეთ ვარსკვლავებს და ცხენს, წვიმას და სიყვარულს, სულიერებას და მზეს, ანგელოზებს და თოვლს. ის ამ სივრცეში მარადიულ ფასეულობებთან შეხების შესაძლებლობას გვაძლევს. ეს დღესასწაული მუდამ ჩვენთან რჩება.

I read the poem by Otar Tchiladze in Estonian and it made a great impression on me. As choreographer I took journey in space that Otar created with words. He has created space which enables an own flight to each of us. He has given these flight advices that help to keep on course. Otar has created with words a space where it is possible to meet stars and horse, rain and love, spirituality and sun, angels and snow. He enables us there to touch timelessness and sustainable values, and to brightly and understandably live it indelibly. He celebrates human existence and values to live pious life. »



ტეეტ კასკი
TEET KASK





# TAMPOPO

ერთმოქმედებიანი ბალეტი
BALLET IN ONE ACT

მსოფლიო პრემიერა
WORLD PREMIERE

ქორეოგრაფი – ტეტ კასკი
Choreography by TEET KASK

მუსიკა – **არვო პიარტი**
კოსტიუმების მხატვარი – **ნინო ჩუბინიშვილი**
სცენოგრაფია – **ტეტ კასკი**
განათების მხატვარი – **მარგუს ვაიგური**

სპექტაკლში მონაწილეობს Trio per Te თეა ჭკუასელის (ფორტეპიანო), ლელა მჭედლიძის (ვიოლინო) და გიორგი ჯორჯაძის (ჩელო) შემადგენლობით.

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
**ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი, ოთარ ხელაშვილი**

Music – ARVO PÄRT
Costume Designer – NINO CHUBINISHVILI
Scenography – TEET KASK
Lighting Designer – MARGUS VAIGUR

The production features Trio per Te with Tea Tchkuaseli (piano),
Lela Mtchedlidze (violin) and Giorgi Jorjadze (cello)

**Principal roles in the premiere performance danced by NINA ANANIASHVILI,**
**VASIL AKHMETELI, OTAR KHELASHVILI**

პრემიერა შედგა რუსთაველის თეატრში
2012 წლის 16 მარტს
ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის
30 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე

PREMIERED ON MARCH 16, 2012 AT RUSTAVELI THEATRE AT THE EVENING FOR MARKING 30 YEARS OF NINA ANANIASHVILI ON STAGE





ვასილ ახმეტელი, ოთარ ხელაშვილი, ნინო ანანიაშვილი
VASIL AKHMETELI, OTAR KHELASHVILI, NINA ANANIASHVILI



ოთარ ხელაშვილი, ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი
OTAR KHELASHVILI, NINA ANANIASHVILI, VASIL AKHMETELI

# ანარეკლი
# ერთმოქმედებიანი ბალეტი REFLECTIONS BALLET IN ONE ACT

დამდგმელი ქორეოგრაფი – იური პოსოხოვი

მუსიკა – ფელიქს მენდელსონი, სიმფონია No.1
სცენის და კოსტიუმების დიზაინი – სანდრა ვუდალი
განათების მხატვარი – დევიდ ფინი

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:**
ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი

მსოფლიო პრემიერა – 2005 წელს სან ფრანცისკოს ბალეტი

ფრაგმენტი ბალეტიდან თბილისში პირველად შესრულდა ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ გალა-კონცერტზე 2012 წლის 18 მარტს, თბილისის საკონცერტო დარბაზში

პრემიერა შედგა თბილისის საკონცერტო დარბაზში 2012 წლის 27 აპრილს

STAGING CHOREOGRAPHER – YURI POSSOKHOV

Music – FELIX MENDELSSOHN, Symphony No.1 in C minor
Stage and Costume Designer – SANDRA WOODALL
Lighting Designer – DAVID FINN

**Principal roles in the premiere performance danced by**
NINA ANANIASHVILI, VASIL AKHMETELI

WORLD PREMIERE IN 2005 AT SAN FRANCISCO BALLET

EXCERPT FROM THE BALLET WAS FIRST PERFORMED IN TBILISI ON THE GALA CONCERT DEDICATED TO 30 YEARS ANNIVERSARY OF NINA ANANIASHVILI ON STAGE, AT TBILISI CONCERT HALL, ON MARCH 18, 2012.

TBILISI PREMIERE ON APRIL 27, 2012 AT TBILISI CONCERT HALL







ანა ალბუთაშვილი, ლალი კანდელაკი
ANA ALBUTASHVILI, LALI KANDELAKI



## Arabesque

BALLET MAGAZINE არაბესკი ჟურნალი ბალეტზე

**N2, 2012**

„ანარეკლის“ პრემიერა თბილისის საკონცერტო დარბაზში, ქართული ხელოვნების საღამოების პროგრამის ფარგლებში, შედგა. ცნობილი თანამედროვე ქორეოგრაფის იური პოსოხოვის ამ ბალეტმა ნინო ანანიაშვილზე ბოლო წლების მანძილზე ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება დატოვა. ამიტომ გადაწყვიტა პოსოხოვი თბილისში მოეწვია და სან ფრანცისკოს ბალეტის შემდეგ „ანარეკლი“ თბილისშიც დაედგა.

The premiere of the one act ballet took place at the Tbilisi Concert Hall in frame of the Evenings of Georgian Art. This production by the well known contemporary choreographer impressed Nina Ananiashvili the most in recent years, so she decided to invite Possokhov to Tbilisi for staging the ballet here following its premiere at San francisco Ballet.

# ეს თავდაყირა სამყარო

# OH, INVERTED WORLD

ქორეოგრაფი – თრეი მაკინტაერი | CHOREOGRAPHY BY TREY MCINTYRE

მუსიკა – THE SHINS | Music – THE SHINS

დადგმა – ტრეივის უოკერი | Staging – TAVIS WALKER

კოსტიუმების მხატვარი – სანდა ვუდალი | Costume Designer – SANDRA WOODALL

განათების მხატვარი – ტრეივის რიჩარდსონი | Lighting Designer – TRAVIS RICHARDSON

პრემიერა Trey McIntyre Project -ში შედგა 2011 წლის 12 აგვისტოს, ვეილის ცეკვის საერთაშორისო ფესტივალზე (კოლორადოს შტატი, აშშ)
პრემიერა თბილისში შედგა ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში 2012 წლის 20 სექტემბერს

PREMIERE BY TREY MCINTYRE PROJECT ON AUGUST 12, 2011 AT VAIL INTERNATIONAL DANCE FESTIVAL
TBILISI PREMIERE ON SEPTEMBER 28, 2012 AT ALEXANDER GRIBOEDOV STATE RUSSIAN DRAMA THEATRE






In Alexander Griboedov Russian State Theatre
ZAKARIA PALIASHVILI
TBILISI STATE OPERA AND BALLET THEATRE
KSB
საბალეტო სეზონის გახსნა
Opening of the Ballet Season
20
ოქტომბერი
October
19:00





# ქუჩა
# THE STREET

ერთმოქმედებიანი ბალეტი
BALLET IN ONE ACT

იდეის ავტორი და ქორეოგრაფი
მარიამ ალექსიძე

IDEA AND CHOREOGRAPHY BY
MARIAM ALEKSIDZE

გამოყენებულია ფრანც იოზეფ ჰაიდნის და
ეკა ჭაბაშვილის ორიგინალური მუსიკა
მუსიკალური კოლაჟის ვერსია
ეკა ჭაბაშვილისა
სცენოგრაფია და კოსტიუმების მხატვარი –
ანკა კალატოზიშვილი
პედაგოგ-რეპეტიტორი –
მარინა ალექსიძე

Based on original music by
FRANZ JOSEPH HAYDN and EKA TCHABASHVILI
Musical collage by
EKA TCHABASHVILI
Scenography and costumes by
ANKA KALATOZISHVILI
Balletmaster-coach –
MARINA ALEKSIDZE

პრემიერა გაიმართა 2012 წლის 8 დეკემბერს
ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო
დრამატულ თეატრში

TBILISI PREMIERE ON DECEMBER 8, 2012 AT ALEXANDER GRIBOEDOV
STATE RUSSIAN DRAMA THEATRE



ნინო გოგუა, დავით ანანელი
NINO GOGUA, DAVID ANANELI



ვიკა კიკაბიძე, უილიამ პრატი, შორენა ხაინდრავა
VIKA KIKABIDZE, WILLIAM PRATT, SHORENA KHAINDRAVA

უილიამ სანტოსი
WILLIAM SANTOS



მარიამ ალექსიძე
MARIAM ALEKSIDZE





# საიდუმლო ბაღი
# THE SECRET GARDEN

ერთმოქმედებიანი ბალეტი
BALLET IN ONE ACT

ქორეოგრაფი –
ალექსანდრა ევთიმოვა
CHOREOGRAPHY –
ALEXANDRA EVTIMOVA

კომპოზიტორები – სებასტიან პლანო და
ოლაფურ არნალდსი
ვიდეო ანიმაცია –
პრედრაგ მილოშევიჩი
კოსტიუმები და სცენოგრაფია –
ალექსანდრა ევთიმოვასი

Composers – SEBASTIAN PLANO and
ÓLAFUR ARNALDS
Video Animation –
PREDRAG MILOSEVIC
Costume and scenography –
ALEXANDRA EVTIMOVA

პრემიერა გაიმართა 2012 წლის 8 დეკემბერს
ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ
სახელმწიფო დრამატულ თეატრში

TBILISI PREMIERE ON DECEMBER 8, 2012 AT ALEXANDER
GRIBOEDOV STATE RUSSIAN DRAMA THEATRE







ალექსანდრა ევთიმოვა
ALEXANDRA EVTIMOVA




ეკატერინე ლომინაძე, ნიკა ჯაიანი
EKATERINE LOMINADZE, NIKA JAIANI

ა. გლაზუნოვი

# რაიმონდა

A. GLAZUNOV

# RAYMONDA

მესამე მოქმედება

ACT THREE

მარიუს პეტიპას
ქორეოგრაფიის მიხედვით
ნინო ანანიაშვილისა და
ალექსეი ფადეეჩევის დადგმა

BASED ON CHOREOGRAPHY
BY MARIUS PETIPA
STAGING BY NINA ANANIASHVILI,
ALEXEY FADEECHEV

დამდგმელი ქორეოგრაფების
ასისტენტები –
    ტატიანა რასტორგუევა
    ეკა შავლიაშვილი
კოსტიუმების მხატვარი –
    ნინო ოჩიაური
ანიმაცია – სტუდია „ოპიო“

**პრემიერაში მონაწილეობდნენ:
ნინო ანანიაშვილი,
ერიკ ბუროუ**

Assistants to the Staging
Choreographers –
    TATIANA RASTORGUEVA
    EKA SHAVLIASHVILI
Costume Designer –
    NINO OCHIAURI
Animation by OPIO STUDIO

**Principal roles in the premiere
performance danced by NINA
ANANIASHVILI, ERIC BURROUGH**

პრემიერა გაიმართა 2012 წლის
8 დეკემბერს ა. გრიბოედოვის
სახელობის რუსულ სახელმწიფო
დრამატულ თეატრში

TBILISI PREMIERE ON DECEMBER 8, 2012
AT ALEXANDER GRIBOEDOV STATE
RUSSIAN DRAMA THEATRE



ნინო ანანიაშვილი, ერიკ ბუროუ
NINA ANANIASHVILI, ERIC BURROUGH

# ᲐᲛᲐᲝ ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔ
# LA FILLE MAL GARDÉE

ᲑᲐᲚᲔᲢᲘ ᲝᲠ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ

BALLET IN TWO ACTS

## ᲜᲘᲜᲝ ᲐᲜᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲤᲐᲓᲔᲔᲩᲔᲕᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲛᲐ

ᲜᲘᲜᲝ ᲐᲜᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ და ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲤᲐᲓᲔᲔᲩᲔᲕᲘᲡ ლიბრეტო
Ჟ. ᲓᲝᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘᲡ მოტივებზე

ᲤᲔᲠᲓᲘᲜᲐᲜᲓ ᲯᲔᲠᲝᲚᲓᲘᲡ და ᲞᲔᲢᲔᲠ ᲚᲣᲓᲕᲘᲒ ᲯᲔᲠᲢᲔᲚᲘᲡ მუსიკა

დამდგემლი ქორეოგრაფების ასისტენტები –
ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲠᲐᲡᲢᲝᲠᲒᲣᲔᲕᲐ, ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მხატვარი – ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲐᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

კოსტიუმების მხატვარი – ᲜᲘᲜᲝ ᲝᲩᲘᲐᲣᲠᲘ

განათების მხატვარი – ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲐᲜᲐᲜᲔᲚᲘ

მუსიკალური მასალა შეკრიბა და მოამზადა ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲐᲫᲔᲛ

**პრემიერაში მონაწილეობდნენ: ᲜᲘᲜᲝ ᲛᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲘᲝ ᲙᲐᲢᲝ, ᲜᲣᲪᲐ ᲩᲔᲙᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲘᲙᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗ 2013 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ Ა. ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

## STAGING BY NINA ANANIASHVILI AND ALEXEY FADEECHEV

Libretto by NINA ANANIASHVILI and ALEXEY FADEECHEV based on story by JEAN DAUBERVAL

Music by FERDINAND HÉROLD and PETER LUDWIG HERTEL

Assistants to Staging Choreographers – TATIANA RASTORGUEVA, EKA SHAVLIASHVILI

Designer – GIORGI TANDASHVILI

Costume Designer – NINO OCHIAURI

Lighting Designer – AMIRAN ANANELI

Musical material collected and prepared by GIORGI MSHVENIERADZE

**Principal roles in the premiere performance danced by NINO MATIASHVILI, RYO KATO, NUTSA CHEKURASHVILI, MAMUKA KIKALISHVILI**

TBILISI PREMIERE ON JUNE 1, 2013 AT ALEXANDER GRIBOEDOV STATE RUSSIAN DRAMA THEATRE





▲ ნუცა ჩეკურაშვილი, გიორგი ჩხაიძე
NUTSA CHEKURASHVILI, GIORGI CHKHAIDZE

▶ ცენტრში – გიორგი მშვენიერაძე
CENTRE: GIORGI MSHVENIERADZE

▶ ნინო მათიაშვილი, რიო კატო
NINO MATIASHVILI, RYO KATO






თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
ZAKARIA PALIASHVILI
TBILISI STATE OPERA AND BALLET THEATRE
გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში
In Griboedov Theatre
პრემიერა
PREMIERE
1 ივნისი JUNE 19:00
2 ივნისი JUNE 15:00
ამაო სიფრთხილე
ბალეტი ორ მოქმედებად
La Fille Mal Gardee
BALLET IN TWO ACTS

# გელინო
# GELINO

ერთმოქმედებიანი ბალეტი
BALLET IN ONE ACT

დამდგმელი ქორეოგრაფი – ალექსანდრა ევთიმოვა
STAGING CHOREOGRAPHER – ALEXANDRA EVTIMOVA

პროექტში გამოყენებულია ჯგუფ „შინ“-ის მუსიკალური კომპოზიციები
განათება – ამირან ანანელი

The project features musical compositions by THE SHINS
Lighting Designer – AMIRAN ANANELI

პრემიერა გაიმართა 2013 წლის 29 ივნისს ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში
TBILISI PREMIERE ON JUNE 29, 2013 AT ALEXANDER GRIBOEDOV STATE RUSSIAN DRAMA THEATRE









# 1ST FLASH

ერთმოქმედებიანი ბალეტი BALLET IN ONE ACT

იორმა ელოს ქორეოგრაფია

მუსიკა – იან სიბელიუსის სავიოლინო კონცერტი რე მინორი (ნაწილი II და III)

დადგმა – ქრისტოფ დოცი

კოსტიუმების მხატვრები – ჯოუკ ვისერი, იორმა ელო

განათება – ჯორდან ტუინმანი

დეკორაციები – იორმა ელო

**პრემიერაში მონაწილეობდნენ: ნინო გოგუა, ეკა სურმავა, თამთა ბახტაძე, ერიკ ბუროუ, დავით ანანელი, მამუკა კიკალიშვილი**

მსოფლიო პრემიერა შედგა 2003 წლის 18 სექტემბერს ნიდერლანდების ცეკვის თეატრ I-ში და ლუსენტის ცეკვის თეატრში (დენ ჰააგი, ნიდერლანდები)

პრემიერა გაიმართა 2013 წლის 29 ივნისს ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში

CHOREOGRAPHY BY JORMA ELO

Music – IAN SIBELIUS, Violin Concerto in D Minor (Part 2 and 3)

Staging – CHRISTOPHE DOZZI

Costume Designers – JOKE VISSER, JORMA ELO

Lighting Designer – JORDAN TUINMAN

Set Designer – JORMA ELO

**Principal roles in the premiere performance danced by NINO GOGUA, EKA SURMAVA, TAMTA BAKHTADZE, ERIC BURROUGH, DAVID ANANELI, MAMUKA KIKALISHVILI**

WORLD PREMIERE ON SEPTEMBER 18, 2003; NEDERLANDS DANS THEATER I. LUCENT DANCE THEATRE, DEN HAAG

TBILISI PREMIERE ON JUNE 29, 2013 AT ALEXANDER GRIBOEDOV STATE RUSSIAN DRAMA THEATRE







◀ ნუცა ჩეკურაშვილი, გიორგი ბერიძე
NUTSA CHEKURASHVILI, GIORGI BERIDZE

◀ თამთა ბახტაძე
TAMTA BAKHTADZE

◀ ნინო გოგუა
NINO GOGUA



იორმა ელო
JORMA ELO



# PETITE MORT

ირჟი კილიანის ქორეოგრაფია

მუსიკა: ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი – საფორტეპიანო კონცერტი 23 (KV 488) Adagio, საფორტეპიანო კონცერტი 21 (KV 467) Andante

დადგმა – პატრიკ დელკრუა
დამდგმელი მხატვარი – ირჟი კილიანი
კოსტიუმების მხატვარი – ჯოუკ ვისერი
განათების მხატვარი – ირჟი კილიანი (იდეა), იოპ კაბოორტი (შესრულება)
განათების რეჟისორი – იოოსტ ბიგელაარი

მსოფლიო პრემიერა: 1991 წლის 23 აგვისტო ნიდერლანდების ცეკვის თეატრი I-ში, ზალცბურგის ფესტივალზე, ავსტრია
პრემიერა თბილისში შედგა 2013 წლის 16 ნოემბერს

CHOREOGRAPHY BY JIŘÍ KYLIÁN

Music: WOLFGANG AMADEUS MOZART: Piano Concerto in A Major (KV 488), Adagio, Piano Concerto in C Major (KV 467), Andante

Staging – PATRICK DELCROIX
Set design – JIŘÍ KYLIÁN
Costume design – JOKE VISSER
Lighting design – JIŘÍ KYLIÁN (concept), JOOP CABOORT (realization)
Lighting direction – JOOST BIEGELAAR

WORLD PREMIERE: AUGUST 23, 1991 BY NEDERLANDS DANS THEATER I AT KLEINES FESTSPIELHAUS, SALZBURGER FESTSPIELE, AUSTRIA
TBILISI PREMIERE ON NOVEMBER 16, 2013













# CONCERTO BAROCCO

| | |
|---|---|
| ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია | CHOREOGRAPHY BY GEORGE BALANCHINE |
| მუსიკა – იოჰან სებასტიან ბახი. კონცერტი ორი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის რე მინორი, BWV 1043 | Music by JOHANN SEBASTIAN BACH, Concerto in D minor for Two Violins, BWV 1043 |
| დადგმა – ბარტ კუკი | Staging – BART COOK |
| თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი<br>ვიოლინოს პარტიები – ნინო ციტაიშვილი, თეა ჯავახია<br>ფორტეპიანო – თამარ მაჭავარიანი<br>დირიჟორი – დავით მუქერია | Tbilisi Opera and Ballet State Theatre Orchestra<br>Violin – NINO TSITAISHVILI, TEA JAVAKHIA<br>Piano – TAMAR MATCHAVARIANI<br>Conductor – DAVID MUKERIA |
| პრემიერა თბილისში შედგა 2014 წლის 23 მაისს, თბილისის საკონცერტო დარბაზში | TBILISI PREMIERE ON MAY 23, 2014 AT THE TBILISI CONCERT HALL |



◀ ნატა რიგვავა, თამთა ბახტაძე, ნია გელაძე, შორენა ხაინდრავა, დავით ანანელი, ეკა სურმავა, ეკა მახაჭაშვილი
NATA RIGVAVA, TAMTA BAKHTADZE, NIA GELADZE, SHORENA KHAINDRAVA, DAVID ANANELI, EKA SURMAVA, EKA MAKHATCHASHVILI

▶ ეკა სურმავა, დავით ანანელი
EKA SURMAVA, DAVID ANANELI







...country's state ballet ...ashvili leads the brink—and to the U.S.

Georgia on her Mind

BY ELIZABETH KENDALL

To fly into Tbilisi, Georgia, you must land in pitch dark in the middle of the night. (Night air space is cheaper.) Even so, the welcoming passengers boils up the airport's glass walls—waving, gesticulating, soundlessly shouting. ...ou launch yourself into the next morning, your taxi and cars speed wildly along lanes, swerving to avoid the pot... ...en you get to the heart of this ...proceed on foot, you find ...rtyards with wood bay win... ...ed by hanging laundry. If ...the maze of streets, signs display what looks like some squat version of Arabic.

Life is incomprehensible, crazy, chaotic—"Mediterranean," as the half-Georgian Balanchine liked to say—and utterly fascinating, in this ancient capital of this new republic (it got its independence in 1991 when the Soviet Union dissolved) stuck between Russia, Turkey, Armenia, and Azerbaijan. How surprising, then, to enter the stage door of Tbilisi's Opera and Ballet Theatre, to proceed through long, dark corridors, and to hear in the distance the familiar calming piano music of a ballet class.

But it's more than surprising: It's a triumph. The State Ballet of Georgia has come back almost literally from the dead. In an enormous gray studio, a curly-haired male teacher in black paces the room. Ranged along the barres on the three sides of the studio are world-class dancers. Certain individuals stand out: a tall, long-haired man in gray—Irakli Bakhtadze; two shorter, black-clad men with curly black hair—the Khozashvili brothers; a compact lighter-haired woman (one of the few) in blue—Nino Gogua; a trim woman in a white skirt—Lali Kandelaki. Their Georgian faces (pale, with dark hair and dark pop-eyes, like the faces of Byzantine icons) seem to give them an extra theatricality, an extra poignancy.

Ananiashvili with Andris Liepa on Dance Magazine's cover, Oct. 1986

Balanchine's niece) who retired from the company in 1990 to teach in the ballet school.

But the president, who speaks the language of political symbols, wanted them back. "Ballet is terribly important for Georgia," explains producer Manana Kvachadze, whose film Georgians in Maryinsky just screened at New York's Dance on Camera Festival. "There's a tradition of opera and ballet that goes back to the mid-19th century in Tbilisi. We've always tried to be a fashionable city. And our folk arts of dancing and singing are on a very high level, so audiences connect to ballet."

Then there was the dazzling figure of Vakhtang Chabukiani, a Georgian folk hero, a Soviet ballet star of the 1920s and '30s. He came home to his native Tbilisi in 1935 to found the present company, with scenic artist Simon Versaladze and composer Andria Balanchivadze (brother of Balanchine). And he directed it for nearly 40 years, putting it, if not on the level of the Kirov and the Bolshoi, at the forefront of Soviet companies. Chabukiani's energy, and that of Giorgi Aleksidze, who followed as director, made balletomanes of the Georgians. I first came to Tbilisi in 1988, on tour with Dance Theatre of Harlem. I remember the masses of happy, well-dressed people who flooded into the theater to see the American guests.

Flash forward to 2004, when the native daughter came home. "The arrival of Nina Ananiashvili today is of the same importance as the arrival of Vakhtang Chabukiani in 1935," wrote another great Georgian dancer, Zurab Kikaleishvili, in 2004 in a Tbilisi newspaper. (In Chabukiani's Othello he was Iago to the master's Othello.) ...praised her for putting her country's good ahead of her ... He warned her to keep a balance, in the reper... ...ballets and ballets from outside. And he ...

...gua ...adze ...he Two ...eft: Ana ...wan Lake. ...w right: Lali ...ki and Irakli ...dze in Romeo and Juliet.

## 2006

### უკრაინა ✱ UKRAINE

დონეცკის საერთაშორისო ფესტივალი ✱ Donetsk International Festival

## 2007

### ამერიკის შეერთებული შტატები ✱ UNITED STATES OF AMERICA

სპოლეტოს ფესტივალი, სამხრეთ კაროლინა ✱ Spoleto Festival, South Carolina
ნიუ ჰევენის ფესტივალი, კონექტიკუტი ✱ New Haven Festival, Connecticut
ჯეიკობს ფილოუს ფესტივალი, მასაჩუსეტსი ✱ Jacob's Pillow Festival, Massachusetts

### იაპონია ✱ JAPAN

ტოკიო ✱ Tokyo   იოკო-სუკა ✱ Yokosuka   ნაგოია ✱ Nagoya   ოსაკა ✱ Osaka
ოკაია ✱ Okaya

## 2008

### ამერიკის შეერთებული შტატები ✱ UNITED STATES OF AMERICA

ბერკლი (კალიფორნია) ✱ Berkeley, California
სანტა ბარბარა (კალიფორნია) ✱ Santa Barbara, California
ლოს-ანჟელესი (კალიფორნია) ✱ Los Angeles, California
ნიუ-იორკი BAM (ბრუკლინის მუსიკალური აკადემია) ✱ New York Brooklyn Academy of Music
ჩიკაგო (ილინოისი) ✱ Chicago, Illinois
აიოვა ✱ Iowa
მინესოტა ✱ Minnesota

### დიდი ბრიტანეთი ✱ GREAT BRITAIN

ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალი ✱ Edinburgh International Festival

## 2009

### სომხეთი ✱ ARMENIA

ერევანი, ქართული კულტურის დღეები ✱ Yerevan, Days of Georgian Culture

### საქართველოს რეგიონები ✱ REGIONS OF GEORGIA

ბათუმი ✱ Batumi   ქუთაისი ✱ Kutaisi

## 2010

ეგვიპტე * EGYPT

ქაირო, საქართველოს კულტურის დღეები * Cairo, Days of Georgian Culture

იაპონია * JAPAN

ნაგოია * Nagoya ტოკიო * Tokyo ოსაკა * Osaka

ამერიკის შეერთებული შტატები * UNITED STATES OF AMERICA

სპოლეტოს ფესტივალი, სამხრეთ კაროლინა * Spoleto Festival, South Carolina
ჯეიკობს ფილოუს ფესტივალი, მასაჩუსეტსი * Jacob's Pillow Festival, Massachusetts

ბელარუსი * BELARUS

მინსკი * Minsk

## 2011

ესტონეთი * ESTONIA

ტალინი * Tallinn

ტაივანი * TAIWAN

ტაოუანი * Taoyuan ტაიპეი * Taipei იუნლინი * Yunlin

იტალია * ITALY

კატანია * Catania ლეგნიაგო, Teatro Salieri * Legnano, Teatro Salieri
გორიცია, Teatro Verdi * Gorizia, Teatro Verdi

აზერბაიჯანი * AZERBAIJAN

ბაქო, ქართული კულტურის დღეები * Baku, Days of Georgian Culture

ამერიკის შეერთებული შტატები * UNITED STATES OF AMERICA

Avery Fisher Hall, ლინკოლნ ცენტრი, ნიუ იორკი * Avery Fisher Hall, Lincoln Center, New York

GW Lisner Auditorium, ვაშინგტონი * GW Lisner Auditorium, Washington, DC

ეკვადორი * ECUADOR

კიტო, ქართული კულტურის დღეები * Quito, Days of Georgian Culture

საქართველოს რეგიონები * REGIONS OF GEORGIA

ფოთი * Poti ქუთაისი * Kutaisi გორი * Gori თელავი * Telavi






## 2012

**ბელარუსი ⁕ BELARUS**

მინსკი ⁕ Minsk

**უკრაინა ⁕ UKRAINE**

კიევი ⁕ Kiev

**იაპონია ⁕ JAPAN**

ტოკიო ⁕ Tokyo   ოკინავა ⁕ Okinawa   ივაკუნი ⁕ Iwakuni
კაგოშიმა ⁕ Kagoshima   ნაგოია ⁕ Nagoya   შიზუოკა ⁕ Shizuoka

**ჩინეთი ⁕ CHINA**

პეკინი, საშემსრულებლო ხელოვნებათა ჩინეთის ეროვნულ ცენტრი
⁕
Beijing, National Centre for the Performing Arts

**ესპანეთი ⁕ SPAIN**

სარაგოსა ⁕ Zaragoza

## 2013

**ესტონეთი ⁕ ESTONIA**

საარემას ფესტივალი ⁕ Saaremaa Festival

**ესპანეთი ⁕ SPAIN**

ლეონი ⁕ León   მედინა ⁕ Medina   დელ კამპო ⁕ del Campo
მურსია ⁕ Murcia   ტერასა ⁕ Terraza   სარაგოსა ⁕ Zaragoza

## 2014

**ლიბანი ⁕ LEBANON**

ბეირუთი, ალ ბუსტანის ფესტივალი
⁕
Beirut, Al Bustan Festival

**ბელარუსი ⁕ BELARUS**

მინსკი ⁕ Minsk

**ფინეთი ⁕ FINLAND**

ლახტი ⁕ Lahti

**პორტუგალია ⁕ PORTUGAL**

სინტრა ⁕ Sintra

**ესპანეთი ⁕ SPAIN**

ალიკანტე, ტორევინა, პამპლონა ⁕ Alicante, Treviño, Pamplona

2007 წლის ზაფხულში აშშ საბალეტო დასის პირველი გასტროლი შედგა. 4-25 ივნისს ქართული ბალეტი სპოლეტოს, ნიუ ჰევენისა და ჯეიკობს ფილოუს ფესტივალებზე გამოდიოდა. საგასტროლო პროგრამაში იყო „გედების ტბა“, „ჟიზელი“, თრეი მაკინტაერის „წამი გარდასახვამდე“, ბალანჩინის „მოცარტიანა“ და გრანდ დივერტისმენტი „დონ კიხოტიდან“.

The Company held its first tour in the United States in the summer of 2007. The Georgian ballet featured at festivals of Spoleto, New Haven and Jacob's Pillow, with *Swan Lake, Giselle,* Trey McIntyre's *Second Before the Ground*, George Balanchine's *Mozartiana* and the grand divertissement from *Don Quixote* in program.






## The New York Times 18.06.2007

ალისტერ მაკოლი
ALASTAIR MACAULAY

### „ჟიზელი“ – სავსე სპონტანურობით, უკანდახევის გარეშე

ქართველები ცეკვავენ მუსიკალური სიზუსტით, როგორც თვით ანანიაშვილი. სტილი სუფთაა და ქალთა კორდებალეტი სინქრონულად და ერთიანად ცეკვავს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული „ჟიზელის“ ისტორია სათავეს 1940 წლიდან იღებს, ნათელია, რომ დასისთვის ეს ახალია. ამ რედაქციის მომხიბვლელობა მისი სიმარტივეა, როგორც თავად ჟიზელია და არ არის გაფუჭებული პრეტენზიული რეინტერპრეტაციით, ზედმეტი მანიერიზმით.

### VETERAN'S *GISELLE*, FULL OF SPONTANEITY, AND NO APOLOGIES

"The Georgians dance with the same musical directness and springlike charm as Ms. Ananiashvili. The style is clean, the female corps de ballet uniformly engaged. Although *Giselle*'s history in Georgia goes back to the 1940s, it's evident that most of this cast is fairly new to it. The production's pleasure is simply that this is *Giselle* itself, neither spoiled by pretentious reinterpretation nor made stale by mannerism.



## The New York Times 23.06.2007

ალისტერ მაკოლი
ALASTAIR MACAULAY



### საზეიმო ემოცია ძველ კლასიკაში

ნინო ანანიაშვილს, რომელიც სათავეში ჩაუდგა დასს 2004 წელს, კარგი მოცეკვავეები დახვდა. მაგრამ მან მიღწევების მაღალი სტანდარტი დაამკვიდრა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დასმა შეიძინა 24 ბალეტი, მათ შორის-ეშტონის ორი და ბალანჩინის შვიდი ნაწარმოები. მიეცით ამ მოცეკვავეებს დიდი სცენა და ცოცხალი მუსიკა და საქართველოს შეუძლია იამაყოს თავისი საბალეტო თეატრით.

### BRAVURA MOVES FOR AN OLD CROWD PLEASER

Ms. Ananiashvili, who took over this company in 2004, must have inherited dancers who were already good, but she has established a high standard of achievement. Under her leadership the company has acquired 24 ballets, including two by Ashton and seven by Balanchine. Put these dancers on a big stage with live music and they can do Georgia proud.

2008 წლის თებერვალსა და მარტში საბალეტო დასს ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მოუხდა გამოსვლა სხვადასხვა პრესტიჟულ სცენებზე. ბერკლის, სანტა ბარბარას, ლოს ანჟელესის, ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, აიოვასა და მინესოტას პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში დასმა 21 სპექტაკლი გამართა. საგასტროლო პროგრამაში შეტანილი იყო ორი კლასიკური ბალეტი – „ჟიზელი“ და „დონ კიხოტი“ და ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა (ბალანჩინის „ჩაკონა“, “Duo Concertant”, ალექსეი რატმანსკის „ვარიაციები“ და „სიზმრები იაპონიაზე“ და იური პოსოხოვის „საგალობელი“).

The Company performed on a number of prestigious stages in the United States in February and March 2008, with 21 shows in concert halls of Berkeley, Santa Barbara, Los Angeles, New York, Chicago, Iowa and Minnesota. The program included classical ballets *Giselle* and *Don Quixote* as well as one-act ballet list with *Chaconne* and *Duo Concertant* by George Balanchine, *Bizet Variations* by Alexei Ratmansky and *Dreams About Japan* by Yuri Possokhov.



ბართ ქუქთან და მარია კალეგართან ერთად
WITH BART COOK AND MARIA CALEGARI

NEW YORK POST 29.02.2008

კლაივ ბარნსი
CLIVE BARNES

## მაღალი დონის დასი

ამ საბალეტო დასს შთამბეჭდავი წარსული აქვს. მე მათ პირველად 40 წლის წინ შევხვდი პარიზში, როდესაც „ოტელოს“ გამაოგნებელ წარმოდგენას დავესწარი. მთავარ პარტიას ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოცეკვავე ვახტანგ ჭაბუკიანი ასრულებდა. ნინო ანანიაშვილს დღეს უკვე ჰყავს დასი, რომელიც იმდენად ჩქარა მიიწევს წინ, რომ აშშ-ში საგასტროლო ტურის მოწყობაც კი შეძლეს.

## TROUPE'S A PEACH

This is a company with a considerable past. I first encountered it more than 40 years ago in Paris, when it performed a striking ballet version of *Othello*, with Vakhtang Chabukiani, one of the all-time great male dancers. Enter Nina. Within three years she has the troupe up and running fast enough to tour the United States.





ირინა კოლპაკოვასთან ერთად
WITH IRINA KOLPAKOVA

The New York Times **29.02.2008**

ალისტერ მაკოლი
ALASTAIR MACAULAY

## განახლებული ქართული სახელმწიფო ბალეტი თავის შესაძლებლობებს აჩვენებს

ანანიაშვილის მუშაობის შედეგად, ქართული საბალეტო დასის მოცეკვავეებმა აიმაღლეს საშემსრულებლო ტექნიკა. მათი ცეკვის სტილი მოკლებულია ხელოვნურობას და პომპეზურობას, რაც კიროვისა და დიდი თეატრების მოცეკვავეებს ახასიათებთ. ქართული საბალეტო დასის მოცეკვავეები ტექნიკურად საკმაოდ ძლიერნი არიან.

## RETOOLED STATE BALLET OF GEORGIA SHOWS ITS WARES

Presumably as a result of Ms. Ananiashvili's training, the Georgian company bears many of her own best dance virtues. These dancers show a clean, unshowy style with none of the flamboyance or exaggerations that have characterized many Kirov and Bolshoi dancers, and plenty of technical strength.

THE WALL STREET JOURNAL **05.03.2008**

რობერტ გრეშკოვიჩი
ROBERT GRESKOVIC

## ანანიაშვილი და საქართველოს სახელმწიფო ბალეტი

ამ დასს გააჩნია პოეტური სული და სითბო. საქართველოს სახელმწიფო ბალეტის ხასიათში, ბალეტის ზუსტი ხელოვნება შენარჩუნებულია და განვრცობილი ფანტაზიის გარეშე და მოაზრებული, როგორც მშვენიერი.

## NINA ANANIASHVILI AND THE STATE BALLET OF GEORGIA

What this company now lacks in finesse it makes up for in poetic spirit and outgoing warmth. in the ethos of the State Ballet of Georgia, ballet's rigorous art is something to be cherished and cultivated and matter-of-factly thought of as beautiful.






ნინო ანანიაშვილი და სერგეი ფილინი გასტროლზე
NINA ANANIASHVILI AND SERGEI FILIN ON TOUR



8-15 აგვისტოს თბილისის ზ.ფალიაშვილის სახლობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი მონაწილეობდა ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალში. საგასტროლო პროგრამაში შეტანილი იყო კლასიკური ბალეტი – „ჟიზელი“ და ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა (ბალანჩინის „ჩაკონა“, “Duo Concertant”, ალექსეი რატმანსკის „ვარიაციები“ და იური პოსოხოვის „საგალობელი“). გასტროლმა დიდი წარმატებით ჩაიარა, რასაც მოწმობს პრესის გამოხმაურებები და ჰერალდ ენჯელსის ჯილდო, რომელიც საბალეტო დასს მიენიჭა.

Tbilisi Zakaria Paliashvili Opera and Ballet State Theatre Ballet Company participated in the Edinburgh International Festival from August 8-15, with *Giselle* and one-act program of *Chaconne* and *Duo Concertant* by George Balanchine, *Bizet Variations* by Alexei Ratmansky and *Sagalobeli* by Yuri Possokhov. The success of the tour was reflected in press reviews and the Herald Angels award received by the Company.




THE SCOTSMAN 13.08.2008

კელი ეფთერი
BY KELLY APTER

★★★★★

« ქართული სახელმწიფო დასი: ერთმოქმედებიანი ბალეტები

მათ სამშობლოში მიმდინარე მოვლენების ფონზე საქართველოს სახელმწიფო საბალეტო დასისათვის შაბათს სცენაზე გამოსვლა ნამდვილად არ იყო ადვილი. განსაკუთრებით ნინო ანანიაშვილის, დასის სამხატვრო ხელმძღვანელისა და პრიმა-ბალერინასათვის, რომელიც ასევე საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის მეუღლეა, თუმცა „ჟიზელში“ სცენაზე პირველივე გამოსვლისას ჩანდა, რომ შინაგან განცდებს მის შესრულებაზე გავლენა არ მოუხდენია.

STATE BALLET OF GEORGIA: MIXED BILL

With hostilities escalating by the minute in their homeland, it can't have been easy for the State Ballet of Georgia to take the stage on Saturday. Especially for Nina Ananiashvili, the company's artistic director and prima ballerina – also wife of a Georgian government official. But there was no sign of her internal burden when she skipped on to the stage during the opening act of *Giselle*. »






STAGE Edinburgh

11.08.2008

ბრაიან კუპერი
BRIAN COOPER

★★★★

„ჟიზელი“

ვასილ ახმეტელი ალბერის როლის ძლიერი შემსრულებელია. მისი პა დე დე ანანიაშვილთან მათ შეხვედრას სრულ დრამატულ ძალას აძლევს. ირაკლი ბახტაძე ილარიონის როლს სრულფასოვნად ასრულებს, ლალი კანდელაკი კი მირტას, ვილისების დედოფლის მშვენიერი გადმომცემია. სასიამოვნოა კორდებალეტის ხილვა, ხოლო შოტლანდიის კამერული ორკესტრი რობერტ კოულის ხელმძღვანელობით, ადანის მუსიკას იდეალურად ასრულებს.

GISELLE

Vasil Akhmeteli is a strong yet subtle Count Albrecht, his pas de deux with Ananiashvili giving their life or death encounter full dramatic force. Irakli Bakhtadze is a convincing presence as the doomed gamekeeper Hilarion, Lali Kandelaki is most pleasing as Myrta, Queen of the Wilis, the corps richly satisfy throughout, and the Scottish Chamber Orchestra under Robert W Cole most finely render Adam's evocative score, in this memorably top-class performance.



ქართული ბალეტის კიდევ ერთი წარმატებული გასტროლი ამომავალი მზის ქვეყანაში. 2010 წელს იაპონიაში კვლავ შედგა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის გამოსვლა. კლასიკური ბალეტები „ჟიზელი“ და „რომეო და ჯულიეტა“ საბალეტო დასმა ქალაქებში ნაგოიაში, ოსაკაში  და ტოკიოში წარმოადგინა. ტოკიოში ქართული ბალეტი ბუნკა კაიკანისა და U-პორტის პრესტიჟულ 4.000 კაციან დარბაზებში გამოდიოდა. გასტროლში დასთან ერთად მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტები ანდრეი უვაროვი და მორიხიტო ივატა მონაწილეობდნენ.

This was another successful visit of the Georgian ballet in the country of the rising sun. After a three year break, Japan witnessed the tour of the State Ballet of Georgia in 2010. Classics *Giselle* and *Romeo and Juliet* were presented by the Company in Nagoya, Osaka and Tokyo. In the capital city the Georgian company danced at the prestigious 4000-seater halls of Bunka Kaikan and U-Port. Performing alongside the Company at the tour were soloists of the Bolshoi Theatre Andrei Uvarov and Morihiro Iwata. The performances were concluded on March 14.







გაზეთი „ნიკეი“
NIKKEI NEWSPAPER 17.03.2010

იუკი ნაგანო
YUKI NAGANO

## ნინას ღრმა გამოხატვა „სიმშვიდეში“

ნინო ანანიაშვილი, რომლის განუმეორებელი გამოსვლები რუსეთის დიდი თეატრის ვარსკვლავის რანგში საყოველთაოდაა ცნობილი, 2004 წლის შემდეგ საკუთარი სამშობლოს საბალეტო დასს უძღვება, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი და პრიმა-ბალერინა. ამჯერად მან ცეკვისა და ხასიათის გადმოცემის ბუნებრივი შერწყმით გაგვაოცა, რამაც მაყურებლის აღფრთოვანება დაიმსახურა. მან ღრმა სულიერება აჩვენა, რომლითაც ქართულ დასს საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისათვის შთაბერავს სულს, მაშინ, როცა ის თავადაც ცეკვავს.

## NINA'S PROFOUND EXPRESSION IN "STILLNESS"

Nina Ananiashvili, known for her outstanding performances worldwide as a star of the Russian Bolshoi Ballet, has led her nation's ballet company since 2004 as artistic director as well as prima ballerina. On this occasion she impressed us with her aura – the seamlessly wonderful integration of her dancing with her role-playing, which drew enthusiastic applause from the audience. She displayed her deep spirit with which she is boosting the Georgian company to world-class level while she is an active dancer.

## 2010 — USA ✱ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

### ᲡᲞᲝᲚᲔᲢᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲔᲘᲙᲝᲑᲡ ᲤᲘᲚᲝᲣᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲔᲑᲖᲔ

2010 წლის 9 ივნისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი საგასტროლოდ გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2004 წლიდან ეს ქართული ბალეტის მესამე გასტროლი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. მათ ისევ მოუხდათ სპოლეტოსა და ჯეიკობს ფილოუს პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალებზე გამოსვლა. სპოლეტოს ფესტივალზე წარმოდგენილი იქნა ბალეტი „ჟიზელი“, ჯაკობს ფილოუში კი ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა („ბიზე ვარიაციები“, „საგალობელი“, ფრედერიკ ეშტონის პა დე დეები, ბალანჩინის Duo Concertant და ირჟი კილიანის Falling Angels). საბალეტო დასთან ერთად სპოლეტოს ფესტივალზე გამოდიოდა კოვენტ გარდენის სამეფო ბალეტის პრემიერი დავით მახათელი, ჯეიკობს ფილოუს ფესტივალზე კი დანიის სამეფო ბალეტის სოლისტი სებასტიან კლობორგი. ამერიკაში ქართული ბალეტის გასტროლს ეხმიანება ამერიკული პრესა:

### AT THE SPOLETO AND JACOB'S PILLOW FESTIVALS

On June 9 the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre Ballet Company traveled to the United States on the third tour to the country in last five seasons. This time they performed once more at the Spoleto and Jacob's Pillow festivals. The Spoleto event saw the Company present *Giselle*, while Jacob's Pillow was treated to a mixed bill program (*Bizet Variations, Sagalobeli, Several pas de deux* by Sir Frederick Ashton, *Duo Concertant* by George Balanchine and *Falling Angels* by Jirí Kylián). The Royal Ballet Principal Dancer David Makhateli danced alongside the Company at the Spoleto, while Sebastian Kloborg of the Royal Danish Ballet performed together with the State Ballet of Georgia at the Jacob's Pillow. The US press reacts to the tour of the Georgian ballet in the States:

**The New York Times** 24.06.2010

ᲙᲚᲐᲣᲓᲘᲐ ᲚᲐ ᲠᲝᲙᲝ
CLAUDIA LA ROCCO

### ᲓᲐᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲑᲡ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ

„ანანიაშვილის დასის ერთ-ერთი საინტერესო მხარე მისი ისტორია და იმ დღიდან გაჩენილი საერთაშორისო ინტერესი გახლავთ, როცა რთულ მდგომარეობაში მყოფი კოლექტივი მან 2004 წელს გამოაცოცხლა“.

### FLIRTATIOUS BUNCH, INSTIGATING PLAYFUL ADVENTURES

Never mind that the only things above the stage were humble rafters; you can take the star out of the opera house, but you can't take the opera house out of the star. One of the curiosities of her troupe, the State Ballet of Georgia, is its dual existence as a plucky start-up operation and international attraction since Ms. Ananiashvili revived the floundering company in 2004.





ᲜᲘᲜᲝ ᲒᲝᲒᲣᲐ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲮᲐᲗᲔᲚᲘ, ᲜᲘᲜᲝ ᲐᲜᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
NINO GOGUA, DAVID MAKHATELI, NINA ANANIASHVILI








The Boston Globe **26.06.2010**

ჯანინ პარკერი
JANINE PARKER

## ბალერინა და დასი, რომელიც გაიზარდა

საღამოს ნამდვილი მშვენება იყო ჯორჯ ბალანჩინის მარტივი Duo Concertant, შექმნილი ორი მოცეკვავისა და სცენაზე შემსრულებელი ორი მუსიკოსისათვის (პიანისტი ჯანეტ ფანგი და მევიოლინე დევიდ სათორნი). სპექტაკლში ნინო გოგუა და სებასტიან კლობორგი (მოწვეული არტისტი დანიის სამეფო საბალეტო დასიდან) უსმენდნენ მუსიკას ფორტეპიანოსთან, შემდეგ კი თვით ასრულებდნენ ცეკვას იგორ სტრავინსკის დრამატულ მელოდიაზე. სამი წლის წინ გოგუა, მისი მშვენიერი საშემსრულებლო ხაზებისა და ტექნიკის მიუხედავად, ვერ ახერხებდა დაძაბულობის გარეშე ცეკვას. ახლა ის სრულებით ფლობს საკუთარ თავს და რბილი, მგრძნობიარეა, მოძრაობს თავისუფლად და სრულად.

## A BALLERINA AND A TROUPE GROW UP

The real joy of the evening was George Balanchine's gloriously simple *Duo Concertante*, for two dancers and two onstage musicians, pianist Jeannette Fang and violinist David Southorn. Throughout the piece, Gogua and Sebastian Kloborg (a guest from the Royal Danish Ballet) stood at the piano, listening and responding to the dramatic Igor Stravinsky score. Three years ago Gogua, though possessed of a beautiful line and technique, couldn't seem to relax, to just dance. Now she has come into herself, lithe and sensuous, moving with ease and plenitude.

## 2011 ITALY * იტალია

2011 წლის 30 აპრილიდან საბალეტო დასი გასტროლზე იმყოფებოდა იტალიაში. ქალაქებში ლენიანსა და გორიციაში წარმოდგენილი იქნა ბალანჩინის პროგრამა. 30 აპრილს სალიერის თეატრში გამართულ წარმოდგენას იტალიური საბალეტო ფორუმი გამოეხმაურა:

The Company visited Italian cities of Legnano and Gorizia – in a tour that started on April 30, 2011 – performing a George Balanchine program that included *Serenade, Duo Concertant* and *Mozartiana* for the public. Below is the reaction to the show on Italian ballet forum:

Balletto.net

2011

ლენიანო, იტალია
LEGNANO, ITALY

30.04.2011




### სალიერის თეატრის სეზონი ბალანჩინის გაბრწყინებით დაიხურა. იტალია. ლენიანო

ქართული სახელმწიფო ბალეტის ოცდაათმა მოცეკვავემ განსაკუთრებული საღამოს გამართვა მოახერხა. ოციოდ მაღალმა, დიდებულმა და ტიულის გრძელ, თეთრ, ჰაეროვან კაბებში გახვეულმა მოცეკვავემ საღამო „სერენადათი" – ბალანჩინის ერთ-ერთი უდიდესი შედევრით გახსნა. ქორეოგრაფს არანაკლები დამოკიდებულება ჰქონდა იგორ სტრავინსკის მუსიკისადმიც, როგორც ეს 1972 წელს, ნიუ იორკ სითი ბალესთვის დადგმულმა "Duo Concertant"-მ გვიჩვენა: ეს ბალეტი წარმოადგენს მცირე საბალეტო მარგალიტს, სადაც ერთ სცენაზე წარმოდგენილია მუსიკალური (ფორტეპიანო და ვიოლინო) და ქორეოგრაფიული შესრულება. ეს უკანასკნელი ეკატერინე სურმავამ და იგორ არტამონოვმა კარგად წარმოგვიდგინეს.

ბალანჩინის ხელწერა ყველაზე უკეთ „მოცარტიანამ" დაგვანახა. მის შემსრულებლებს შორის გამორჩეულია ნინო ანანიაშვილი, რომელმაც არაჩვეულებრივი აკადემიური ტექნიკით წარმოგვიდგინა ეს ქორეოგრაფია. მისი ცეკვა გაჯერებული იყო ბალანჩინის სტილისთვის დამახასიათებელი მოძრაობების სირბილითა და სიმსუბუქით. ესაა რუსული სკოლის წარმომადგენელი, მაგრამ ქართული ხასიათისა და გარეგნობის ბალერინა, რომელსაც მქუხარე ოვაციის დროს სცენაზე გამოსვლისას არ დავიწყებია ხუთჯვრიანი თეთრი დროშის შემოხვევა, ნიშნად იმისა, რომ იგი საქართველოს წარმოადგენს მთელს მსოფლიოში.

### SEASON ENDS WITH A SPARK OF BALANCHINE AT THE SALIERI THEATRE ITALY. LEGNANO

Thirty dancers of the State Ballet of Georgia managed to set a unique evening, opened by about twenty tall, graceful dancers in white soft costumes for Serenade. The choreographer had similar ties to the music of Igor Stravinsky, shown by Duo Concertant staged for the New York City Ballet in 1972: this work represents a small diamond of ballet, where the same stage features musical (piano and violin) and choreographic performance. Ekaterine Surmava and Igor Artamonov.

Balanchine's signature was best displayed by *Mozartiana*. Nina Ananiashvili is notable among the performers of the ballet – she danced it remarkably and academically. Her dance was full of soft and light movement the Balanchine style is known for. She is a representative of the Russian ballet school, although a ballerina with Georgian character and appearance who did not forget to take the Georgian national flag on the curtain call, to make it clear she is a worldwide ambassador of Georgia.


The Washington Post

Arts

SUNDAY, NOVEMBER 6, 2011

Theater In a turnaround, Arena Stage has ...ned the public from its conference on ...w to invigorate the birthing of plays. E5

Exhibits Aha! A collection of rare scientific books at Johns Hopkins's library offers many eureka moments. E3

Music The Kennedy Cent... begins its "Swing, Swing" festival, which features a star-studded tribute to the late Billy Tayl...

Nina Ananiashvili, who has defied the boundaries of politics and age, returns to D.C. with her own State Ballet of Georgia.

freedom dancer

BY SARAH KAUFMAN




2011 წლის ნოემბერში საბალეტო დასმა ამერიკის შეერებულ შტატებში გასტროლი გაიმართა. ნიუ იორკისა და ვაშინგტონის პრესტიჟულ დარბაზებში – ევერი ფიშერ ჰოლში (ლინკოლნის ცენტრი, ნიუ-იორკი) და ლისნერის სახელობის აუდიტორიაში (ვაშინგტონი) დასმა ალექსეი რატმანსკის ბალეტები წარმოადგინა – „სიზმრები იაპონიაზე“, „ბიზე ვარიაციები“ და „მანიერიზმის მშვენიერებანი“.

**The New York Times** **06.11.2011**

ბრაიან სეიბერტი
BRIAN SEIBERT

## სითბოთი და ენთუზიაზმით გადმოცემული რუსული საბალეტო სტილი

საქართველოს სახელმწიფო ბალეტი, ნიუ-იორკში, 2008 წლის გასტროლის შემდეგ, მრავალმხრივ განვითარდა. ანანიაშვილი, რომელიც ბუნებრიობითაა ცნობილი, თითქოს გარკვეულწილად მანერული გახდა, თუმცა შესაძლოა ეს პარტიების არჩევანით იყოს გამოწვეული, მისი ტექნიკური შესაძლებლობები კი ისევ მყარია. „მომაკვდავი გედის“ მისეული შესრულება, საღამოს ბოლოს ოვაციებზე არაერთგზის გამოსვლის მსგავსად, აღტაცებულ თაყვანისმცემლებს და ბალერინას შორის ერთგვარ რიტუალს ჰგავდა. ჰაერი ბალერინას მიმართ აღფრთოვანებით იყო გაჯერებული, მისი სიამაყე კი მხოლოდ პირადი არაა, რაც სცენაზე საქართველოს დროშის გამოტანამაც აჩვენა. ანანიაშვილი მისი პატარა ქვეყნის სიმბოლოს ღირსეულად გამოხატავს.

## A RUSSIAN TOUCH DELIVERED LOVINGLY, WITH GUSTO

The State Ballet of Georgia looks improved all around since its last New York appearance in 2008. Perhaps it was the choice of roles, but Ms. Ananiashvili, famous for her naturalness, seemed to have grown a little mannered, though her technique remained solid. Her rendition of the *Dying Swan*, and its automatic encore, were rituals between her and ecstatically adoring fans, as were the many bows at the evening's close. Ms. Ananiashvili took in the adoration like air, her pride more than personal as she carried the Georgian flag. She bears the standard of her small nation well.

## 2011

November 2011 saw the Company perform on tour in the United States. On prestigious Avery Fisher Hall (Lincoln Center, New York) and Lisner Auditorium (Washington) the troupe presented an Alexei Ratmansky program that included *Dreams About Japan*, *Bizet Variations* and *Charms of Mannerism*.


THE NEW YORK TIMES, MONDAY, NOVEMBER 7, 2011

C3

State Ballet of Georgia *Nina Ananiashvili in "The Dying Swan," part of her company's program at Avery Fisher Hall in Lincoln Center.*

JULIETA CERVANTES FOR THE NEW YORK TIMES

A Russian Touch Delivered Lovingly, With Gusto

BRIAN SEIBERT

DANCE REVIEW

These days for a foreign company to bring a program of ballets by the Russian choreographer Alexei Ratmansky to New York is to invoke the cliché about hauling coals to Newcastle. You can't avoid his product here, and a contract at American Ballet Theater guarantees more through 2023.

But Nina Ananiashvili, the Georgian ballerina, isn't just a supplier. A beloved guest ... Ballet Theater until ... ago, Ms. Ananiashvili ... oned Mr. Ratmansky ... was on top, at the end ... century, at the Bolshoi ... if the august Mariinsky ... can offer New York almo... ing but Ratmansky, as it ... visit this summer, so can ... aniashvili's plucky State B... Georgia. That's what happ... when the company perform... Saturday night at Avery Fis... Hall.

The Georgian troupe, whic... Ms. Ananiashvili has been dir... ing since 2004, even has a Ratmansky ballet all its own, "Bize... Variations," from 2008. The othe... two selections came from the knew-him-when period: "Charms of Mannerism" (1997) and "Dreams About Japan" (1998), both of which Mr. Ratmansky created for the Bolsho... He has made much better ... but these are all wort... New to New Y... Mannerism" ... of a cha... mo...

commenting on ... gestures. Sh... "Bizet V... so...

steps to Japanese percussion has an estranging, enlivening effect, though aspects of the dance, like the disco lights at the end, probably go over better in Moscow and Tbilisi. In one solo a rejected maiden (Ms. Ananiashvili) turns into a fire snake; in another a man (Philippe Solano) plays a mournful girl. Mr. Solano, a taut classicist, is a real find.

The State Ballet of Georgia looks improved all around since its last New York appearance in 2008. Perhaps it was the choice of roles, but Ms. Ananiashvili, fa...mous for her naturalness, ...eemed to have grown a little ...annered, though her technique ...mained solid. Her rendition of ... "Dying Swan," and its auto...tic encore, were rituals be...en her and ecstatically ador...ans, as were the many bows ... evening's close. Ms. Anani...li took in the adoration like ...r pride more than personal ... carried the Georgian flag. ...ars the standard of her ...ation well.

...ember the Neediest!




**The Washington Post** 07.11.2011

სარა კაუფმანი
SARAH KAUFMAN

### « საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა ლისნერის სახელობის აუდიტორია მოაჯადოვა

საღამოს მომაჯადოებლობის, მისი თავმდაბალი ვარსკვლავის, მომხიბლავი საბალეტო დასის, ცოცხალი მუსიკისა და დიდებული, მრავალფეროვანი ქორეოგრაფიის მიუხედავად, ჩვენს მეხსიერებაში დარჩება ამ დასის განსხვავებული ხელწერა – დასი საქართველოს დახვეწილი იმიჯის წინ წამოსაწევად იქნა განახლებული, ამ ერის ცხოვრებაში არსებული კონფლიქტების და კრიზისის მიუხედავად.

ანანიაშვილი და მისი დასი ცეკვის საშუალებით ეწევიან დიპლომატიურ შრომას, ეს კი დიდებული და იმედისმომცემი ნიჭია. გასტროლების ორგანიზატორები დიდ „ბრავოს" იმსახურებენ; ვიმედოვნოთ, რომ ამ ჩინებულ მოცეკვავეებს და მათ განსაკუთრებულად გულუხვ ხელმძღვანელს მალე კვლავ ვიხილავთ ამერიკაში.

### STATE BALLET OF GEORGIA ENCHANTS AT LISNER AUDITORIUM

As enchanting as the evening was, with its humble star, winsome ensemble, live music and the great variety in its choreography, it bears remembering that this is a ballet company unlike most others. It has been revived, at least in part, to put forward a more refined image of Georgia, one to counteract the conflict and crisis that have defined much of the nation's history.

Ananiashvili and her company are practicing diplomacy through dance – a great and hopeful gift. A round of bravos for the organizers who made this tour possible, and may these remarkable dancers, and their exceptionally generous director, return soon. »






ოკინავა თაიმსი
OKINAWA TIMES

**10.07.2012**

## ნინო, მომნუსხველად შავი და დელიკატურად თეთრი

საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სპექტაკლი „გედების ტბა“ დასის სარეპეტიციო დარბაზში იწყება თითქოს. ამ დადგმამ ახლებური შთაბეჭდილება დატოვა. მაყურებლის ყურადღება დაიმსახურა კორდებალეტის ერთიანმა სახემაც.

## NINA, BEWITCHING BLACK AND DELICATE WHITE

The State Ballet of Georgia's version started with final rehearsals for the *Swan Lake* performance by an imaginary ballet company and this staging gave fresh impression. Uniformity of corps de ballet also got the audience's attention.





DANCE MAGAZINE თავდაპირველად გამოქვეყნებულია Shinshokan-ში
Published by Shinshokan, Japan
#10, 2012

ჰიროში იოშიდა
HIROSHI YOSHIDA

## სიყვარული ბალეტის, საქართველოს და იაპონიის მიმართ

ნინოს ღიმილი ადამიანებს აბედნიერებს. ნინოს მწუხარება ადამიანების გულს სწვდება. მისი ყველა წარმოდგენა სავსე იყო სიყვარულით – სიყვარულით ბალეტის, საქართველოს და იაპონიის მიმართ.

„საგალობელი“, რომელიც იური პოსოხოვმა ამ დასისთვის დადგა, სხვადასხვა ფორმებისგან შემდგარი მშვენიერი ნაშრომია. პირველად სცენაზე მოყვითალო ფერის განათებაში ორი მამაკაცი გამოჩნდა. მამაკაცთა გუნდის მიერ შესრულებული ქართული ფოლკლორული სიმღერები ძლიერ, ლირიკულ ექოს ქმნიდა და უნიკალური სითბოს შეგრძნებას აჩენდა. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ეკა სურმავასა და ვასილ ახმეტელის პა დე დე, რომელმაც პოეტური სამყარო განასახიერა. სურმავას პუანტებზე ცეკვა სუფთა და თანაბარი იყო. მან კარგი მუსიკალობა აჩვენა ჯორჯ ბალანჩინის “Duo Concertant”-ში და განსაკუთრებულად შესამჩნევი იყო მშვიდი, მანათობელი მშვენიერებით. აშკარაა, რომ ის ახლო მომავალში დასის ერთ-ერთი ვარსკვლავი იქნება.

## LOVE FOR BALLET, GEORGIA AND JAPAN

Nina's smile makes people happy. Nina's sadness moves people's hearts. All of her performances were full of love- Her love for ballet, for Georgia and for Japan.

*Sagalobeli*, created by Yury Possokhov for this ballet company, was a fine work consisting of various formations. At the beginning, two men emerged onstage in sepia colored spotlights. Georgian folk songs by an unaccompanied male chorus echoed something plangently lyrical, giving a feeling of unique warmth rooted in life culture. Particularly notable was a pas de deux by Eka Surmava and Akhmeteli – heartfelt and embodying the world of poetry. Surmava's point work was clear and smooth. She displayed much musicality in *Duo Concertant* by George Balanchine, and her shining cool beauty was particularly eye-catching. It is clear that she will be one of the star dancers of the company in the near future.



ცნობილმა შვეიცარიელმა იუველირმა ჟილბერ ალბერმა და პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილმა ახალგაზრდა, ნიჭიერი მოცეკვავეებისათვის 2003 წელს დააწესეს სპეციალური პრემია „ვარსკვლავი". პრემია გაიცემა ახალგაზრდა, ბალეტის დამწყები ვარსკვლავებისათვის.

Prima ballerina Nina Ananiashvili and famous Swiss jeweler Gilbert Albert founded the prize *Star* in 2003 for young dance talents. The prize is awarded annually to up-and-coming ballet performers.

## ვარსკვლავი 2008
## STAR



### ლაურეატები
### LAUREATES

### ევგენია ობრაზცოვა
### EVGENIA OBRAZTSOVA

*მოსკოვის დიდი თეატრის პრიმა-ბალერინა, რუსეთი*
*Principal dancer of Moscow Bolshoi Theatre, Russia*

### ლაშა ხოზაშვილი
### LASHA KHOZASHVILI

*ბოსტონის ბალეტის პრემიერი, აშშ*
*Principal dancer of Boston Ballet, USA*










ჟილბერ ალბერი, ნინო ანანიაშვილი
GILBERT ALBERT, NINA ANANIASHVILI

დავით საყვარელიძე
DAVID SAKVARELIDZE



## ლაურეატები
## LAUREATES

### ნინო გოგუა
### NINO GOGUA

*მორის ბეჟარის დასი, საფრანგეთი*
*Bejart Ballet Lausanne, France*

### დევიდ ჰოლბერგი
### DAVID HALLBERG

*ამერიკის ბალეტის თეატრის და მოსკოვის დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი*
*Principal Dancer of American Ballet Theatre and Moscow Bolshoi Theatre*

## ვარსკვლავი 2010
## STAR





# ლაურეატები
# LAUREATES

## მაია მახათელი
## MAIA MAKHATELI

*ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის პრიმა-ბალერინა*
*Principal dancer of Dutch National Ballet, The Netherlands*

## ვიაჩესლავ ლოპატინი
## VYACHESLAV LOPATIN

*მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, რუსეთი*
*Leading soloist of Moscow Bolshoi Theatre, Russia*

ვარსკვლავი 2011
STAR





## ლაურეატები
## LAUREATES

### ჩინარა ალიზადე
### CHINARA ALIZADE

*მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, რუსეთი, აზერბაიჯანის დამსახურებული არტისტი*
*Soloist of Moscow Bolshoi Theatre, Meritorious Artist of Azerbaijan*

### ალექსანდრე სმოლიანინოვი
### ALEXANDER SMOLIYANINOV

*მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, რუსეთი*
*Soloist of Moscow Bolshoi Theatre, Russia*

ვარსკვლავი 2013
STAR



# ჭაბუკიანის დღეები
## THE CHABUKIANI DAYS




2010 წლის 20-22 ოქტომბერს თბილისში ვახტანგ ჭაბუკიანის საიუბილეო დღეები გაიმართა, რომლის მთავარი მასპინძელი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი და მისი საბალეტო დასი გახლდათ. საიუბილეო დღეები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა დ ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით მოეწყო. ვახტანგ ჭაბუკიანის იუბილე იუნესკომ მსოფლიოს მნიშვნელოვან საიუბილეო ღონისძიებათა ჩამონათვალში შეიტანა.

On October 20-22, 2010 Tbilisi hosted the Vakhtang Chabukiani Anniversary Days, with the Tbilisi Opera and Ballet State Theatre and its ballet company the main hosts of the occasion. The anniversary days were organized with the support of the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia and the Tbilisi City Hall. Anniversary for Chabukiani was also marked by the UNESCO among the significant international events of 2010.

## იგორ ზელენსკი
## IGOR ZELENSKY

*სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მოსკოვის მუსიკალური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი, მარიის თეატრის პრემიერი*

*Artistic Director, Stanislavsky and Nemirovich-Danchenko Moscow Musical Theatre; Principal dancer, Mariinsky Theatre of St Petersburg*

« თბილისში და თქვენს დასში მიმდინარე სამუშაოები შთამბეჭდავია. აღსანიშნავია აქ გამართული კულტურული ღონისძიებები და მათში მონაწილე ადამიანთა განწყობა. თბილისური პუბლიკა კი გამორჩეულია ჩემთვის.

The developments in Tbilisi and the company are impressive. To see these cultural events with the people and such mentality around is very nice. And the Tbilisi public is my favorite. »


ლალი კანდელაკი, იგორ ზელენსკი (მარიას თეატრი)
LALI KANDELAKI, IGOR ZELENSKY (MARIINSKY THEATRE)


ანხელ კორელა (ამერიკის ბალეტის თეატრი)
ANGEL CORELLA (AMERICAN BALLET THEATRE)


თამარა როხო, დავით მახათელი (კოვენტ გარდენი)
TAMARA ROJO, DAVID MAKHATELI (THE ROYAL BALLET)


ელენე გლურჯიძე, არიონელ ვარგასი (ინგლისის ნაციონალური ბალეტი)
ELENA GLURDJIDZE, ARIONEL VARGAS (ENGLISH NATIONAL BALLET)


ნინო ანანიაშვილი
NINA ANANIASHVILI



ანასტასია სტაშკევიჩი, ვიაჩესლავ ლოპატინი (მოსკოვის დიდი თეატრი)
ANASTASIA STASHKEVICH, VYACHESLAV LOPATIN (MOSCOW BOLSHOI THEATRE)



ნინო გოგუა, ვასილ ახმეტელი
NINO GOGUA, VASIL AKHMETELI



ნატალია სომოვა, სემიონ ჩუდინი (სტანისლავსკის და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრი, მოსკოვი)
NATALIA SOMOVA, SEMYON CHUDIN (STANISLAVSKY AND NEMIROVICH-DANCHENKO THEATRE, MOSCOW)

## პოლ პოდოლსკი
## PAUL PODOLSKI

Arabesque
BALLET MAGAZINE

*ნორვეგიის ნაციონალური ბალეტის ადმინისტრაციული დირექტორი*
*Administrative Director, Norwegian National Ballet*

**N1, 2011**

« პირველად საქართველოში 1998 წელს ჩამოვედი, როდესაც საბალეტო დასი უმძიმეს პირობებში მუშაობდა. ხუთი წლის წინ კვლავ ვეწვიე თქვენს ქვეყანას და უკვე მაშინ შეიმჩნეოდა დიდი წინსვლა. დღეს კი სრულიად ახალ დასს ვხედავთ. ნინო ანანიაშვილი უბრალოდ განუმეორებელია.

I first came here in 1998 and saw the extraordinarily difficult conditions the ballet company was working in. Then I came back five years ago and it was already a big improvement. And what we see here tonight is another company. Nina Ananiashvili is simply extraordinary. »



ირმა ნიორაძე, ანდრეი ერმაკოვი
IRMA NIORADZE, ANDREY ERMAKOV



# წიგნი-ალბომი „ვახტანგ ჭაბუკიანი“
## BOOK-ALBUM VAKHTANG CHABUKIANI




2013 წლის 27 თებერვალს ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მხარდაჭერით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ვახტანგ ჭაბუკიანის კოლეგები, მეგობრები, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები სასტუმრო „რედისონის“ წვეულებათა დარბაზში – ფოტო-ალბომის „ვახტანგ ჭაბუკიანი“ (შემდგენელ-რედაქტორი ილია თავბერიძე, დიზაინერი ბესიკ დანელია) პრეზენტაციაზე მიიწვია. წიგნი-ალბომის გამოცემა იუნესკოს მხარდაჭერით ვახტანგ ჭაბუკიანის 100 წლის საიუბილეოდ განხორციელდა.

წიგნში თავი მოიყარა საინტერესო ფოტოებმა, დოკუმენტურმა მასალამ რომელიც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ვახტანგ ჭაბუკიანს, როგორც უდიდეს მოვლენას მეოცე საუკუნის საბალეტო სამყაროში. წიგნში დაბეჭდილია ვახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმის, თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის, ოპერის თეატრის მუზეუმის ფოტოები, ასევე მასალები კერძო პირების პირადი კოლექციებიდან.

On February 27, 2013, with the support of the Friends of the Georgian Ballet, Tbilisi Opera and Ballet Theatre invited Vakhtang Chabukiani's former colleagues and friends, as well as enthusiasts of his art, to the presentation of book album *Vakhtang Chabukiani* (compiled and edited by Ilia Tavberidze, designed by Besik Danelia) at the Radisson Blu Hotel Events Room in Tbilisi. The album was published with the support of UNESCO to mark the 100th anniversary of Chabukiani.

The book includes many interesting photographs, the documentary material that again shows Vakhtang Chabukiani as an enormous phenomenon of the twentieth century ballet. The photographic material featured in the book was printed from archives of the Vakhtang Chabukiani Museum, the Museum of Theatre, Cinema, Music and Choreography, the Opera and Ballet Theatre Museum, as well as private collections.

# ელენე გლურჯიძის შემოქმედებითი საღამო
## ELENA GLURDJIDZE'S EVENING OF ART

ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრიმა-ბალერინას ელენე გლურჯიძის მორიგი ჩამოსვლა თბილისში, მოცეკვავის კარიერაში მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. ელენე გლურჯიძემ პირველად იცეკვა მარგარიტას პარტია ფრედერიკ ეშტონის ბალეტში „მარგარიტა და არმანი“. გლურჯიძეს პარტნიორობას ივან პუტროვი უწევდა, უკრაინელი მოცეკვავე, რომელიც ინგლისის სამეფო ბალეტში გამოჩენიდან მესამე სეზონზე ამ პრესტიჟული დასის პრემიერი გახდა. ელენე გლურჯიძის შემოქმედებითი საღამო, რომელიც 2013 წლის 28 აპრილს რუსთაველის თეატრში გაიმართა, სამი განყოფილებისაგან შედგებოდა. მაყურებელმა პრიმა-ბალერინა პირველად „რაიმონდას“ მესამე მოქმედებაში იხილა.




English National Ballet's Elena Glurdjidze celebrated her visit to Tbilisi with a significant career event. She debuted as Marguerite in Frederick Ashton's *Marguerite and Armand*. Glurdjidze was partnered by Ivan Putrov from Ukraine, who became principal dancer of The Royal Ballet three seasons after joining the company. Glurdjidze's evening of art – held at the Rustaveli Theatre on April 28, 2013 – was presented in a three-act program and included the dancer in appearing in act three of *Raymonda*.

# გიორგი ალექსიძის იუბილე
## GEORGE ALEKSIDZE ANNIVERSARY




გიორგი ალექსიძის დაბადებიდან 70 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასმა მისი ბალეტები და საბალეტო მინიატურები აღადგინა. ქორეოგრაფის საიუბილეო საღამო 2010 წლის 11 და 12 მაისს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა. ქორეოგრაფიის აღდგენაზე მისმა მეუღლემ, საბალეტო დასის პედაგოგ-რეპეტიტორმა მარინა ალექსიძემ და მისმა ქალიშვილმა, დასის სოლისტმა მარიამ ალექსიძემ იმუშავეს. პროგრამა, რომელიც ორ განყოფილებად იქნა წარმოდგენილი 12 საბალეტო მინიატურისა (ა. ვებერნის, მ. დე ფალიას, ჯ. ფ. რამოს, ო. კარავაიჩუკის, გ. ყანჩელის, ვ. კახიძის, ა. პიაცოლას, ი. დუნაევსკის და ა. კნაიფელის მუსიკაზე) და ბალეტ „დემონისგან“ (გ. ყანჩელის N6 სიმფონიაზე) შედგებოდა.

Tbilisi Opera and Theatre Ballet Company restaged ballets and miniatures by George Aleksidze to mark the 70th anniversary of the late choreographer. The evening took place at the Shota Rustaveli State Drama Theatre on May 11 and 12, 2010. The restoration of the choreography was undertaken by the choreographer's spouse Marina Aleksidze and their daughter, coach of the ballet company Mariam Aleksidze. The program – presented in two acts – included twelve ballet miniatures (on music by Anton Webern, Manuel de Falla, Jean-Philippe Rameau, Oleg Karavaichuk, Gia Kancheli, Vakhtang Kakhidze, Astor Piazzola, Isaak Dunayevsky and Alexander Knaifel) and a full scale ballet *Demon* (on Symphony No. 6 by Kancheli).


ლალი კანდელაკი, ვასილ ახმეთელი
LALI KANDELAKI, VASIL AKHMETELI



ᲜᲘᲜᲝ ᲒᲝᲒᲣᲐ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘ
NINO GOGUA, VASIL AKHMETELI



ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ
MARIAM ALEKSIDZE



ᲐᲜᲐ ᲛᲣᲠᲐᲓᲔᲚᲘ
ANA MURADELI





მიეძღვნა ცნობილი ქართველი ქორეოგრაფის გიორგი ალექსიძის დაბადებიდან 70 წლისთავს
Dedicated to 70th Anniversary of the birth of well-known late Georgian choreographer George Aleksidze

## ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲘᲡ ᲥᲝᲠᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ
## GEORGE ALEKSIDZE CHOREOGRAPHY

აღდგენილია მარინა და მარიამ ალექსიძეების მიერ
Restored by Marina and Mariam Aleksidzes

მხატვრობა – ᲒᲣᲠᲐᲛ ᲛᲔᲚᲘᲕᲐ
ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲛᲣᲠᲕᲐᲜᲘᲫᲔ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ
ᲜᲘᲜᲝ ᲝᲩᲘᲐᲣᲠᲘ
განათება –
ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲐᲜᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲛᲔᲚᲘᲕᲐ
ხმის მონტაჟი –
ᲔᲚᲔᲜᲔ ᲛᲣᲠᲯᲘᲙᲜᲔᲚᲘ
ხმის რეჟისორი –
ᲙᲝᲢᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
სპექტაკლის წამყვანი რეჟისორი –
ᲜᲘᲐᲚᲐ ᲒᲝᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

Design by GURAM MELIVA
TEIMURAZ MURVANIDZE
MIKHEIL MAKHARADZE
NINO OCHIAURI
Lighting –
AMIRAN ANANIASHVILI
GURAM MELIVA
Sound Montage –
ELENE MURJIKNELI
Sound Director –
KOTE KARTVELISHVILI
Stage Manager –
NIALA GODZIASHVILI

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲨᲔᲓᲒᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ 2010 ᲬᲚᲘᲡ 11 ᲛᲐᲘᲡᲡ
PREMIERED AT THE RUSTAVELI THEATRE ON MAY 11, 2010

# ნინო ანანიაშვილის იუბილე
# NINA ANANIASHVILI ANNIVERSARY




ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე თბილისში 2012 წლის 14–18 მარტს გაიმართა. საიუბილეოდ გაიხსნა პრიმა-ბალერინას კოსტიუმების გამოფენა, გამოიცა წიგნი-ალბომი „ნინო ანანიაშვილი“, რუსთაველის თეატრში გაიმართა ერთმოქმედებიანი ბალეტების საღამო, სადაც შედგა ნინო ანანიაშვილისთვის დადგმული ახალი ერთმოქმედებიანი ბალეტის პრემიერა. თბილისის საკონცერტო დარბაზში საიუბილეო გალა-კონცერტი გაიმართა მსოფლიო საბალეტო ხელოვნების ვარსკვლავების, ქართული საბალეტო დასის და ნინო ანანიაშვილის მეგობრების მონაწილეობით.

The celebration to mark 30 years of Nina Ananiashvili on stage took place on March 14 to 18, 2012 in Tbilisi. The celebration included an exhibition of the prima ballerina's costumes, publishing of a book album *Nina Ananiashvili* and a one-act ballet evening at the Rustaveli Theatre, which included the premiere of a ballet staged for Ananiashvili. The Tbilisi Concert Hall hosted the anniversary gala concert that featured world ballet stars, the Opera and Ballet Theatre Ballet Company and friends of Nina Ananiashvili.

# DanceTabs

**05.04.2012**

**მარგარეტ უილისი,** *ბალეტის კრიტიკოსი, დიდი ბრიტანეთი*
**MARGARET WILLIS,** *Ballet critic, the United Kingdom*

« ნინოს სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილმა ზეიმმა, რომელიც საკუთარ დაბადების დღემდე ერთი დღით ადრე გაიმართა, მასთან დაკავშირებული არა ერთი ბედნიერი მოგონება გააღვიძა და ის გამოსვლები გაგვახსენა. როდესაც ნინო მის არაერთ მომხიბლავ პარტნიორთან ერთად გამოდიოდა სცენაზე. ნამდვილად საოცარი იყო, რომ თბილისში იმ ადამიანებთან საუბრის საშუალება მოგვეცა, რომლებსაც მასთან ბევრი მოგონება აკავშირებთ. ვესაუბრებოდით მის ყოფილ პარტნიორებს – ანდრის ლიეპას, ალექსეი ფადეეჩევს, იური პოსოხოვს, ვადიმ პისარევს, სერგეი ფილინს, კენეტ გრივს და ხოსე მანუელ კარენიოს – ისინი კვლავაც ისეთი შარმიანები არიან, როგორც ყოველთვის. აქ იყვნენ ნინოს ყოფილი ხელმძღვანელებიც – ფრენკ ანდერსენი და კევინ მაკკენზი, ისევე, როგორც უთვალავი მეგობარი შეერთებული შტატებიდან, ევროპიდან და იაპონიიდან.

This celebration of Nina's 30 years of performing on stage, held on the eve of her 49th birthday, brought back so many happy remembrances of her, transporting us back to past performances with her many young handsome partners. So it was wonderful to sit and chat to all those who have different memories of her over these thirty years Breakfasts were long as we lingered chatting with her ex-partners, Andris Liepa, Alexey Fadeechev, Yuri Possokhov, Vadim Pisarev, Sergei Filin, Kenneth Grieve and Jose Manuel Careno, all of whom are all still as charming as ever. And there were also her directors, Frank Andersen and Kevin Mckenzie, and countless friends from the US, Europe and Japan. »







ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი, დენის მატვიენკო
NINA ANANIASHVILI, VASIL AKHMETELI, DENIS MATVIENKO



ელენე გლურჯიძე, სერგეი პოლუნინი
ELENA GLURDJIDZE, SERGEI POLUNIN



ანხელ კორელა
ANGEL CORELLA



ვიქტორია ჯაიანი, თემურ სულუაშვილი
VICTORIA JAIANI, TEMUR SULUASHVILI







ქართველი ხელოვანების გზავნილი იაპონიას
MESSAGE OF THE GEORGIAN ARTISTS TO JAPAN
ნინო ანანიაშვილის ფონდი
NINA ANANIASHVILI FOUNDATION
საქველმოქმედო
გალა-კონცერტი
Charity Gala Performance
დასარტყამი ინსტრუმენტების ანსამბლი (მოსკოვი)
ხელმძღვანელი მარკ პეკარსკი
დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო
26 მაისი May 2011
დასაწყისი Beginning at 19:00
Praying for you and with you Japan!
ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
რუსთაველის თეატრი



„ჩვენ ვლოცულობთ თქვენთვის და თქვენთან ერთად!" – ნინო ანანიაშვილის ფონდმა საქველმოქმედო გალა-კონცერტი გამართა. ქართველი ხელოვანების მთავარი გზავნილი იაპონელი ხალხისადმი თანაგრძნობა, პატივისცემა და სიყვარული იყო. კონცერტში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები, გუნდი, სიმფონიური ორკესტრი და საბალეტო დასი მონაწილეობდა. გალა-კონცერტი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში 2012 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეს შედგა და მას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

"We are praying for you and with you" – the gala with the message was presented by the Nina Ananiashvili Foundation at the Rustaveli State Drama Theatre. The main message by Ananiashvili and the Georgian artists to Japan was consolation, respect and love. The concert featured soloists, choir, symphony orchestra and ballet company of the Tbilisi Opera and Ballet Theatre. The gala on May 26, 2012 – Georgia's Independence Day – was attended by representatives of the diplomatic corps in Georgia.





# „შინ"-ის „არაჩვეულებრივი" გამოფენა

# THE EXTRAORDINARY EXHIBITION BY THE SHINS





Tbilisi Opera and Ballet Theatre Ballet Company took part in a collaboration of the band The Shins and Bravo Records. Four ballet miniatures were staged on music by Gia Kancheli by choreographer Sasha Evtimova. Six dancers participated in pieces titled *The Crucible*, *Is aq aris* (*Waltz of the Eccentrics*), *Raj Kapoor's Khachapuri* and *Meeting*. The project was presented to the audience on May 26 and 29 at the Tbilisi Concert Hall.






ჯგუფ „შინ“-ის და სტუდია „ბრავო რექორდსის“ პროექტში – „არაჩვეულებრივი გამოფენა“ საბალეტო დასი მონაწილეობდა. საბალეტო მინიატურები გია ყანჩელის მუსიკაზე შექმნილ „შინ“-ის კომპოზიციებზე საშა ევთიმოვამ დადგა... ბალეტის ექვსი მოცეკვავე ოთხ კომპოზიციაში – „საბრალდებო დასკვნა“, „ის აქ არის“ (შერეკილების ვალსი), „რაჯ კაპურის ხაჭაპური“ და „შეხვედრა მიტინგზე“ მონაწილეობდა. პროექტი 2013 წლის 26 და 27 მაისს თბილისის საკონცერტო დარბაზში გაიმართა.



ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲙᲐᲮᲘᲫᲔ
VAKHTANG KAKHIDZE

# ბალანჩინი 110
# BALANCHINE

ჯორჯ ბალანჩინის დაბადების 110 წლის იუბილე თბილისის საკონცერტო დარბაზში გალა-კონცერტით აღინიშნა, რომლის გენერალური სპონსორი საქართველოში აშშ საელჩო იყო. კონცერტში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასთან ერთად მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები მონაწილეობდნენ.

A gala concert celebrated the 110th anniversary of George Balanchine at the Tbilisi Concert Hall, with the US Embassy Tbilisi the principal sponsor of the event. The concert featured Tbilisi Opera and Ballet Theatre Ballet Company and world ballet stars.

**23.05.2014**







ლალი კანდელაკი, იგორ ზელენსკი
LALI KANDELAKI, IGOR ZELENSKY



ელენე გლურჯიძე (ინგლისის ნაციონალური ბალეტი), რიო კატო
ELENA GLURDJIDZE (ENGLISH NATIONAL BALLET), RYO KATO



ანასტასია სტაშკევიჩი, ვიაჩესლავ ლოპატინი (მოსკოვის დიდი თეატრი)
ANASTASIA STASHKEVICH, VYACHESLAV LOPATIN (MOSCOW BOLSHOI THEATRE)



მაია მახათელი, არტურ შესტერიკოვი (ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტი)
MAIA MAKHATELI, ARTUR SHESTERIKOV (DUTCH NATIONAL BALLET)



იანა სალენკო, რაინერ კრენსტეტერი (ბერლინშტატსოპერა)
IANA SALENKO, RAINER KRENSTETTER (BERLIN STATE OPERA)

DANCE MAGAZINE 03.06.2014

ელიზაბეთ კენდელი
ELIZABETH KENDALL

## ამბები საქართველოში გამართული საბალეტო გალადან

საღამოს კულმინაცია 1941 წელს ბალანჩინის მიერ დადგმული კამერული ბალეტის „Concerto Barocco“-ს ქართული პრემიერა იყო. კორდებალეტის რვა ახალგაზრდა ბალერინა სიმამაცით და სიამოვნებით ცეკვავდა. ეკა სურმავამ, რომელსაც დავით ანანელი უწევდა პარტნიორობას, განსაკუთრებული ქალური სიმშვიდე აჩვენა ორი ვიოლინოს ელასტიური ადაჟიოს ფონზე. „ბაროკო“ ბარტ კუკის მზრუნველი ხელით დაიდგა, მასზე ლიცენზიის მიღება კი, ჩემდა საამაყოდ, ამერიკის საელჩომ დააფინანსა, ელჩის – რიჩარდ ბ. ნორლანდის ხელმძღვანელობით. წარმოდგენის შემდეგ, თეატრის მოსაცდელში საღამოს ემოციური ფინალი შედგა, სადაც ბარტ კუკი და სპექტაკლის შემდგომ გლამურულად გამოწყობილი ახალგაზრდა მოცეკვავეები ერთმანეთს ეხვეოდნენ.

## DISPATCH FROM THE GEORGIAN BALLET GALA

The evening's high point came after the first intermission, with the Georgian premiere of Balanchine's 1941 chamber work, *Concerto Barocco*, well-chosen for the Philharmonia's shallow stage. The eight young corps girls danced bravely and with some delight — you could almost see them springing to attention amid the ballet's jazzy musical accents. In the middle movement, Eka Surmava partnered by David Ananeli offered a special feminine serenity as the two violins wove their elastic adagio. Barocco was staged lovingly by Bart Cook and Maria Calegari, and its acquisition subsidized, this reviewer is proud to say, by our own American embassy, under the guidance of ambassador Richard B. Norland. Afterwards at the reception in the theater's lobby, Cook and his hard-working, now glammed-up young dancers hugged each other in a cathartic finale.




# ბალანჩინი: მუდმივად აწმყოში

# BALANCHINE: THE ETERNAL PRESENT

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში ამერიკელი ფოტოგრაფის პაულ კოლნიკის ფოტოგამოფენა მოეწყო. კოლნიკი მრავალი წლის განმავლობაში იღებდა ჯორჯ ბალანჩინს და „ნიუ იორკ სითი ბალეტს“.

The Museum of Theatre, Music, Cinema and Choreography of Georgia hosted an exhibition by American photographer Paul Kolnik, who spent many years photographing Balanchine and the New York City Ballet.

**18.05.2014**


გიორგი კალანდია
GIORGI KALANDIA


ნინო ანანიაშვილი
NINA ANANIASHVILI


ნინო ანანიაშვილი, აშშ ელჩი რიჩარდ ნორლანდი, ქორეოგრაფი ბართ კუკი
NINA ANANIASHVILI, US AMBASSADOR RICHARD B. NORLAND, CHOREOGRAPHER BART COOK



# ვერა წიგნაძის 90 წლის იუბილე

# VERA TSIGNADZE'S 90TH ANNIVERSARY

2014 წლის 24 სექტემბერს ლეგენდარულ ბალერინას, ვახტანგ ჭაბუკიანის უცვლელ პარტნიორის ვერა წიგნაძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. ცნობილ პრიმა-ბალერინას დაბადების დღე საკუთარ სახლში მიულოცეს ნინო ანანიაშვილმა და საბალეტო დასის წევრებმა. საიუბილეო გალა-კონცერტი კი 2015 წლის 31 იანვარს, თბილისის საკონცერტო დარბაზში გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის და მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები: იგორ არტამონოვი, ლუდმილა ხიტროვა, კონსტანტინ გერონიკი – მინსკის დიდი თეატრი, მაია მახათელი, არტურ შესტერიკოვი – ნიდერლანდების ნაციონალური ბალეტი; ვიქტორია ჯაიანი, თემურ სულუაშვილი – ჯოფრი ბალეტი, აშშ; ჟანა გუბანოვა, ანდრეი პისარევი – კრემლის ბალეტი, მოსკოვი.

On September 24, 2014 Vera Tsignadze – the legendary ballerina and permanent partner to Vakhtang Chabukiani – celebrated her 90th birthday. The famous prima ballerina was visited by Nina Ananiashvili and members of the ballet company to celebrate the date, while an anniversary gala concert took place on January 31 at Tbilisi Concert Hall and featured Opera and Ballet Theatre ballet company artists and world ballet stars Igor Artamonov, Lyudmila Khitrova, Konstantin Geronik (Bolshoi Theatre of Minsk), Maia Makhateli, Artur Shesterikov (Dutch National Ballet), Victoria Jaiani, Temur Suluashvili (Joffrey Ballet, Chicago), Zhana Gubanova, Andrei Pisarev (Kremlin Ballet of Moscow).

ნინო ანანიაშვილი, ნიკა წულუკიძე NINA ANANIASHVILI, NIKA TSULUKIDZE



ჟანა გუბანოვა, ანდრეი პისარევი
ZHANA GUBANOVA, ANDREI PISAREV



მაია მახათელი, არტურ შესტერიკოვი
MAIA MAKHATELI, ARTUR SHESTERIKOV



ნინო სამადაშვილი, იონენ ტაკანო
NINO SAMADASHVILI, YONEN TAKANO



ლალი კანდელაკი,
კონსტანტინ გერონიკი
LALI KANDELAKI,
KONSTANTIN GERONIK



ვიქტორია ჯაიანი,
თემურ სულუაშვილი
VICTORIA JAIANI,
TEMUR SULUASHVILI



ნუცა ჩეკურაშვილი,
რიო კატო
NUTSA CHEKURASHVILI,
RYO KATO



ლიუდმილა ხიტროვა,
იგორ არტამონოვი
LIUDMILA KHITROVA,
IGOR ARTAMONOV



ეკა სურმავა,
იგორ არტამონოვი
EKATERINE SURMAVA,
IGOR ARTAMONOV

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოება

FRIENDS OF THE GEORGIAN BALLET

## ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოება

შვიდი წელია, ახალი საბალეტო სეზონის გახსნის დღეს, ახალ სეზონს იწყებს ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოება. ეს ორგანიზაცია 2007 წელს შეიქმნა საქართველოში აშშ იმჟამინდელი ელჩის მეუღლის მარიელა ტეფტის ინიციატივით. ქალბატონი მარიელა სამი წელი ხელმძღვანელობდა ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებას და მრავალი პროექტი განახორციელა. მათ შორის აღსანიშნავია ვ.ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეთათვის ყოველწლიური სტიპენდიების გაცემა, რაც მათ საშუალებას აძლევს გათავისუფლდნენ სწავლის გადასახადისაგან. საზოგადოების მხარდაჭერით საბალეტო დასის ახალგაზრდა მსახიობები ყოველწლიურად მონაწილეობენ ბურნონვილის საზაფხულო სემინარში, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ბიარიცში იმართება. საზოგადოებამ სხვა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა საბალეტო დასის მხარდასაჭერად. ბალეტის მეგობართა საზოგადოებას სხვადასხვაწლებში ხელმძღვანელობდნენ ელვირა პიეტრაროა სანდალი,  სარა ვილიამსონი, მიშელ დანი, ჯანეტ ბლექმენი. 163-ე თეატრალური სეზონიდან ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებას პირიო ტურკო, ორსი საროსი, ქეროლაინ უილკესი ხელმძღვანელობენ.

## FRIENDS OF THE GEORGIAN BALLET

For seven years now, Friends of the Georgian Ballet have been opening their season in line with new ballet year commencing. The organization was founded in 2007 in an initiative by then US abassador's spouse Mariella Tefft, who managed the Friends for three years and oversaw a number of projects including yearly scholarships for pupils of the Vakhtang Chabukiani State School of Ballet Art, granting them full studying fees. The organization's support also enables the ballet company's artists to take part in the yearly Bournonville in Biarritz summer workshops in France. Friends of the Georgian Ballet carried out other important project to support the company. The organization had been headed over the years by Elvira Pietraroia Sandalli, Sarah Williamson, Michele Dunn, Jeannette Blackman, with Pirjo Turk, Orsolya Sarossy and Caroline Wilkes leading them into the 163rd theatrical season.











# რეპეტიციები და მასტერკლასები
# REHEARSALS AND MASTER CLASSES



მიხეილ ლავროვსკი „რომეო და ჯულიეტას“ რეპეტიციაზე ლალი კანდელაკთან და ირაკლი ბახტაძესთან ერთად. 2006
MIKHAIL LAVROVSKY WITH LALI KANDELAKI AND IRAKLI BAKHTADZE DURING A *ROMEO AND JULIET* REHEARSAL IN 2006

გრანტ კოილი „მარგარიტა და არმანის“ რეპეტიციაზე ნინო ანანიაშვილთან და ვასილ ახმეტელთან. 2008
GRANT COYLE WITH NINA ANANIASHVILI AND VASIL AKHMETELI DURING A *MARGUERITE AND ARMAND* REHEARSAL IN 2008



## ფრენკ ანდერსენი
## FRANK ANDERSEN

« მსურს გამოვხატო სიყვარული საბალეტო დასის და მისი მოცეკვავეების მიმართ. ისინი ბევრს შრომობენ და მათთან მუშაობა მეტად საინტერესოა.

I love your company and its dancers – they work very hard and are interesting to work with. »





ალექსეი ფადეეჩევი, ტატიანა რასტორგუევა „ჟიზელის“ რეპეტიციაზე ნინო გოგუასთან. 2006
ALEXEY FADEECHEV, TATIANA RASTORGUEVA WITH NINO GOGUA DURING A *GISELLE* REHEARSAL IN 2006



ირინა კალპაკოვა მასტერკლასზე. 2006
IRINA KOLPAKOVA DURING A MASTERCLASS IN 2006

## ირინა კოლპაკოვა
## IRINA KOLPAKOVA

« ჩვენ ვიხილეთ „ჟიზელი“, მოხიბლული ვარ და ვთვლი, რომ სპექტაკლი ასე წარმატებულია. საერთოდ დასი კარგ ფორმაშია.

We saw the *Giselle* performance. It was a charming experience and I am glad to see the success of the production. And the company is in good shape. »



ბარტ კუკი “DUO CONCERTANT”-ის რეპეტიციაზე ნინო გოგუასთან. 2006
BART COOK WITH NINO GOGUA DURING *A DUO CONCERTANT* REHEARSAL IN 2006

## ბარტ კუკი
## BART COOK

« მესამე ჩამოსვლაზე აქ გაცილებით უკეთესად გამოიყურება ყველაფერი. მოცეკვავეები უფრო დინამიურები გახდნენ, უფრო კარგად აღიქვამენ ბალანჩინის იდეებს.

Things look much better on my third travel to Tbilisi. The dancers are more dynamic and understand Balanchine’s ideas better. »



კენ ოსოლა „STEPPING STONES”-ის რეპეტიციაზე ვასილ ახმეტელთან. 2008
KEN OSSOLA WITH VASIL AKHMETELI DURING *A STEPPING STONES* REHEARSAL IN 2008

## კენ ოსოლა
## KEN OSSOLA

« დასში ჩანს პოტენცია, რომ სრულად იქნეს მიღწეული კილიანის ბალეტებისათვის საჭირო დონე

The company shows apparent potential to completely realize the level of dance necessary for Kylián ballets. »



ნენსი ეუვერინკი „STEPPING STONES”-ის რეპეტიციაზე  ნინო გოგუასთან. 2008
NANCY EUVERINK WITH NINO GOGUA DURING *A STEPPING STONES* REHEARSAL IN 2008

## ოლივიე პატე
## OLIVIER PATEY

« კმაყოფილი ვარ თქვენთან მუშაობით.

I am happy with the work done with your company. »



ოლივიე პატე მასტერკლასზე. 2008
OLIVIER PATEY DURING A MASTERCLASS IN 2008





ბრიჟიტ მარტინი „FALLING ANGELS"-ის რეპეტიციაზე. 2009
BRIGITTE MARTIN DURING A *FALLING ANGELS* REHEARSAL IN 2009



ქრისტოფერ დოზი რეპეტიციაზე. 2013
CHRISTOPHE DOZZI DURING A REHEARSAL IN 2013

## ბრიჟიტ მარტინი
## BRIGITTE MARTIN

« დასის გოგონებმა პროგრესი განიცადეს და ეს მათთვის ადვილი არ ყოფილა, კილიანის „Falling Angels"-ისთვის დამახასიათებელი თვლისა და სწრაფი მოძრაობის გამო.

I think the girls of the company developed a lot. And it has not been easy for them, with so much counting and fast movement in *Falling Angels* of Kylián. »



ევა კლობორგი და თეონა ჩარკვიანი
„კონსერვატორიის“ რეპეტიციაზე. 2006
EVA KLOBORG AND TEONA CHARKVIANI DURING A *LE CONSERVATOIRE* REHEARSAL IN 2006




იორმა ელო „1ST FLASH” რეპეტიციაზე. 2013
JORMA ELO DURING A *1ST FLASH* REHEARSAL IN 2013

## იორმა ელო
## JORMA ELO

« თქვენს დასზე არაერთი დადებითი გამოხმაურება მსმენოდა. აქ ჩამოსვლას ინტერესით ველოდი.

I had heard very positive stories about your company, and I was looking forward to coming here. »

## დინა ბიორნი
## DINNA BJOERN

« ბურნონვილის შესრულებისათვის საჭიროა ახლის შესწავლის სურვილი და გახსნილი გონება. ამ მხრივ დასის ყოველ მოცეკვავეს სათანადო შესაძლებლობა აქვს.

To dance Bournonville you need to be ready to learn more and have an open mind. Every dancer at this company has these abilities. »



ან მარი ვესელ შლიუტერი
„ციმბირიდან მოსკოვამდე“ რეპეტიციაზე. 2009
ANNE MARIE VESSEL SCHLUETER DURING
A *FROM SIBERIA TO MOSCOW* REHEARSAL IN 2009



დინა ბიორნი
„ციმბირიდან მოსკოვამდე“ რეპეტიციაზე. 2009
DINNA BJOERN DURING A *FROM SIBERIA TO MOSCOW* REHEARSAL IN 2009

## ალექსეი რატმანსკი
## ALEXEI RATMANSKY

« ქართულ საბალეტო დასს აქვს საკუთარი სახე. დღეს ბევრი დასი ჰგავს ერთმანეთს და განსხვავებული სახის შექმნა აუცილებელია.

The Georgian company has its own character. Many troupes are similar today, and you need to have a distinctive face. »

ალექსეი რატმანსკი „ბიზე ვარიაციების“ რეპეტიციაზე. 2008
ALEXEI RATMANSKY DURING A *BIZET VARIATIONS* REHEARSAL IN 2008





იური პოსოხოვი „საგალობლის“ რეპეტიციაზე. 2008
YURI POSSOKHOV DURING A *SAGALOBELI* REHEARSAL IN 2008

პატრიკ დელკრუა „SECHS TÄNZE“-ს რეპეტიციაზე ნინო ოჩიაურთან, დავით ანანელთან და თეონა ჩარკვიანთან. 2008
PATRICK DELCROIX WITH NINO OCHIAURI, DAVID ANANELI AND TEONA CHARKVIANI DURING A *SECHS TÄNZE* REHEARSAL IN 2008





ალექსანდრ გრანტი „ამაო სიფრთხილის“ რეპეტიციაზე. 2005
ALEXANDER GRANT DURING A *LA FILLE MAL GARDÉE* REHEARSAL IN 2005

## პატრიკ დელაკრუა
## PATRICK DELCROIX

« გულახდილად შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ. მოცეკვავეებთან მუშაობა კარგად მიდის და მომწონს, რომ ისინი გახსნილები არიან ახალი ინფორმაციის მიმართ, მზად არიან მეტი ისწავლონ.

Honestly I am very happy. It has been going well with dancers and what I like here with them is that they are open to a lot of information, and trying a lot to understand. »



თეატრის საბალეტო დასი
BALLET COMPANY OF THE THEATRE
2015



ბალეტის პედაგოგ-რეპეტიტორები,
რეჟისორები, კონცერტმაისტერები
და ადმინისტრაცია
BALLET COMPANY COACHES,
STAGE MANAGERS, CONCERT MASTERS
AND THE ADMINISTRATION
2015

წიგნი გამოიცა საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის დახმარებით
THE BOOK WAS PUBLISHED WITH ASSISTANCE OF THE GEORGIAN INDUSTRIAL GROUP

გამოცემის მხარდამჭერია ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოება
THE PUBLICATION IS SUPPORTED BY FRIENDS OF THE GEORGIAN BALLET

შემდგენელი და რედაქტორი
ილია თავბერიძე
Compiled and edited by
ILIA TAVBERIDZE

ფოტო
ლადო ვაჩნაძე
Photos by
LADO VACHNADZE

დიზაინი
ბესიკ დანელია
Design by
BESIK DANELIA

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
PRINTED IN CEZANNE LTD

© 2015, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
ZAKARIA PALIASHVILI TBILISI OPERA AND BALLET STATE THEATRE

ISBN 978-9941-0-7558-2